

**ღალი გვასალია**

**კულტურის ფილოსოფიისა  
და ესთეტიკის აქტუალური  
საკითხები**


**(სამეცნიერო სტატიების კრებული)**

**თბილისი  
გამომცემლობა „ს.ვ.მ.პ.“  
2012**

7A8.9  
75.575  
გ.014

რედაქტორი

ფილოლოგიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი  
ნოდარ ტაბიძე



რეცენზენტი

ფილოსოფიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი  
თემურ ფანჯიკიძე

ISBN 978-9941-0-4507-3

© ლ. გვასალია, 2012 წ.

## შინაარსი

კულტუროლოგია — აზროვნების სამყაროში შესვლა	5
კულტურის ფენომენი ფილოსოფიურ-სისტემურ ჭრილში	21
ქართული კულტურა და მითები თანავარსკვლავედებზე	30
მსოფლმხედველობა და მხატვრული შემოქმედება	45
როგორ ყალიბდება Homo aesthetikus	51
მხატვრული სახის ცნების ესთეტიკურ-კულტუროლოგიური კონცეპტი	55
მიუზბრუნდეთ მყუდრო სავანეს! <i>ღია წერილი სტუდენტებს</i>	61
მრწამსის ფენომენი — კულტურის ქმნადობის საფუძველი	72
ადამიანი — კულტურის სუბიექტი და ანთროპოლოგიური კვლევის ობიექტი	79
როგორ ქმნის ლევ ტოლსტოი მკითხველს, ანუ, რას ნიშნავს „ადამიანი — კულტურის ქმნილება“	85

კომიკურის რეალიზაციის შესაძლებლობები ხელოვნების სახეებში	93
გალაკტიონის ამოუცნობი სულის სიმფონია	103
სარეკომენდაციო ლიტერატურის ნუსხა	137
ცოტა რამ წიგნის ავტორზე	139

## «კულტუროლოგია – აზროვნების სამყაროში უმსვლა»

2000 წლის 4-6 სექტემბერს ტემპუს ტასისის-კომპაქტ-პროექტის CP-20102-98 ფარგლებში თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ საერთაშორისო სიმპოზიუმზე – „აქტუალური პედაგოგია და კულტურის დიდაქტიკა“ – დოცენტ ლალი გვასალიას მიერ წარმოდგენილი მოხსენება

XXI საუკუნის კულტურულ სივრცეში შესვლა, რომელიც ჯერ კიდევ არ არის ფორმირებული, მთელი მსოფლიო მასშტაბით ცნობიერების ტრანსფორმაციას მოითხოვს, მითუმეტეს, როცა საქმე გვაქვს პოსტსაბჭოურ ცნობიერებასთან.

რას უნდა ნიშნავდეს კულტურის დიდაქტიკა ხსენებული მიზნის განხორციელების თვალსაზრისით? – უპირველესად – აზროვნების სამყაროში შესვლას! არც ისე ადვილია ამ სამყაროში შესვლის განმარტება, მაგრამ ნათელი ის არის, რომ ეს არ უნდა იყოს ტოტალიტარული სამყაროსკენ მიბრუნება.

ჩემის აზრით, ჩვენი – უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგთა უპირველესი საზრუნავია სტუდენტების მზადყოფნა ახალ კულტურულ სივრცეში შესასვლელად. შევეცდები, ამ მიზნის ჩემულის ხედვა შემოგთავაზოთ.

ამასთანავე მინდა განვაცხადო, რომ ჩემის ღრმა რწმენით, კულტურის დიდაქტიკა სწორედ იმ სააზროვნო სფეროდანაა წარმოსადგენი, რომლის ფარგლებშიც კულტურის აქტუალური პარადიგმის შემოქმედებითი შეხვედრა აქტუალურ პედაგოგიკასთან მოხდება.

ჩემ სათქმელს დავიწყებ კითხვით, – თუ კულტურა ანთროპოცენტრული სამყაროა, ანუ კულტურის შემოქმედი ადამიანია, რატომ არ შეიძლება ლექტორისა და სტუდენტების ყოველი

შეხვედრის პროცესიც ერთობლივი შემოქმედებითი ძიების, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, კომუნიკაციისა და დიალოგის კულტივირების პროცესად წარმოვიდგინოთ?!

დღეს ჩვენი საარსებო სივრცე ურთულესია: მსოფლიო გლობალური სივრცის (პოსტმოდერნის) გვერდით ჩვენს ქვეყანაში არსებობს პოსტკომუნისტური, და ამავე დროს, ქართული ანუ ეროვნული სივრცე. ამ რთულ სივრცეში გზის გასაკვლევად ხომ არ მომწიფდა იმის დრო და აუცილებლობა, რომ მარტოოდენ კი არ გავაუკეთესოთ ან გარდავქმნათ ჩვენი მეცნიერული და მეთოდური კომუნიკაციების არსი და ფორმა, არამედ კარდინალურად შევცვალოთ ტრადიციული კომუნიკაციების გამოუსადეგარი გზები?!

როდესაც ახლებურ კომუნიკაციებზეა საუბარი, უსათუოდ უნდა გავერკვიოთ ორ გარემოებაში: 1. ჩვენ რას ვთავაზობთ სტუდენტებს და 2. რას მოითხოვენ ჩვენგან დღევანდელი სტუდენტები.

ადამიანს არც მხოლოდ არსებობა შეუძლია და არც მხოლოდ სიცოცხლე. მან უნდა იცხოვროს ადამიანური ცხოვრების შესაფერისად, ანუ თავისი აზროვნების იდეალური მოდელების გასაგნების გზით. ადამიანის მიერ შექმნილი როგორც სულიერი, ასევე მატერიალური და სოციალური კულტურის სტრუქტურული სირთულისა და ნაირგვარობის საფუძველს ადამიანური ცხოვრების შესატყვისი შემოქმედებითი ძიება წარმოადგენს. ძიებას, როგორც კულტურულ აქტს, არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს დასასრული. იგი პერმანენტულად უნდა მოიპოვებდეს ადამიანის ცხოვრების გაუკეთესების მიზანსაც და გზასაც. ადამიანის სიცოცხლე, ცხოვრების სიმაღლეზე — სახელდობრ მისი თავისუფალი აზროვნებისა და შემოქმედებითი შრომის შემწეობით ფორმდება.

მოდით, პირველი, რასაც ჩვენ სტუდენტებს შევთავაზებთ, იყოს მათი არა იძულება, არამედ გამოწვევა თავისუფლად სააზროვნოდ, ანუ პედაგოგიურ ამოცანად დავისახოთ სტუდენტის

შესვლა აზროვნების სამყაროში, ხოლო ჩვენი საარსებო სივრცე — ამ სამყაროში შესვლის სიტუაციად წარმოვიდგინოთ.

მაინც რა გზით შეიძლება მივალწოთ სტუდენტების პოტენციური სააზროვნო უნარის რეალიზაციის იდეალურ მიზანს?

იქნებ წინასწარ შედგენილი, რაღაც გეგმას დაქვემდებარებული, რაღაც ტრივიალური, უკვე ათასგზის მოსინჯულ-გადაღეჭილი და დაშტამპული ტირადით კათედრიდან ანუ „პედაგოგოცენტრული“ სტრატეგიით, რომლიდანაც სტუდენტის მიერ გადახვევის რაიმე მცდელობაც კი აპრიორულად დათრგუნულია, რაც აპრიორულადვე გამორიცხავს ახალგაზრდის სააზროვნო ნაპერწკლის გაღვივებას და მას ქვეშევრდომად აყალიბებს?

იქნებ კარს მოგვადგა დრო ალტერნატიული ძალისხმევისთვის? „აღამიანის ძალისხმევის მთავარი ნიშანი არსებობაში რაღაცის შეყვანის კარი, ანუ გზაა. თუ არ არის ეს ძალისხმევა, თავისთავად არაფერი იარსებებს. არაფერი სრულდება ხლომილებაში ჩვენი ძალისხმევის ჩაურთველად“ (მ. მამარდაშვილი).

ძალისხმევა აზროვნების სამყაროში დროულად შესვლას სჭირდება. როგორ ვასწავლოთ კულტუროლოგია, თუ ამ გზას არ დავადექით?! კულტურა — წესრიგია, როგორც აზროვნების, ასევე კომუნიკაციის. მე, ლექტორი, როგორ დავამყარებ ამ წესრიგს, თუ აპეირონიდან „გამომეტიჩრებული“ ნაწილივით პირველწყაროსკენ, — გამოთლიანებისკენ კი არ დავიწყებ სწრაფვას, არამედ ჩემს ერთადერთ აზრს, ანუ კულტურულოგიის მეცნიერებაში ასე თუ ისე უკვე დადგენილ ჭეშმარიტებებს მოვახვევ თავს სტუდენტებს და ამით მათ კულტურის ქმნადობისკენ კი არ ვუბიძგებ, არამედ კულტურის მხოლოდ მოხმარების პასიურ, დუნე სივრცეში დასატოვებლად გავწირავ.

ამ შემთხვევაში პრაქტიკულ ფილოსოფიას, ანუ პედაგოგიკას არსებითად მოწყდება ის ჭეშმარიტება, რომ „აღამიანი კულტურის შემოქმედია და ამავე დროს — კულტურა ქმნის

ადამიანს“. გრძნობად-კონკრეტული შინაარსისაგან დაცლილი, უკიდურესად აბსტრაქტირებული ეს ფრაზა თვითმიზნურ ზოგადობას შეიძენს. ეს კი დამღუპველია ჩვენს გარდამავალ პერიოდში, ჯერ კიდევ გამოუკრისტალებელ დემოკრატიულ სახელმწიფო წყობაში.

ინერციით მოძრაობის ფინალი ყოველთვის უძრაობაა. „აზროვნების დამანგრეველი ველის“, აზროვნების 70-წლიანი ვაკუუმის გარდაქმნა თავისუფალ აზროვნებად — ერთადერთი მიზანი და პერსპექტივაა კულტურის, და ამდენად, ადამიანის საარსებოდ.

მაინც რა ხერხი უნდა გამოვიყენოთ სტუდენტებთან ინოვაციური კომუნიკაციების სარეალიზაციოდ? უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი, ჩემის აზრით, ის გახლავთ, რომ სტუდენტისათვის სალექციო თემის გარშემო ლექტორის მიერ მიწოდებული ინფორმაციის დეფიციტი არ უნდა არსებობდეს. ამ ინფორმაციას უსრულყოფილესად უნდა ფლობდეს და აწვდიდეს ლექტორი სტუდენტს, ოღონდ — ნეიტრალურად და უტენდენციოდ, რამდენადაც მისი ერთადერთი მიზანი — სტუდენტთა აზროვნების სპონტანური გაღვივებაა, აზროვნების კულტურის ლოგიკურად აკინძული, თავისუფალი ქმნადობის აქტია. ეს აქტი ერთადერთ შემთხვევაში შედგება: როცა ლექტორის კომუნიკაცია სტუდენტებთან სრულიად ბუნებრივი, თანაბრად ურთიერთგანპირობებული და კეთილმოსურნეა, როდესაც იგი წრფელად ენდობა ახალგაზრდის ცინცხალ გონებას, რომელიც აქ, ამ წუთში, თანატოლებისა და ლექტორის თვალწინ უნდა დაიბადოს მოაზროვნედ, შემოქმედად, მისწვდეს ერთადერთ ლოგიკურად გამართულ ვარიანტს მრავალთა შორის და განიცადოს „შეცნობის სიხარული“ /არისტოტელეს ენით/.

ეს პირველი ნაბიჯი თუ გადაიდგა ძიებისა, იგი დაუსრულებლად გაგრძელდება, რადგან ადამიანი, რომელმაც გააცნობიერა პოტენციური უნარის თვითრეალიზაციის ღირებულება, ამიერი-



დან თვითონვეა თავისი თავის უფალი. მაგრამ თავისუფლება ხომ ამავე დროს აუცილებლობის შეგნებაა! პიროვნება, რომელიც ესესაა გამოიკვეთა, რაკილა მისი და მხოლოდ მისი აზროვნების რეზულტატი გამოამჩეურა, თავისი დამოუკიდებელი ნებით, საკუთარ თავს ვალდებულებას უწესებს შეცნობილი აუცილებლობის წინაშე. ამით თავისუფლება პასუხისმგებლობის საზრისს იძენს!

მაგრამ სტუდენტის სააზროვნოდ გამოწვევის ეს მეთოდი ვინმეს თვითმიზნური რომ არ მოეჩვენოს და ლექტორის არსებობა თავის სტუდენტებთან არა ვერტიკალურ, არამედ ჰორიზონტალურ პლანში აქტუალურ, სადღეისო მეთოდად დაინახოს, — ასეთ დასკვნას შემოგთავაზებდით:

ცხოვრების მიზნის მისაღწევად პროფესიონალიზმია აუცილებელი. პროფესიონალი რომ იყო, სიზუსტეს უნდა იცავდე. სიზუსტის დაცვა ხომ იმას მოასწავებს, რომ იაზროვნო (თუ გნებავთ, გაიხსენო აზროვნების უნარი, თუ გნებავთ, ხელახლა მიაგნო დაკარგულს, აღმოაჩინო!). აზროვნება ერთადერთი გზაა იმ სფეროში შეღწევისა, რომლის ცენტრშიც ადამიანი დგას. ეს კულტურის სფეროა.

მაგრამ აქ უთუოდ იჩენს თავს ერთი სიძნელე. სტუდენტები ხომ სხვადასხვა ინტელექტუალური დონის, განსხვავებული უნარებისა და შესაძლებლობების, არაერთგვაროვანი მოთხოვნილებებისანი არიან?

სამწუხაროდ ფაქტია, რომ სტუდენტი შედის თუ არა უმაღლეს სასწავლებელში, იგი ხვდება გაურკვეველ, და შეიძლება ითქვას, მისთვის საკმაოდ უცხო სისტემაში: სუბიექტის ნაცვლად მრავალი მათგანი იოლად იქცევა ამ სისტემის ზემოქმედების ობიექტად. სტუდენტთა ეს ნაწილი არა მხოლოდ არ ცდილობს პრობლემების მოგვარებას, არამედ ამას, უბრალოდ არც მიიჩნევს თავისი კომპეტენციის სფეროდ.

საბედნიეროდ, არსებობს სტუდენტთა განსხვავებული კატეგორიაც. ისინი თვლიან, რომ აქტიურად უნდა დაიწყო საუბარი მრავალ პრობლემურ საკითხზე, და რაც მთავარია, ახლა! — როდესაც განათლების სისტემის რეფორმის საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია, შემუშავების პროცესშია კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“.

ამ სტუდენტებს სურთ ჩვენთან ერთად შეასრულონ ინდიკატორის როლი განათლების სისტემაში. მათ ესმით მხოლოდ საუბრის კი არა, მოქმედების აუცილებლობა და თვლიან, რომ არსებობს ცვლილებების ორი მექანიზმი: I. ეს არის ნამდვილი თვითმმართველობის მექანიზმის შემუშავება და II. — საზოგადოებრივი ზედამხედველობის მექანიზმის შემუშავება.

როგორ მოვიქცეთ ჩვენ? ვისზე ავიღოთ გეზი? აზროვნების ჩვევების გამომშუშავებელ, აქტიურ, წიგნიერ, ერთი სიტყვით, მოწესრიგებულ, მზადყოფნა სტუდენტებზე? ინდიფერენტულებზე? თუ იმ მორჩილ ნაწილზე, რომელიც რასაც მიაწვდი, გისმენს, იწერს, კითხულობს, იხეპირებს, ბეჯითად გაბარებს, მაგრამ... საკუთარი აზროვნების ჩაურთველად, სხვათა (წიგნების ავტორთა თუ ლექტორთა) აზრების კონსტატაციის გზით. ლექტორისათვის იდეალური იქნებოდა, ორიენტაცია პირველ ვარიანტზე (ვისაც შეუძლია აზროვნება და უნდა) აელო და სასურველი რეზულტატიც არ დააგვიანებდა, მაგრამ ყველაზე პრობლემური სტუდენტთა ორ უკანასკნელ კატეგორიასთან დიალოგის გამართვაა.

ამ დილემის გადასაჭრელად არ ვინჟარებ დაკვნების გამოტანას, ვიდრე არ მოგახსენებთ იმას, თუ რას მოითხოვს ჩვენგან მოაზროვნე სტუდენტი. ეს ახალ, უჩვეულო ღირებულებათა ჩამოყალიბების მცდელობასთან დაკავშირებული მოთხოვნებია. მათი აზრით, განათლების სისტემაში შესაცვლელია მეთოდოლოგია და მისაღები გამოცდები, გადასაჭრელია შეფასების პრობლემა, აუცილებლად გასათვალისწინებელია სოციალური

შეკვეთა, ისინი თვლიან, რომ დემოკრატიზაციის პროცესი უპირველესად სტუდენტებისთვის მონაწილეობის გაზრდასა და თვითმმართველობას გულისხმობს (უცხოური გამოცდილებისა და ქართული მოდელის ურთიერთშეჯერებით); აგრეთვე ლექტორებისა და სტუდენტების რეიტინგს, საგნების არჩევანის პრობლემას ითვალისწინებს; ხოლო განათლების სისტემაში რეფორმა მსოფლიო ბანკისა და UNDP-ის (გაეროს განვითარების პროგრამა) დასკვნების გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს. უმაღლესი განათლების კანონპროექტი სტუდენტების მონაწილეობით უნდა შედგეს.

ამ სერიოზული განაცხადის უკან მდგომი სტუდენტები თვლიან, რომ ცოდნის მიღების პროცესი ლექციაზე უფრო ნაყოფიერია, რაც უფრო აქტიურადაა მასში სტუდენტი ჩართული. ეს კი ფაქტიურად შეუძლებელია, როდესაც ლექტორი ერთი საათის განმავლობაში, ყოველგვარი პაუზის გარეშე გადმოსცემს თავის სათქმელს. სტუდენტისთვის ხშირად მიუღებელია ისიც, რომ ლექტორი მას აწვდის უკვე მზა, დამუშავებულ ინფორმაციას, არც თუ იშვიათად, თვით ამ ლექტორის მეტად სუბიექტური მოსაზრებით დატვირთულს. არადა, სტუდენტისათვის მნიშვნელოვანია სწორედ ობიექტური ინფორმაცია, რომელზე მსჯელობაც შემდეგ ლექტორსა და სტუდენტს შორის უნდა გაიმართოს თანაბარ საწყისებზე...

ეს სტუდენტები სამართლიანად თვლიან, რომ მათ თვითონ უნდა დაიცვან თავიანთი უფლებები. მოქალაქე, რომელმაც იცის საკუთარი უფლებები და მათი დაცვის გზები, უკვე აღარ არის დაუცველი. მათ ისეთი ლექტორები სურთ, რომლებიც სწორად დააკვალანებენ უმცროს თანამოაზრეებს, ან ოპონენტებს, ყოველგვარი კომუნიკაციის მიზანი ხომ ურთიერთგაგებაა!

ჩვენ, რომელთაც ამგვარ მოქალაქეთა აღზრდაში გარკვეული წვლილის შეტანა გვაკისრია, გვაქვს კი იმის უფლება, ისინი შპენგლერის, თოინბის, ვებერის, ელიოტის, პრუსტის, ეკოს ნააზრე-

ვის, ანუ პირველწყაროების ნაცვლად, მავანის მიერ ინტერპრეტირებული ლიტერატურისაკენ მივდენოთ, ან მით უარესი, ჩვენი აზრებითა და ტენდენციებით შევზღუდოთ? ალბათ არა! აი, იმ დანარჩენ ორ კატეგორიასაც (გულგრილთა და დამშეპირებელთა) უფრო კომუნიკაბელურს გაეხდით, როცა ჩვენი ინოვაციური კომუნიკაციით მივახვედრებთ, რომ კონკურენტუნარიანები თუ არ იქნებიან თუნდაც პირველი კატეგორიის სტუდენტებთან კამათის დროს, მათ გარიყავს აზრის დინება და სადღეისო ცხოვრების შუაგულიდან სადღაც ნაპირზე აღმოჩნდებიან.

არადა, უმაღლესი მიზანი და ღირებულება ცხოვრებაა! ყველაფერი, რაც ადამიანურ სამყაროში შემოდის კულტურის საგნის სახით, ცხოვრების, როგორც უმაღლესი მიზნისადმი დაქვემდებარებულ გზათა მწკრივად განიხილება. უნდა შევქმნათ ეს ღირებულება კულტურის განუწყვეტელი ქმნადობით. მთელი თანამედროვე აზროვნება ცენტრირებულია კულტურის იდეით. კულტურა კი თავისუფალი აზრის ნაყოფია.

სტუდენტს თუ დავეხმარები აზროვნების სამყაროში შესვლის სიხარული განვაცდევინო, — მისი შეურყვნელი გონების გარჯა, წრფელი სულის სასურველ კალაპოტში დინება ხომ ჩემთვისაც ჭკუის სასწავლებელი და დიდი სარგებლობის მომტანია.

გვჭირდება დრო, გვჭირდება სივრცე, გვჭირდება ერთმანეთი, რათა დავამკვიდროთ ურთიერთობების ახალი ღირებულება, ახალი კულტურა. კულტურის დამკვიდრების გზას თვით კულტურისვე დიდაქტიკა მოგვაპოვებინებს!

მაგრამ ყველაზე მეტად გვჭირდება უნივერსიტეტებში მოსული სრულწლოვანი ინდივიდების ინტელექტის გარკვეული დონე, რაც ჩვენამდე უნდა ყალიბდებოდეს საშუალო სასწავლებლებში. ეს ჩვენი კომპეტენციის მიღმაა, მაგრამ თუ სკოლის ძირფესვიანი რეფორმა არ განხორციელდა, უიმისოდ ალბათ არც ღირდა საუბარი იმაზე, რაც მოგახსენეთ! სწორედ იქ უნდა მოხ-

დეს მოსწავლეთა დიფერენციაცია თავიანთი მიდრეკილებების მიხედვით, გამოიკვეთოს განსაკუთრებული უნარის მქონე ბავშვები, რომლებზე პატრონატიც სახელმწიფომ უნდა აიღოს თავის თავზე, რადგან ეს სწორედ სახელმწიფოებრივი საქმეა! გასაგებია, რომ სკოლის რეფორმის განხორციელება შრომატევადი და ხანგრძლივი პროცესია, მაგრამ უმაღლესი განათლების რეფორმაც ამთავითვე და პარალელურად თუ არ დაეიწყეთ, მაშინ ალბათ წლები დაგეჭირდება სასურველი ფინალისათვის.

**Dr. L. GWASSALIA**

## **KULTUROLOGIE – EINTRITT IN DIE WELT DES DENKENS**

**(Staatliche Ilia-Tschavtschavadze-Universität  
für Sprache und Kultur. Tbilissi)**

Der Eintritt in den noch nicht gestalteten Kulturraum des 20. Jahrhunderts bedarf einer umfassenden Bewusstseins-transformation. Dies gilt insbesondere dann, wenn es um das postsowjetische Bewusstsein geht.

Was soll Kulturdidaktik in Bezug auf die Verwirklichung dieses Zieles bedeuten? Vor allem eines - den Eintritt in die Welt des Denkens! Es ist nicht so leicht, den Sinn zu erläutern, aber eines ist klar: Es darf keine Rückkehr in die totalitäre Welt geben. Unserer Meinung nach besteht für uns die wichtigste Aufgabe darin, die **Studenten** für den Zugang in den heuen Kulturabschnitt vorzubereiten.

Ich will versuchen, dieses Problem aus meiner Sicht darzustellen und möchte mit folgender Frage beginnen: Wenn Kultur eine anthropozentrische Welt, d.h. vom Menschen geschaffen ist, warum können wir uns die Begegnung des Hochschullehrers mit seinen Studenten nicht als Kultivierung eines gemeinsamen Forschungsproz-

esses, besser gesagt, einer Einheit von Kommunikation und Dialog vorstellen?!

Heute ist unser Existenzraum höchst kompliziert: Neben dem postmodernen existieren noch der postkommunistische und der georgische bzw. die nationalen Räume. Um uns durch diese vielfältigen, komplizierten Räume Bahn zu brechen, sollten wir nicht nur den Inhalt und die Form unserer wissenschaftlichen und methodischen Kommunikationen zu verbessern suchen bzw. diese umgestalten, sondern die nicht mehr tauglichen Wege der traditionellen Kommunikationen grundsätzlich verändern.

Wenn über die neue Kommunikationsart die Rede ist, sollten zwei Fragen gestellt werden:

Was bieten wir unseren Studenten an?

Was erwarten die heutigen Studenten von uns?

*Nur existieren* oder *nur leben* kann der Mensch nicht. Sein Leben muss menschenwürdig sein, d.h. gestaltet durch die Verwirklichung seiner eigenen Denkmodelle. Der Grund für die strukturelle Kompliziertheit und Vielfalt der vom Menschen geschaffenen geistigen, materiellen und sozialen Kultur ist in dem, dem Menschenleben angemessenen schöpferischen Forschungsprozess angelegt. Forschung als Kulturakt hat kein Ende und kann es auch nicht haben. Sie muss sich fortwährend jener Ziele und Wege vergewissern, die der Verbesserung des Lebens dienen. Das menschliche Leben wird durch sein freies Denken und seine schöpferische Tätigkeit gestaltet.

Wir sollten also unsere Studenten zum freien Denken einladen, d.h. uns zum pädagogischen Ziel setzen, die Studenten in die Gedankenwelt heran zu führen und dabei unseren Existenzraum als einen Raum einrichten, in den ein solcher Zugang sich ereignen kann.

Wie gelingt es uns am besten, die Denkfähigkeit der Studenten zu aktivieren? Natürlich nicht mehr durch eine pädagogisch-zentrische Strategie, die den jungen Menschen, wenn nicht zu einem intellektuellen Sklaven, doch zu einem Untertanen macht.

Vielleicht ist jetzt die Zeit alternativer Strategien gekommen?

Der Anspruch etwas Neues zu schaffen ist eines der Hauptmerkmale menschlicher Bemühungen. Kultur ist eine Ordnung - sowohl des Denkens als auch der Kommunikation. Wie könnte aber der Hochschullehrer Ordnung schaffen, wenn er anstelle des Strebens nach dem Ursprünglichen und Ganzen, den Studenten mehr oder weniger bestimmte Wahrheiten aufzuzwingen versucht? Dadurch würde man die Studenten nicht zu Schaffenden, sondern nur zu Konsumenten der Kultur machen.

Die Wahrheit, dass „die Kultur vom Menschen und der Mensch durch die Kultur geschaffen wird“, würde in diesem Fall durch die praktische Philosophie, d.h. von der Pädagogik aufgehoben. Dieser ziemlich allgemein gehaltene Satz gewinnt den Charakter eines Selbstzieles. So etwas kann aber in unserer Übergangsperiode, in der noch nicht ausgebauten demokratischen Gesellschaftsordnung, gefährliche Wirkung entfalten.

Die durch Trägheit gehemmte Bewegung endet im Stillstand. Die Umwandlung eines siebzigjährigen, sich selbst zerstörenden Vakuums in freies Denken - so sollte man das Ziel der kulturschaffenden Tätigkeit in unserer Übergangsperiode nennen.

Welches Verfahren ist zur Realisierung der innovativ wirkenden Kommunikation mit den Studenten das richtige?

Das Wichtigste ist - meiner Meinung nach - dass das Vorlesungsthema nicht durch Informationslücken seitens des Hochschullehrers leidet. Über alle mit dem Vorlesungsthema verbundenen Informationen muss dieser verfügen und sie den Studenten vermitteln, jedoch in neutraler, nicht tendenziöser Weise. Sein Hauptziel soll darin bestehen, die Denkfähigkeit des Studenten zu wecken und bei ihm den Denkprozess in frei zu setzen. Das kann aber nur geschehen, wenn die Kommunikation zwischen Hochschullehrer und Studenten einen natürlichen, und keinesfalls direktiv-unterordnenden

Charakter hat. Der Hochschullehrer wendet sich vertrauensvoll an den Studenten, um aus ihm einen Denker und Schöpfer zu machen – einen Schöpfer, der gleichzeitig die Freude an der Erkenntnis erleben kann und muss.

Nach diesem ersten Schritt des Weges wird der Prozess jedoch noch lange dauern, denn der Mensch, der die Bedeutung der Selbstverwirklichung verstanden und erlebt hat, ist gleichzeitig auch verantwortlich für sich selbst. Freiheit ist auch die Einsicht in Notwendigkeiten. Die Person, die ihr eigenes Denken zum Ausdruck bringt, übernimmt gegenüber erkannten Notwendigkeiten Verantwortung. Hierdurch gewinnt Freiheit Sinn auch in der Verantwortlichkeit.

Es besteht aber die Gefahr, dass diese Methode zum Selbstzweck wird. Um das zu vermeiden, und um die Kommunikation des Hochschullehrers mit seinen Studenten horizontal auszugestalten, sollte man meines Erachtens folgendes berücksichtigen:

Letztlich kann ein Lebensziel nur durch Professionalität erreicht werden. Natürlich gehört zur Professionalität exaktes Denken. Aber wie sollte diese Exaktheit aussehen, wenn Denken Eindringen in jene Wirklichkeit bedeuten soll, in deren Mitte der Mensch steht, – d.h. in die Wirklichkeit der Kulturen?

Hier entsteht sicherlich ein Problem. Die Studenten sind nach ihren Befähigungen und Fertigkeiten, nach ihrem intellektuellen Niveau unterschiedlich und sie haben auch verschiedene Bedürfnisse.

Leider gerät der Student nach der Immatrikulation in ein ihm fremdes und schwer verständliches System. Statt zum Subjekt dieses Systems zu werden, wird er jetzt allzu oft zum Objekt und steht unter dessen Einfluss. Charakteristischer Weise versuchen diese Studenten nicht, ihre Probleme aktiv zu lösen; sie glauben sogar, dass diese Probleme nicht von ihnen zu lösen sind.

Zum Glück gibt es auch eine andere Kategorie der Studenten. Diese wollen sich mit vielen aktuellen Problemen befassen. Und das



geschieht in unserem Land gerade jetzt - im Moment - in dem unser Bildungssystem reformiert wird, und die Arbeit am Hochschulbildungsgesetz ihren Fortgang nimmt.

Diese Studenten sind bestrebt, gemeinsam mit uns die Richtung der Reform zu bestimmen; sie handeln aus der Erkenntnis dass es höchste Zeit ist, von der Besprechung von Problemen zu deren praktischer und aktiver Lösungen überzugehen. Sie schlagen zwei Richtungen vor:

Bildung einer realen Selbstverwaltungsinstitution und  
Entwicklung einer öffentlichen Aufsichtsinstitution.

Was sollen wir tun? An wem sollen wir uns orientieren? An den kritikfähigen und aktiven Studenten oder an den indifferenten? Vielleicht an jenen Studenten, die sich unterordnen, die aufmerksam zuhören, Notizen machen, alles „einpaucken“, jedoch nicht mitdenken?

Für den Hochschullehrer wäre es am aussichtsreichsten, sich an die erste Kategorie der Studenten zu richten, also auf die aktiv Mitdenkenden. Schwieriger aber ist der Dialog mit den Studenten der letzten Kategorie, also den sogenannten „Nicht- Denkenden“.

Bevor ich Lösungsmöglichkeiten für diese Fragen anbiete, möchte ich darauf eingehen, was der mitdenkende Student von

uns verlangt: Diese Studenten sehen die Notwendigkeit, die Methodologie des Bildungssystems, der Aufnahmeprüfungen und der Evaluation zu ändern. Die Studenten meinen, bei der Reform des Bildungssystem müsse unbedingt die Frage des sozialen Auftrages berücksichtigt werden. Nach ihrer Meinung beinhaltet der Demokratisierungsprozess im Bildungsbereich vor allem die Steigerung der studentischen Aktivitäten und der Selbstverwaltung; die Bestimmung des Rating-Systems der Studenten und Hochschullehrer; das Problem der Einführung des Wahlfächer-Systems. Diese Studenten wollen einen Reformprozess im Bildungssystem unter Berücksichtigung der Beschlüsse der Weltbank und des UNDP. Sie meinen,

dass sie an der Vorbereitung des Hochschulgesetzes beteiligt werden sollten.

Die so eingestellten Studenten wollen sich am Studienprozess - ja sogar am Vorlesungsprozess beteiligen, weil sie meinen anderenfalls kein relevantes, aktives Wissen erwerben zu können.

Das ist aber praktisch ausgeschlossen, wenn der Hochschullehrer in seiner Vorlesung fast ununterbrochen redet und den Studenten bereits fertig überarbeitete - gelegentlich auch subjektiv gefärbte - Informationen vermittelt. Der Student erhebt Anspruch auf objektive Information, über die er anschließend, als gleichberechtigter Gesprächspartner, mit dem Hochschullehrer diskutieren kamt.

Diese Studenten sehen sich in der Lage, und damit haben sie völlig recht, dass sie ihre Standpunkte und Rechte selbst verteidigen können und sollen. Der Mensch, der seine Rechte kennt und sie zu verteidigen imstande ist, ist nicht mehr passiv ausgeliefert. Diese Studenten wollen solche Hochschullehrer, von denen sie sozusagen als junge Kollegen gesehen werden. Das Ziel jeder Kommunikation ist gegenseitiges Verständnis.

Wir Pädagogen, die zur Erziehung in diesem Sinne beitragen möchten, haben kein Recht darauf, unseren Studenten anstatt der

Originalwerke von z.B. Spengler, Toinby, Jung und Weber eine bloß interpretierende Literatur zu empfehlen (was im sowjetischen Bildungssystem üblich war) oder noch schlimmer, ihnen unsere eigenen Gedanken und Tendenzen aufzudrängen. Das darf auf keinen Fall geschehen.

Mit Hilfe innovativer Kommunikationsmuster können wir auch die „Indifferenten“ motivieren, umso mehr, weil ihnen diese selbst verdeutlichen, dass sie anderenfalls auf eine Konkurrenzfähigkeit verzichten.

Leben sollte für uns der höchste Wert und das höchste Ziel sein. Alles das, was für die Menschen als Kultur wirkt, kann und darf nur als im menschlichen Sinne wertvoll betrachtet werden. Dieses Wert-

volle sollte durch kontinuierliches ‚Kulturschaffen‘ entstehen. Das moderne Denken konzentriert sich um die Kulturidee. Kultur aber ist das Ergebnis freien Denkens.

Wir brauchen Zeit und Raum. Wir brauchen einander, um einen neue Wert der Kommunikation, eine neue Kultur entstehen zu lassen. Die Kulturdidaktik selbst lässt uns neue Wege zur Kultur finden. Vor allem brauchen wir an unserer Universität Individuen mit einem bestimmten intellektuellen Niveau, mit dem Niveau, das während der Schulzeit herangebildet wurde.

Das allerdings liegt außerhalb unserer Kompetenz. Solange im Schulbereich keine grundlegenden Reformen durchgeführt werden, sind meine gerade dargestellten Grundsätze wirkungslos. Unerlässlich ist, dass die Schüler in der Schule nach ihren Neigungen gefördert werden, auch die besonders Begabten. Die Schulreformen sind ein langfristiger Prozess. Parallel dazu muss die Hochschulbildungsreform konsequent fortgeführt werden.

**Dr. L.GVASSALIA**

## **CULTUROLOGY – A WAY INTO THE WORLD OF THOUGHT**

(Tbilisi Ilia Chavchavadze State University of Language and Culture)

Summary

Entering the cultural space of the XXI Century, i.e. the Space that has not yet been structured, needs worldwide transformation of mental orientation, especially when one has to deal with the postsoviet mentality.

From our point of view the immediate object of concern for University teachers is the readiness of students to enter the new cultural space.

If culture is an unthropocentrically structured reality, i.e. if man is the creator of culture, then why could't we conceive each process of communication between a teacher and a Student as the process of mutual creative search or as a process of cultivating communication and dialogue.

While discussing new forms of communication we should make the following two points clear: 1. What do we propose to students and 2. What would present day students expect from us?

Let our first communicational movement towards the students be not compulsion but challenging them to thinking i.e. let our pedagogical goal be first of all making them enter the world of thinking - thinking being the only way to enter the sphere where a human being stands for the centre. We mean the sphere of culture.

The intelligent students think that they should discuss problematic matters now that the problem of the reform of educational system is especially actual, when the draft-law „On Educational System“ is being prepared.

To their minds the methodology of teaching and entrance exams should undergo changes the criterion of evaluation is to be elaborated, social demands taken into consideration. The process of democratization means first of all the widening of students“ role introducing selfgovernment through connecting foreign experience and the Georgian model. The reform of the educational system must be carried out according to the conclusions of the World Bank and UNDP, The draft law on the High School education system should be worked out and students should participate.

It is quite possible to enter into a dialogue with the students who make such serious Claims. The aim of any communication is understanding.

The whole present day thinking is centred to be the idea of culture and culture is the product of free thinking.

## კულტურის ფენომენი ფილოსოფიურ-სისტემურ ჭრილში

როდესაც კვლევის მიზანს კულტურის ფენომენი წარმოადგენს, უწინარეს ყოვლისა, ყურადღება ტერმინ „კულტურის“ ეტიმოლოგიურ მნიშვნელობაზე უნდა გავამახვილოთ. ეს ტერმინი იმთავითვე გადამუშავებულს, ადამიანის ნაზრუნევს, ხელოვნურს აღნიშნავდა, რაც ბუნებრივის, პირველქმნილის საწინააღმდეგოდ გამოიყენებოდა.

დროთა განმავლობაში ტერმინმა „კულტურა“ თავის თავში მოიცვა საგანთა, მოვლენათა, მოქმედებათა ფართო სპექტრი, რომელთა საერთო თვისებებს წარმოადგენდა ბუნების და ბუნებრივის საპირისპირო ხასიათი, ანუ მათი არა ღვთაებრივი, არამედ ადამიანური წარმოშობა. შესაბამისად, თვითონ ადამიანიც, იმ ზომით, რომლითაც იგი განიხილებოდა როგორც საკუთარი თავის შემოქმედი, ხვდებოდა კულტურის სფეროში. ოღონდ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის ფაქტი, რომ მოვლენა, რომელიც კაცობრიობამ აღნიშნა ცნებით — „კულტურა“, საზოგადოებრივი ცნობიერების მიერ გაცვილებით უფრო ადრე იყო შექმნილი და გამოყოფილი, ვიდრე რომაელებთან გამოჩნდებოდა ტერმინი — „კულტურა“. ძველბერძნული „ტექნე“ (ხელობა, ხელოვნება, ოსტატობა, აქედან ტექნიკა), რომელსაც არ ჰქონდა ისეთი ფართო, განმაზოგადებელი მნიშვნელობა, როგორც ლათინურ „კულტურას“, პრინციპში იმასვე ნიშნავდა, — ადამიანურ მოქმედებას, ანუ უფრო უკეთ, მოღვაწეობას, მატერიალური სამყაროს გარდაქმნას, ბუნებრივი საგნობრიობის ფორმის შეცვლას.

როდესაც ადამიანი შეიჭრა ბუნებრივ სამყაროში და ბუნებას ადამიანური დალი დააჩნია, ეს არ იყო ღვთაებრივი ქმნილება. ღვთაებრივი მხოლოდ **თავისუფლება** და **არჩევანის უფლებაა**, რაც ღმერთმა უწყალობა მისი კრეაციული მოღვაწეობის ნაყ-

ოფს, მოაზროვნე არსებას, ადამიანს! მაგრამ რა მოთხოვნილება ამოდრავებდა ამ დროს ადამიანს, როდესაც ბუნების კორექტირება მოინდომა? პასუხი ალბათ ასეთია, — ეს იყო თვითშემეცნების, თვითგაცნობიერების, თვითშეფასების ძლიერი, კაცობრიობისათვის მასახიათებელი პოტენცია.

რაც შეეხება კულტურის არსის ფილოსოფიურ დონეზე გააზრებას, ეს იწყება შედარებით გვიან, მხოლოდ მე-17—მე-18 საუკუნეებში პუფენდორფის, ვიკოს, ჰელვეციუსის, ფრანკლინის, ჰერდერის, კანტის მოღვაწეობებში. ადამიანი განისაზღვრება როგორც არსება, დაჯილდოებული გონებით, ნებელობით, შემოქმედებითი უნარით, ხოლო კაცობრიობის ისტორია — როგორც მისი თვითგანვითარება საგნობრივი მოღვაწეობის წყალობით, ამ მოღვაწეობის მრავალფეროვანი ფორმების ყველაზე ფართო სპექტრით — ხელობიდან და მეტყველებიდან დაწყებული — პოეზიითა და თამაშით დამთავრებული.

კულტურის თეორიის შემდგომი ბედი ევროპულ ფილოსოფიაში იმით იყო განპირობებული, რომ ყოფიერება, სამყარო, სინამდვილე მოიაზრებოდა როგორც ორნაწილიანი, რომელიც თავის თავში მოიცავდა ბუნებასა და კულტურას; ამიტომაც ფილოსოფია უნდა ყოფილიყო ნატურფილოსოფიური ტიპის ონტოლოგიაც და კულტურის თეორიაც, გაგებული როგორც „სულის სამეფო“, როგორც „ადამიანის სამყარო“, როგორც ცნობიერების განსხვავებულ ფორმათა ერთიანობა — ზნეობრივის, რელიგიურის, ესთეტიკურის და ა.შ. ოღონდ მე-19 საუკუნის მეცნიერებაში გაბატონებულ ანალიტიკურ სულისკვთეობას იქამდე მივყავართ, რომ კულტურა თავის მთლიანობაში კი არ განიხილებოდა როგორც რთულად ორგანიზებული სისტემა, არამედ თავის ამა თუ იმ კონკრეტულ, ავტონომიურ გამოვლენაში, რის გამოც კულტურის ფილოსოფია ისეთ კერძო დისციპლინებად განშტოვდებოდა, როგორებიცაა: რელიგიის ფილოსოფია, ეთიკა, ესთეტიკა,

ენის ფილოსოფია, გნოსეოლოგია, აქსიოლოგია, ანთროპოლოგია... პოზიტივიზმის გავლენით კულტუროლოგიური ცოდნის სფერო სულ უფრო ვიწროვდებოდა და ემპირიულ-ისტორიული ხდებოდა, რის შედეგადაც საერთოდ გადადიოდა ფილოსოფიური ხედვის სფეროდან კონკრეტულ მეცნიერებათა ფარგლებში (ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის, ხელოვნებათმცოდნეობის, ტექნიკისა და ტექნოლოგიის ისტორიის).

ჰეგელის შემდეგ სულ უფროდაუფრო იშვიათი ხასიათი აქვს კულტურის ერთიანად დანახვის, მისი აგებულების მიღწევის, მისი განვითარების კანონებისა და ფუნქციების ჩვენების ცდებს. კულტუროლოგიის ნაშრომი ან კულტურის ამა თუ იმ ისტორიული ტიპის შესწავლაზე დაიფუძნება — პირველყოფილის, ანტიკურის, შუასაუკუნეობრივის, თუ რენესანსულის, რასაც ვხვდებით ბურკჰარდთან, ტეილორთან, ჰაიზინგასთან, ბახტინთან, გურევიჩთან, — ან კულტურის ზოგიერთი განსხვავებული ისტორიული და ეთნიკური ტიპების დახასიათებაზე — დანილევსკი, შპენგლერი, სოროკინი, თონიბი. ასეთი კონკრეტულ-ისტორიული და ეთნოტიპოლოგიური მიდგომის დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, რომელიც გვიჩვენებს კაცობრიობის მიერ გამოძეგნილი კულტურული ფორმების სიმდიდრესა და ამ ფორმათა ისტორიული ცვალებადობის ზოგიერთ კანონზომიერებას, თვითონ კულტურის არსი, მისი ინვარიანტული მახასიათებელი ნიშნები უფრო ეფემერული და მოუხელთებელი რჩება და კულტურის ფენომენალური ფორმების მრავალფეროვნებაში იფანტება. აღინიშნა კიდევ მე-19 საუკუნის დასასრულს კულტურის არსის გაგების არსებითი განსხვავებანი (პ. ი. მილიუკოვი — „რუსული კულტურის ისტორიის ნარკვევები“). მეცნიერთა ნაწილი კულტურას კაცობრიობის გონებრივ, ზნეობრივ, რელიგიურ ცხოვრებაზე დაიფუძნებს, სხვები კი „კულტურის“ ცნებას იყენებენ მისი თავდაპირველი, ფართო მნიშვნელობით, სადაც

ეს ცნება მოიცავს შინაგანი ისტორიის ყველა მხარეს: ეკონომიკურსაც, სოციალურსაც, სახელმწიფოებრივსაც, გონებრივსაც, ზნეობრივსაც, რელიგიურსაც და ესთეტიკურსაც.

სხვათაშორის, გასაკვირი არაა ის ფაქტი, რომ 1952 წელს ა. კრებერისა და კ. კლაკჰონის მიერ ერთგვარად შეჯამდა კულტუროლოგიური აზროვნების მონაპოვარი მათ ფუნდამენტურ, განმაზოგადებელ გამოკვლევაში — „კულტურა“, სადაც მათ მიერ დაჯგუფებულია კულტურის ცნების 180(!) განსხვავებული დეფინიცია. გამოყოფილ რუბრიკათა განსაზღვრებებია: „აღწერითი“, „ისტორიული“, „ნორმატიული“, „ფსიქოლოგიური“, „სტრუქტურული“, „გენეტიკური“ და „არასრული“, რომელნიც საკმაოდ კარგად, გამომსახველად გვიჩვენებენ, რაოდენ მრავალმხრივია საკვლევი მოვლენა და რაოდენ ქაოტურია მისი მეცნიერული შესწავლის ზოგადი სურათი.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტი, სადაც თავის დროზე ანთროპოლოგიის განყოფილება ჩამოყალიბდა აკადემიკოს ანგია ბოჭორიშვილის ხელმძღვანელობით, ძალზე საინტერესოდ მუშაობდა კულტურის პრობლემებზე. ლაპარაკია აწ განსვენებულ ფილოსოფოსებზე: ანგია ბოჭორიშვილზე, ზურაბ კაკაბაძეზე, ნიკო ჭავჭავაძეზე, არჩილ ბეგიაშვილზე, ოთარ ტაბიძეზე, ოთარ ჯიოთხე. დღეს კი ამ მიმართულებით მუშაობენ გურამ ლებანიძე, ნოდარ ნათაძე, სერგი ავალიანი, გერონტი შუშანაშვილი, ავთანდილ ძამაშვილი, ვანო ჭიაურელი და სხვები. ყველა ისინი საინტერესო ფილოსოფიურ-ანთროპოლოგიურ მოსაზრებებს გამოთქვამენ როგორც კულტურის სტრუქტურაზე, კულტურასა და ღირებულებაზე, შემოქმედებაზე, ასევე მეთოდოლოგიასაც გვთავაზობენ კულტურის კვლევის წესებზე. რაც ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა, მათ ყურადღება დაუთმეს ერს, ენასა და კულტურას.



მინდა აღვნიშნო, რომ 1983 წელს, ტორონტოში გაიმართა მე-17 მსოფლიო ფილოსოფიური კონგრესი, რომელიც სპეციალურად მიეძღვნა პრობლემას „ფილოსოფია და კულტურა“. ამ კონგრესზე წარმოდგენილ იქნა თანამედროვე ფილოსოფოსთა კულტურისადმი მიდგომის ფართო სპექტრი: თეოლოგიურიდან მარქსისტულამდე, რაციონალისტურიდან ემოტივისტურამდე, ტექნოლოგიურიდან სიმბოლისტურამდე, კრეაციულიდან დესტრუქტივისტურამდე. კონგრესის მუშაობამ აჩვენა, რომ ჩვენს დროშიც მსოფლიო კულტუროლოგიურ აზროვნებაში არა მხოლოდ კულტურის ერთიანი გაგება არ არსებობს, არამედ არც საერთო შეხედულება მისი შესწავლის გზაზე, რომელსაც ექნებოდა უნარი გადაელახა მეთოდოლოგიური უთანხმოება (აზრთა სხვაობა), დღევანდელ კულტუროლოგიაში რომაა გამეფებული. ცნება „კულტურის“ მრავალმნიშვნელობა იძულებულნი არიან იმ ავტორებმაც აღნიშნონ, რომელთა მონოგრაფიები უკანასკნელ წლებში გამოქვეყნდა და რომლებიც კულტურის თეორიის პრობლემებს ეძღვნება. მაგალითად, მ. დე სერტო საფრანგეთში, კ. ჯენკსი ინგლისში, პ. გურევიჩი, ბ. ერასოვი, ი. იაკოვეცი რუსეთში.

ხსენებულ სიტუაციაზე თვალსაჩინო წარმოდგენა რომ შეიქმნას, კულტურის განსაზღვრებათა რიგს მოვიტან, რომლებიც შემოგვთავაზეს გამოჩენილმა ევროპელმა, ამერიკელმა და ქართველმა მეცნიერებმა:

1. კულტურა არის კომპლექსი, რომელიც მოიცავს ცოდნას, რწმენას, ხელოვნებას, კანონებს, მორალს, ადათებსა, და სხვა უნარ-ჩვევებს, რომლებიც მოპოვებულია ადამიანის, როგორც საზოგადოების წევრის მიერ (ე. ტეილორი).

2. კულტურა არის „მხატვრული სტილის ერთიანობა ხალხის ცხოვრების ყველა გამოვლინებაში“ (ფ. ნიცშე).

3. კულტურა არის მაღალორგანული უნივერსუმის კულტურული ასპექტი, რომელიც მოიცავს წარმოდგენებს, ღირე-

ბულებებს, ნორმებს, მათ ურთიერთქმედებასა და ურთიერთ-დამოკიდებულებას (პ. სოროკინი).

4. კულტურა — ქცევის ფორმებია, ჩვეული ჯგუფების, ხალხთა ურთიერთობების, სოციუმისათვის, რომელთაც აქვთ მატერიალური და არამატერიალური ნიშნები (კ. იუნგი).

5. კულტურა არის ადამიანის პროგრესულად თვითგათავისუფლების პროცესი. ენა, ხელოვნება, რელიგია, მეცნიერება — ამ პროცესის განსხვავებული ფაზებია (ე. კასირერი).

6. კულტურა აზროვნების, გრძნობადობის და საქციელის სპეციფიური საშუალებაა (ე. ელიოტი).

7. სიტყვა „კულტურა“ ახასიათებს მიღწევათა და ინსტიტუტთა მთელ ერთობლიობას, რომელიც ჩვენს ცხოვრებას გამოაცალკევებს ცხოველისმსგავს წინაპართაგან და ორ მიზანს ემსახურება: ადამიანის დაცვას ბუნებისაგან და ადამიანთა მოწესრიგებას ერთმანეთის მიმართ (ზ. ფროიდი).

8. კულტურა ადამიანთა უმაღლესი ღირსებების კულტივირების გზით უმაღლეს ღირებულებათა რეალიზაციაა (მ. ჰაიდგერი).

9. კულტურა განხორციელებული ღირებულებებია (ნ. ჭავჭავაძე).

10. ცოდნა ობიექტურია, კულტურა კი სუბიექტური. იგი ცოდნის სუბიექტური მხარეა, ანუ მოღვაწეობის ხერხი და ტექნოლოგიაა, განპირობებული ადამიანური მატერიის გადამწვევით შესაძლებლობებით, და პირიქით, რაღაც პირველად კონსტრუირებულია ადამიანში — „გადამჭრელი ზომების“ სახით... „კულტურის“ ქვეშ მე მესმის როგორღაც ერთიანი ჭრილი, რომელიც ადამიანური მოღვაწეობის ყველა სფეროს გაივლის (მ. მამარდაშვილი).

ღეფინციათა ეს (არასრული) ჩამონათვალი ალბათ უპრიანი იქნება ლევ ტოლსტოის დასკვნით დავამთავრო „ომისა და მშვიდობის“ ეპილოგიდან: „სულიერი მოღვაწეობა, განათლება,

ცივილიზაცია, კულტურა, იდეა — ყველა ეს ცნება ბუნდოვანი და განუსაზღვრელია“...

სანამ დავსვამდეთ აუცილებელ კითხვას — რით აიხსნება შეხედულებათა ასეთი სიჭრელე და ნაირგვარობა კულტუროლოგიურ აზროვნებაში, მანამ, ალბათ მოკრძალებით უნდა შევეცადო ჩემი აზრის ჩამოყალიბებასაც კულტურის ფენომენზე: კულტურა — ეს არის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ნორმათა მიხედვით ადამიანის მიერ საკუთარ სულში და მის გარეთ დამყარებული წესრიგი, გამოხატული სიმბოლოებში.

ზემოთ დასმულ კითხვას რაც შეეხება, მასზე პასუხის ძიებაში საშუალება მოგვცა ძალზე საინტერესო დაკვირვებადგ მივსულიყავით: სიტუაციას, რომელიც ჩამოყალიბდა კულტურის თეორიაში, პირდაპირი ანალოგი გააჩნია ადამიანის არსის ფილოსოფიურ ანალიზში და ესთეტიკის მიერ ხელოვნების არსის კვლევაში.

თუ ისმოდა კითხვა „რა არის ადამიანი?“ (კულტურის შემოქმედი) შემოთავაზებული იყო არა მხოლოდ განსხვავებული პასუხები ფილოსოფიური აზროვნების ისტორიაში, არამედ ურთიერთგამომრიცხავიც. აქ, როგორც ჩანს, საქმე გვაქვს ადამიანის, როგორც სისტემური პერსონის უნიკალურ სირთულესთან, რომლის არსიც ერთი განსაზღვრებით არ ამოიწურება.

მსგავსი მეთოდოლოგიური სიტუაცია ესთეტიკაშიც აღმოჩნდა, რომელიც მთელი თავისი არსებობის მანძილზე გულმოდგინედ ცდილობს ჩასწვდეს ხელოვნების არსს. აქაც ხელოვნების დეფინიციათა ნაირგვარობასთან გვაქვს საქმე. ხელოვნების არსი განისაზღვრება, როგორც „ამსახველი“ და როგორც „შემოქმედი“, როგორც „შემეცნებითი“ და როგორც „შემფასებელი“, როგორც „დეოლოგიური“ და როგორც „მოთამაშე“; ხელოვნებაში ხელავენ შემოქმედების „თვითგამოვლენის“ ხერხსა და სხვა ადამიანებთან ურთიერთობის საშუალებას; მას განიხილავენ როგორც სპეციფიურ ენას და ამ

ენაზე ღირებულებით აზრთა გადმომცემს და ა.შ. კულტურის არც ერთი სხვა სფერო, იქნება ეს მეცნიერება, მორალი, ტექნიკა, ენა, რელიგია, თუ სპორტი, — არ წარმოქმნიდა ამდენ განსხვავებულ და ურთიერთგამომრიცხავ დეფინიციებს. რატომ?

საქმე ის არის, რომ ხელოვნება იმ მოღვაწეობის ერთადერთი ნაყოფია, რომელიც ადამიანის ყოფას მის მთლიანობაში ალაღგენს, ანუ „ადამიანის“ ურთულეს სისტემას იერსახეს უყალიბებს. ამიტომაც ხელოვნებაში ყველაფერი შეიძლება ვიპოვოთ: ცოდნა და ღირებულებანი, რეალობის ასახვა და ფანტაზიით კონსტრუირებული იდეალები, ნიშანთა სისტემები და მათში არსებული სულიერი მნიშვნელობანი...

კულტურის შესწავლის შედეგებს მივყავართ დასკვნამდე, რომ აქ რაღაც ისეთი ხდება, რაც ადამიანისა და ხელოვნების თეორიულ კვლევას ჰგავს, რადგანაც თუ ხელოვნება ილუზიურად ალაღგენს ადამიანის გამთლიანებულ ყოფას, კულტურა ამ ყოფას ამთლიანებს სახელდობრ როგორც ადამიანურს, ისტორიულად გამომუშავებული თვისებებითა და უნარებით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის, რაც ადამიანში არის როგორც ადამიანური, კულტურის სახით წარმოჩნდება და ეს კულტურა იმდენად მრავალმხრივ-მდიდარი და წინააღმდეგობრივად აღმატებითია, როგორც თვითონ ადამიანი — კულტურის შემქმნელი და კულტურის მთავარი ქმნილება.

მინდა დიდი სიამოვნებით აღვნიშნო, რომ 60-იან წლებში, როცა საქართველოში ღირებულების თეორია მუშავდებოდა, როცა გახდა შესაძლებელი ღირებულების შესაბამისი შეხედულება ჩამოყალიბებულიყო კულტურაზე, ეს შესანიშნავად მოახერხეს ბატონმა ნიჭო ჭავჭავაძემ და სხვა ქართველმა ფილოსოფოსებმა, რომელთაც კულტურის აქსიოლოგიური ინტერპრეტაცია დაუპირისპირეს მოღვაწეობრივ-ტექნოლოგიურ კონცეფციას (ე. მარქარიანისა).

კულტურამ უნდა მოიცვას ინფორმაციული პროცესები და მათი ორგანიზაციის სემიოტიკური ხერხები, ერთმანეთს უნდა შეუხამოს არსებული ობიექტების ასახვა და ჯერ კიდევ არარსებული ობიექტების შექმნა, ტრადიციული და ინოვაციური, ადამიანის თვითრეალიზაცია და მისი კომუნიკაცია, პიროვნების გამოცალკევების საშუალებები და ამ პიროვნების ურთიერთობა სხვებთან, ხოლო სხვებისა საკუთარ თავთან, სამყაროს აღქმის თეორიულ-ცნებობრივი და მხატვრულ-სახოვანი ხერხები და ა.შ.

ამდენად, აუცილებელია კულტურა გააზრებულ იქნას მისი არსებობის ამ რეალურ ერთიანობასა და კონკურენტულ ფორმათა სისრულეში, თავის აგებულებაში, ფუნქციობასა და განვითარებაში. ასეთი ამოცანის გადაწყვეტა შეუძლია და საამისოდ მოწოდებულია მხოლოდ ფილოსოფია, რამდენადაც მას საქმე აქვს ამ მასშტაბის ერთიან სისტემურ ობიექტებთან.

2007 წ.

## ქართული კულტურა და მითები თანავარსკვლავედზე

ურიცხვი ცნობისმოყვარე აკვირდებოდა თანავარსკვლავედებს ცივილიზაციის გარიჟრაჟზე. ვარკვლავთა და ვარსკვლავთკრებულთა შემწეობით იგნებდნენ გზას, იღებდნენ ორიენტაციებს უცნობ მხარეებში, ზღვასა და ხმელეთზე. იმ შორეული წარსულიდანაა შემორჩენილი გამოთქმა „გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი“.

ხალხის თვალს როგორც უწინ, ისე დღესაც იზიდავს დამახასიათებელი ფიგურები, რომელთაც მაღლა, ცარგვალზე, შედარებით მცირე უბნებზე კაშკაშა ვარსკვლავთა ჯგუფები ქმნიან. პოეტური ფანტაზიით შთაგონებულმა ძველმა ხალხებმა მათ უჩვეულო სახელები უწოდეს. ცის თაღი აჭრელებულია ძველი მითებისა და ლეგენდების გმირთა სახელებით: პერსევსი, კასიოპე, ანდრომედე, ჰერკულესი, დრაკონი, ქნარი... საინტერესოა თვითონ ის მითები, საიდანაც ეს სახელები მომდინარეობენ. მითები იმდენად პოეტური, მომხიბლავი და ემოციების აღმძვრელია, რომ ყოველი ადამიანი მათი მოსმენით ესთეტიკურ სიამოვნებას განიცდის. ამ მითებში ჩაქსოვილია სიკეთე და სათნოება, რაც ხალხებს დასაბამიდან აღელვებდა. მაგალითად, ვხედავთ ჰერაკლეს (ჰერკულესს), არაადამიანური ღონის მფლობელს, რომელიც ხოცავს საშინელ გველეშაპებს, ყაჩაღებს, ხალხის მტანჯველ მტარვალებს და საზარელ მხეცებს. ვხედავთ გმირებს, რომელთაც თავი გასწირეს თავიანთი ხალხის თავისუფლებისათვის. მაგალითად: თეზევსს, — ათენის მეფის, ეგეოსის ძეს, რომელიც კრეტაზე მიემგზავრება, თავს საშინელ საფრთხეში იგდებს, რათა ათენელები მინოსის მძიმე ხარკისგან იხსნას.

ვარსკვლავიან ცასთან დაკავშირებული მითები ყოველთვის იყო ხელოვნების ოსტატთა შთაგონების უკვდავი წყარო. ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია ალორმინების ეპოქისათვის.

მაგალითად: „პერსეკსი და ანდრომედე“ — რუბენსის, ვანლოოსა და მენგსის ნახატები.

მითების გაცნობა გვიადვილებს თანავარსკვლავედების უკეთ შესწავლას. მათი საშუალებით კი ვეცნობით თანამედროვე ასტრონომიის დიდსა და ამადელევებელ პრობლემებს... მაგრამ ჩვენი მიზანი, ცხადია, არ არის „დიდი, თუ პატარა დათვის“, „პერსეკსის“, თუ „პეგასის“, „თევზების“, თუ „ორიონის“, „დრიანკალის“, თუ „კენტავრის“, „ირმის ნახტომის“, თუ „ერიდანუსის“, ან სხვა თანავარსკვლავედების შესახებ კონკრეტულად საუბარი, არამედ გვსურს, ჩვენი აზრი მოგახსენოთ სულიერი კულტურის ისეთ ფენომენზე, როგორც საკუთრივ **მითოსია**, რის შედეგადაც შევეცდებით ქართული კულტურისა და მეცნიერების ციურ სამყაროსთან დამოკიდებულებაზე გავამახვილოთ ყურადღება.

მითოსის, ლეგენდის, ზღაპრის, თქმულებისათვის დამახასიათებელია ხატოვანი აზროვნება, წარმოდგენების შემოქმავება სინამდვილის ფანტასტიკური მხატვრული აღქმის საფუძველზე. მაგრამ ამ საერთოსთან ერთად სინამდვილის მხატვრულ ასახვასა და მითოლოგიურ ასახვას შორის დიდი განსხვავებაა. მითოლოგიური ცნობიერება არ ასხვავებს სახესა და ასახვას, ფანტასტიკურ და რეალურ სინამდვილეს. აქ ყველაფერი ერთიმეორესთან შერწყმულია. მხატვრულ შემოქმედებაში კი მათ შორის განსხვავებაა. ამასთანავე, მითოლოგიური ცნობიერება კოლექტიური ცნობიერებაა, მხატვრული შემოქმედება კი ინდივიდუალური შემოქმედებითი პროცესია, პირველი **არაცნობიერია**, გრძობათა სფეროში მიმდინარე, მეორე კი — ცნობიერი, გარკვეულ იდეას, სიუჟეტს დამორჩილებული. **ზღაპარი, ლეგენდა, თქმულება, მართლაც თქმულებაა, ე.ი. რაღაცის მოთხრობაა. მითი კი რეალური ცხოვრებაა.** იგი არის ცხოვრების ფორმა. რაკი ცხოვრება კულტურაა, ამიტომ მითი კულტურის ფორმად განიხილება. ამას-

თანავე, იგი ისტორიულად, კულტურის პირველ ფორმადაა მიჩნეული. გერმანელი ფილოსოფოსის, ერნსტ კასირერის აზრით, მითოსურ ცხოვრებაში ჩართულია ადამიანი, რომელიც დღევანდელ ადამიანთან შედარებით, განიხილება როგორც პრიმიტივი. ამიტომ მითოსი პრიმიტივის სამყაროა. ეს არის არა აზროვნების, არამედ გრძნობის სამყარო. ეს სამყარო პრიმიტივის განცდაში გაადამიანურებული სინამდვილეა. ეს იმის საფუძველია, რომ მითოსი განხილულ იქნეს კულტურის ფორმად. მითოსისათვის არ არსებობს ბუნების ის გაგება, რომელიც დღეს საბუნებისმეტყველო მეცნიერულ წიგნებშია გაბატონებული. მითოსში ვერ შევხვდებით ობიექტურობის თვალთ დახახულ საგნებს. „აქ ყოველი საგანი ადამიანის მიმართ ან სამოყვროდ არის განწყობილი, ან სამტროდ, ან მახლობელია, ან ავის მომასწავებელი“, — ამიტომ „ჩვენი ვნებები — სიყვარული თუ სიძულვილი, შიში თუ იმედი — სახეს უცვლის საგანთა ფიზიონომიას და მას ადამიანურ თვისებებს ანიჭებს“ (ე. კასირერი). **მითოსის დანიშნულება ის კი არ არის, რომ მოგვცეს სინამდვილის ობიექტური სურათი (ასეთი მეცნიერებაა), არამედ ის, რომ სამყაროს მიანიჭოს საზრისი.** ეს კი ხორციელდება საგანთა ბუნებრივი ნიშნებისა და მათი ადამიანისეული საზრისის გაიგივების გზით. ბუნების საგნები განსულიერებული მოვლენებია. ყველაფერი გაცოცხლებულია. ადგილი აქვს მათ პერსონიფიცირებას. მითოსური კოსმოსი ესაა მისტიფიცირებული სამყარო, სადაც საყოველთაო კონსოლიდაცია სუფევს. აქ ღმერთებიც, ადამიანებიც, საგნებიც კოსმოსური მთლიანობის ნაწილია.

ასეთ კოსმოსში ადამიანის მთავარ ამოცანად ითვლება გადარჩენა. ეს იმიტომ, რომ „მითოსი არის დრამატული სინამდვილე“, ადამიანმა უნდა გამონახოს ამ მკაცრ კოსმოსში გადარჩენის საფუძველი. ასეთ საფუძველს იგი ხედავს საგნების პერსონიზებაში და მათდამი ნათესაობით დამოკიდებულებაში.



იმისათვის, რომ მითოსურ კოსმოსში ადამიანმა შეძლოს გადარჩენა, მას სჭირდება მძლავრი მფარველი, დამხმარე ძალა. ასეთი მფარველი იქცევა მის ღმერთად, რომლის მიმართ იგი განიცდის როგორც შიშს, ისე იმედს, რასაც მოსდევს მსხვერპლშეწირვა.

მითოსი მისტიფიცირებული რეალობაა. აქ წმინდა ფიზიკური საგანი თითქმის არ არსებობს. საგანი საგანიცაა და იღუმალების შემცველი განსულიერებული არსებაც. ცხოველი ცხოველიცაა, რომელიც ადამიანმა უნდა მოინადიროს და წმინდა სულიცაა ღმერთად რომ გაუხდია, რომელსაც მსხვერპლი უნდა შესწიროს. ამიტომ მითოსი აგებულია მეტამორფოზის კანონის პრინციპებზე, რომლის ძალითაც საგანს შეუძლია იოლად დაარღვიოს სივრცისა და დროის საზღვრები და სხვადასხვა სახე მიიღოს.

მითოსურ სამყაროს ბედისწერა განაგებს. ბედის წინაშე ყველა უძლურია. თვით ღმერთებიც. სოფოკლეს ოიდიპოსი ბედისწერის მსხვერპლია, მაგრამ ჰომეროსის „ილიადას“ მიხედვით, არც ზევსს შეუძლია ჰექტორისა და აქილევსის ორთაბრძოლა მისი ფავორიტის — ჰექტორის სასარგებლოდ გადაწყვიტოს. იგი იღუპება ზევსის სურვილის საწინააღმდეგოდ.

მითოსურ სამყაროში ბედის ბატონობა იმასაც ნიშნავს, რომ მასში უარყოფილია თავისუფლება. თუმცა მითოსურ სამყაროში ადამიანი არც ეძიებს თავისუფლებას. მისთვის მთავარია გადარჩენა. ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ რაკი მითოსში უარყოფილია ადამიანის თავისუფლება, ამიტომ მითოსი არაა კულტურა. საქმე ის არის, რომ მითოსში უარყოფილია ადამიანის თავისუფლება და არა საერთოდ თავისუფლება. რელიგიაში აბსოლუტურად თავისუფალი არსება ღმერთია. მითოსში ასეთი არსებაა ბედი, როგორც სულიერი ძალა. მითოსის ადამიანის თავისუფლება მისი დამანგრეველი ძალაა. ამიტომ ადამიანის თავისუფლების ნაკადის შეჭრით იწყება მითოსის ტრანსფორმაცია რელიგიად, ფილოსოფიად, ხელოვნებად. აქედან გამომდინარე, მითოსური

სამყარო დოგმატების სამყაროა. ესაა მკაცრად კონსერვატორული და მდგრადი სისტემა. აქ გამოორიციხულია ადამიანის კრიტიკული აზროვნება.

მითოსის თანმდევი ელემენტებია: ტოტემიზმი, ფეტიშიზმი, მაგია. მითოსის მიხედვით, ადამიანის ნათესაური კავშირი ცხოველებთან, გამოიხატება ტოტემიზმში. ყოველ ტომს ყავს თავისი წმინდანები წინაპრების სახით, რომელთა იდენტიფიცირება ხდება სხვადასხვა ცხოველებთან — ტოტემთან. ოღონდ რეალური ცხოველი კი არაა ტოტემი, მითიური აზროვნებით, რეალურ ცხოვრებაში მისტიკურად განსხეულებულია ტოტემი. როდესაც აღმერთებდნენ რომელიმე საგანს, რომელშიც მოიაზრება მისტიკური დემონური ძალები, რომლებიც წყვეტდნენ ადამიანის ბელს, ეს ფეტიშიზმია. საგანი ფეტიშია. იმის გამო, რომ მითოსურ საგანში ნიშანი და საზრისი ერთიდაიგივეა, საგანზე ზემოქმედება შესაძლებელი ხდება მისი საზრისის გამომხატველ სიმბოლოებზე ზემოქმედებით. ამაში გამოიხატება მაგიის არსი.

მაშ, მითოსთან დაკავშირებით შეგვიძლია დავასკვნათ, — კულტურა სამყაროს ჰუმანიზებული წესრიგია. მითოსი კულტურის ფორმაა, რამდენადაც იგი სინამდვილის მითოსური ცნობიერების მეშვეობით მოწესრიგებაა.

მითოსური სამყაროსთვის აუცილებელი და მნიშვნელოვანი ელემენტია მაგიური ძალები, რასაც ფლობენ საგნები (ფეტიშიზმი), ცხოველები (ტოტემიზმი), მოქმედებები (მაგია). ამის მიუხედავად, მითოსური სამყარო დაუნაწევრებელი მთლიანია. აქ ადგილი არა აქვს ცისა და მიწის მკვეთრ და პრინციპულ გაყოფა-დაპირისპირებას. მითოსისათვის ყველაფერი მიწაზეა. დმრთებიც კი მიწიერ-ადამიანური თვისებების მატარებელნი და მიწით ღამძიმებულნი არიან.

მითოსი სავსეა რელიგიური მომენტებით. მითოსური წარმოსახვის ძალა ეყრდნობა რწმენას, რომელიც რელიგიისათვის

უმთავრესი ფაქტორია. რელიგიის, როგორც სულიერი კულტურის დამოუკიდებელ ფორმად ჩამოყალიბება დაკავშირებულია იმ ეტაპთან, როცა იწყება მიწის და ცის მკვეთრი და პრინციპული გაყოფა-დაპირისპირება. რელიგიაში ცა რეალური კოსმოსური აზრით კი არ უნდა ვიგულისხმოთ, არამედ თავისებური წარმოსახვითი — მისტერიული აზრით. რელიგია უარს ვერ იტყვის მიწიერ სამყაროზე, მაგრამ ის რაც მიწაზეა, ბუნებრივია და მხოლოდ ბუნებრივი, ხოლო ის, რაც ცაში ავიდა, სულიერია და მხოლოდ სულიერი, ზებუნებრივი, რომელიც ბუნების კანონებით არც შეიქმნება და არც იმართება, პირიქით, ზებუნებრივი — საწყისია ბუნებრივის მიმართ, ბუნება ზებუნებრივით იმართება. მითოსში ღმერთები თუ მიწიერებით იყვნენ დამძიმებულნი, რელიგიაში ისინი თავისუფლდებიან ამ სიმძიმისაგან და სიწმინდის სახეს იძენენ. ღმერთები მითოსში თუ რთული ბუნების მქონე არსებანი არიან, რელიგიაში ისინი სიმარტივის სიმაღლეზე ადიან. ისაა წმინდა, რაც მარტივია, ანუ რაც ერთგვაროვანია, რაც თავის თავში განსხვავებულობას არ შეიცავს. განსხვავებულობა სიწმინდის ამღვრევაა.

სწორედ ამგვარ დაპირისპირებათა ერთიანობას, მარტივსა და ამაღლოვანულად სრულს, სამპიროვანსა და ერთარსებას მიმართავს ღმერთთა აღმაშენებელი ფილოსოფიური ღირიკის უბრწყინვალეს ქმნილებაში — „გალობანი სინანულიანი“.

*„მარტო, სრულო, სამ-მზო, ერთ-ცისკროვნებო,*

*განმინათლენ მხედველობითი სულისად, რადითა*

*გიხილო ნათელი*

*ნათლითა უფლისადითა,*

*სულითა ღმრთისადითა ძე*

*გამოგზბრწყინო მაშინ*

*დაუსრულებელთა საუკუნეთა!*

*არაი უხილაგს მზესა ქალწული დედაი თუნერ შენსა,*

არცა ჩემოდენ ბრალეულსა-ნათელი მისი,  
 გარნა მე შენითა  
 ოხითა, დედოფალო,  
 კესავ ხილვად ნათელსა  
 ძისა შენისასა  
 და ნათელსა ზემთა საუკუნეთასა!“

*“O einfache, volle dreifaltige Sonne,  
 O ewiges Morgenrotleuchten,  
 Erhelle mir den Blick meiner Seele,  
 Damit dich, Licht, ich sehe durch das Licht des Herrn  
 Und durch deinen göttlichen Geist du uns ausstrahlst  
 Deinen Sohn in alle Ewigkeit!  
 Auser dir sah die Sonne nie eine Jungfrau- Mutter,  
 Und auch kein Schuldiger wie ich sah je ihr Licht,  
 Und dennoch mit deiner Hilfe, o Königin,  
 Hoffe ich das Licht deines Sohnes zu schauen  
 Und den Glanz der obersten Welten!”*

(თარგმანი ვ. ოფერმანსისა)

„გალობანი სინანულისანი“ ასახავს დავით აღმაშენებლის-დროინდელი საქართველოს მსოფლმხედველობრივ კულტურას და საკუთარ ადგილს იკავებს მასში. მაშინდელი სამი ფილოსოფიური მიმართულებიდან (ქრისტიანული არისტოტელიზმი, „არეოპაგიტული“ ნეოპლატონიზმი და ქრისტიანული, — პროკლემზე დაფუძნებული ნეოპლატონიზმი) თითოეულისაგან სარგებლობს. ეს ღრმა და მრავალმხრივი განსწავლულობა საქართველოს სწორუპოვარი მეფის და პოლიტიკური მოღვაწის, დიდი ჰუმანისტი-სა და ფილოსოფოსის ამ მშვენიერ პოეტურ სტრიქონში მოსჩანს:

„ზენადსა მოძრაობისა  
 ასურასტანული ზმნობად  
 და ცთომილთა ვარსკვლავთა  
 და უცთომელთა  
 კრებად და განყრად, სუჭ და ბედი და შობის დღე  
 ვითარ საღმრთოთა უსმენელმან, კიჩქურენ.  
 ელლინთა მიერ ვერ ცნობად  
 სიბრძნითა ღმრთისადითა ღმრთისად  
 და შემოქმედისგან  
 შექმნილთა მიმართ  
 ცვალებად თავუანისცემისად სრულ-ვეაკ, რაჟამს  
 თითოეულისა ვნებისა კერპსა ვკმსახურე“.

*“Zur assyrischen Wahrsagerei aus das Himmels Bewegung,  
 Aus Sammlung und Scheidung der Sterne,  
 Der wandernden und festen  
 Zur Deutung von Schicksal, glück und Gebürt,  
 Erküht ich mich gleich einem, der taub ist fürs göttliche Wort  
 Dem Missverstehen der göttlichen Weisheit unter den Griechen,  
 Der fälschen Verehrung des geschöpfes anstelle des göttlichen Schöpfers,  
 Schloss ich mich an,  
 Als dem götzen jeder Begierde ich diente”.*

ქართულ აზროვნებას, ინტერესს ვარსკვლავიანი ცისადმი ასტრონომიული დაკვირვების დიდი ტრადიცია აქვს. მართო ის რად ღირს, რომ სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართული“ დიდ ასტრონომიულ ცოდნას შეიცავს! კერძოდ, „ცის“ განმარტებაში ნათქვამია... „ცა არს გარე-შემცველი ყოველთა დაბადებულთა და შექმნილთა ნივთიერთა ცისასა რომელნიმე ოთხთა კავშირთაგან იტყვიან შემზადებასა. ...ქვეყანა მრგვა-

ლი და გარე-შეცული ჰაერისაგან, ხოლო ჰაერი გარე-შეცული ეთერისა მიერ და ეთერი — მთოვარის ცისა მიერ, რომელსა სახელედების **ჭირანო**, და მერმე ერმის ცა, რომელსაც ეწოდების **ცორანო**, და მერმე აფროდიტეს ცა, რომელსა ეწოდების **მელტარო**; მერმე მზის ცა, რომელსა ეწოდების **კოჭიმელი**; მერმე არის არიას ცა, რომელსა ეწოდების ჭიმჭიმელი; მერმე დიას ცა, რომელსა ეწოდების **კიმკიმელი**; მერმე კრონოსის ცა **არბასტრო**; მერმე მერვე ვარსკვლავთ ცა, რომელი აღმოსავლით დასავლით მიიქცევის; მერმე მეორე მძვრელი ცა და მერმე პირველი მძვრელი ცა, რომელი მსგავსი არს ბროლისა, ხოლო გარეგანი ცაი არს სამყარო“...

ქართულ ასტრონომიულ ტრაქტატში, რომელიც 1188 წლით თარიღდება, გროტესკული ორნამენტის შუაში დახატულია კავებიანი ქალიშვილი — ქალწულის თანავარსკვლავედის გამოსახულება. იქვეა ტექსტი (ასომთავრული და ნუსხური). ხელნაწერი დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში.

ასტრონომიაც, ისევე როგორც მედიცინა, ერის კულტურის სიძველისა და სიღრმის ერთგვარი სასინჯიცაა. თუ კოლხი მეღვა მკურნალობის ერთ-ერთ დასაბამადაა აღიარებული თვით მეცნიერულ შრომებში (გამოჩენილი გერმანელი მეცნიერი — კურტ შპრენგელი თავისი „პრაგმატული მედიცინის“ ხუთტომიან ისტორიას კოლხური მედიცინით იწყებს ჯერ კიდევ 1789 წელს), ასევე სასახელოა ქართული კოსმოლოგიური აზროვნებისა და ასტრონომიული ტერმინოლოგიის სიძველე, რომელიც წერილობით შემონახული ძეგლების მიღმა იფარება, შორეულ წარსულში (მითები, ლეგენდები, სიმღერები, ციურ მნათობთა და მოვლენათა საკუთარი სახელწოდებანი).

საქართველოში, შუა და ახლო აღმოსავლეთში ცნობილი იყო კალენდარული ტრაქტატი, რომელიც 949 წელს დაუწერია

იოანე ქართველს. ეფრემ მცირესა და არსენ იყალთოელს (ვაჩეს ძეს), გელათის აკადემიის პირველ რექტორს XI-XII საუკუნეებში უთარგმნიათ VIII საუკუნის დიდი ბერძენი საეკლესიო მოღვაწის, პოეტისა და მოაზროვნის, იოანე დამასკელის „ცოდნის წყარო“, რითაც სულხან-საბაც სარგებლობდა. ეს შრომა შეიცავს მზისა და მთვარის დაბნელების გამოთვლის ხერხების აღწერას, ადამიანთა ბედზე მნათობთა ზეგავლენის შესახებ ცნობებს, რაც ჩვენში ნაკლებად სწამდათ, და მთარგმნელთა ძვირფას დამატებებს. ამ შრომას საქართველოში ნაყოფიერი ნიადაგი დახვდა. მისი არაერთგზის თარგმნის ფაქტიც ამაზე მეტყველებს (ხელნაწერი დაცულია კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში). ივანე ჯავახიშვილის გამოკვლევით, კვირის დღეების მაშინდელ ქართულ სახელწოდებებს ფესვები შორეულ წარმართულ ეპოქაში აქვთ გადგმული.

აბუსერისძე ტბელის „ქორონიკონი“ მნათობთა მოძრაობისა და კალენდარული აღრიცხვის ზოგიერთ შეუსაბამობას ეხება. როგორც მარი ბროსე ბრძანებს, — ეს ნაშრომი „საშუალებას გვაძლევს გავითვალისწინოთ ის პროგრესი, რაც ქართველებმა შემოიტანეს საეკლესიო-ასტრონომიული გამოთვლების საქმეში“.

პირველი ობსერვატორია საქართველოში (თბილისში) დაარსდა მე-8 საუკუნეში, ხოლო 1106 წელს დავით აღმაშენებელმა გელათის აკადემიასთან ობსერვატორიაც ააგო, — პირველად გამოიყენეს ჩვენში ხელსაწყო ასტროლაბი. ვახტანგ VI-მ განაახლა ერის ძნელბედობით შენელებული ასტრონომიული აზროვნების ძველი პროცესი, მისი თანადგომით ითარგმნებოდა დიდი უზბეკი ასტრონომის, სამარყანდის ბრწყინვალე ობსერვატორიის მშენებლისა და ვარსკვლავთა კატალოგის შემდგენის — ულუგ-ბეკის (1394-1449) შრომა.

XII საუკუნის მნიშვნელოვანი მეცნიერული ძეგლია „ეტლთა და შვიდთა მნათობთათვის“, ცნობილი ასტროლოგიური თხ-

ზულება, რომელიც მეცნიერულად გამოსცა აკაკი შანიძემ 1975 წელს, შეიცავს სამ ნაწილს: საეტლოს (ციურ ეტლთა შესახებ), სამთვარიოს (მოძღვრებას მთვარის ამოსვლა-ჩასვლაზე) და მოძღვრებას შვიდი მნათობის შესახებ (მზე, მთვარე და 5 ცთომილი), საკმაოდ რთულ ასტროლოგიურ ცხრილს. თხზულება თარგმნილი ჩანს და ვარსკვლავთმისნობის მოძღვრებას გვაცნობს, მაგრამ მთავარი ეს როდია. მთავარია ამ უნიკალური ძეგლის ისტორიული ღირებულება, ლექსიკა, ტერმინოლოგია, რაც ძირითადად შეესაბამება X საუკუნის ფსალმუნის ძველი რედაქციის ეტლთა სახელებს: ვერძი (მარტი), კურო (აპრილი), ტყუბი (მაისი), კირჩხიბი (ივნისი), ლომი (ივლისი), ქალწული (აგვისტო), სასწორი (სექტემბერი), ღრიანკალი (ოქტომბერი), მშვილდოსანი (ნოემბერი), თხის რქაი (დეკემბერი), წყლის საქანელი (იანვარი), თევზი (თებერვალი). ზოდაიქოს ეს სახელები იმ უძველეს წარსულში უკვე დადგენილი და შესწავლილი ჰქონდათ ჩვენს წინაპრებს. ამ ძეგლშიც და „ვეფხისტყაოსანშიც“ ლაპარაკია შვიდ ცთომილზე, სახელებიც იგივეა, ოღონდ რუსთაველის „ასპიროზს“ აქ „მთიები“ შეესატყვისება. „ვეფხისტყაოსანშიც“ და საბას „სიტყვის კონაშიც“ ცნობილია „ცხრა ცის“ ცნებაც და ესეც გამართლებულია (ემატება ვარსკვლავთა ცა, მეცხრე სფერო და ცა). ენის სიმდიდრეზე მეტყველებს ისიც, რომ „ვისრამიანის“ თარგმანში კუროს ეწოდება მოზვერი, მარჩიბს — მეტყუბარი (ერქვა ტყუბიც), თხის-რქას — თხა (რაც უფრო ლოგიკურია — ყველა ატლასში თხაა დახატული).

ასტროლოგია შუა საუკუნეებში სკოლებშიც ისწავლებოდა, მერე ის განდევნა ნამდვილმა მეცნიერებამ (უფრო კოპერნიკისა და კეპლერის ეპოქალურმა დეაწლმა). ქართულ კულტურაში რომ ასტროლოგია ასახულია (თვით „ვეფხისტყაოსანშიც“ და ამ ძველ თარგმანშიც), ამაში გასაოცარი არაფერია. უფრო შეიძლება ის გაგიკვირდეს, რომ ეს რწმენა ბრმა ღოგმად არასოდეს ქცეულა



ჩვენში. არის სადავო ტერმინებიც. მაგალითად „ვეშაპი“. არაბული შესატყვისი ჰუთი — დიდი თევზია (ატლასების ვეშაპიც ჰგავს თევზებს), ან იქნებ ის თევზისნაირი ვეშაპი ურჩხულია, რომელმაც “ბიბლიაში” იონა ჩაყლაპა, რომელიც ჩვენს ფოლკლორში მშვეს ყლაპავს (რუსთაველსაც აქვს: „მზე ვეშაპსა დაებნელა“). თარგმანი ალბათ არაბულიდან ან სპარსულიდანაა შესრულებული, ოღონდ გადამუშავებულია. თარიღად მიღებულია 1188 წ. წიგნს ერთვის საინტერესო ილუსტრაციები. ნატიფი შტრიხითაა შესრულებული ვერძი, კურო, ტყუბი, კირჩხიბი, ლომი, ქალწული, სასწორი, ღრიანკალი, მშვილდოსანი, თხის რქა, წყლის საქანელი, თევზი... სურათები შემკულია მშვენიერი ორნამენტითა და ასომთავრულით. „ეტლთა და შვიდთა მნათობთათვის“ დიდი მეცნიერული ღირებულების ისტორიული დოკუმენტია.

ძველი ქართული სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურა უხვ მასალას შეიცავს იმ ფართო და ღრმა ცოდნაზე, რაც ჩვენმა ხალხმა შექმნა და დააგროვა ციურ სხეულებზე. ეს აისახა, უწინარეს ყოვლისა, ქართული კულტურის ოქროს საუკუნის ძეგლებში, კერძოდ, „ვეფხისტყაოსანში“. რუსთაველის კოსმოლოგიაც რომ უმნიშვნელო ამბავი არ გახლავთ, ამას ერთი ფაქტიც მოწმობს: პოეტის ასტრონომიულ თუ ასტროლოგიურ შეხედულებებს, ვახტანგ VI-დან მოყოლებული, ვინ მოთვლის, რამდენი მეცნიერი სწავლობდა ჩვენში და საზღვარგარეთ. გავიხსენოთ „წასლვა ავთანდილისაგან ფრიდონისასა“ და იქ ციურ სხეულთა თანმიმდევრული ჩამოთვლა: „აჰა, **მზეო**, გეაჯები შენ, უმძლესთა მძლეთა მძლესა“; „მო **ზუალო**; მომიმატე ცრემლი ცრემლსა, ჭირი ჭირსა“; „ჰე, **მუშთარო**, გეაჯები შენ, მართალსა ბრჭესა, ღმრთულსა“; „მოდი, **მარიხო**, უწყალოდ დამჭერ ლახვრითა შენითა“; „მოდი **ასპიროზ**, მარგე რა, მან დამწვა ცეცხლთა დაგითა“; „**ოტარილო**, შენგან კიდე არვის მიგავს საქმე სხვასა“; „მო, **მთვარეო**, შემებრალე, ვილევი და შენებრ ვმჭლდები“. და ბოლოს:

*„აჰა, მმოწმობენ ვარსკვლავნი, შეიძინე მემოწმებიან.  
 მზე, ოტარიდი, მუშთარი და ზუალ ჩემთვის ბნდებიან.  
 მთვარე, ასპიროზ, მარიზი მოვლენ და მოწმად მევებიან,  
 მას გააგონენ, რანიცა ცეც ხლნი უშრეტნი მღებებიან“.*

მზესა და მთვარესთან ერთად რუსთაველს ჩამოთვლილი აქვს მზის სისტემის პლანეტები: ზუალი, ანუ **სატურნი**, მუშთარი, ანუ **იუპიტერი**, მარიზი, ანუ **მარსი**, ასპიროზი, ოტარიდი ანუ **მერკური**.

შემთხვევით რუსთაველს არც ერთი ასტროლოგიური მოვლენა არ ჰქონია გამოყენებული. ყოველი ასტრალური მოვლენა თავისებური სიმბოლოა პოემის გარკვეული კოლიზიებისა, რაც დიდ მხატვრულ-ემოციურ ზეგავლენას ახდენს მკითხველებზე. ეს რაც შეეხება ასტრალური მოვლენების სიმბოლოებად გამოყენებას. მაგრამ განა ნაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ რუსთაველი აღიარებდა სამყაროს ჰელიოცენტრული სისტემის მოდელს, გაცილებით სწორს, ვიდრე იმ პერიოდში დაკანონებულ პტოლემოსის გეოცენტრულ სისტემას?

ვარსკვლავები — მაგნიტური პოლუსებივით დაგვეციმციმებენ თავზე და გვიზიდავენ, აღვიძებენ ცოდნის, შეცნობის წყურვილს, რაც უკვე დიდი იმპულსია საყოველთაო გონებრივი განვითარებისათვის. რასაც გონება ვერ ხსნის, ფანტაზიის მოშველიებით იქცევა ლექსად, სიმღერად, მითად, ლეგენდად, რაც მომხიბლაობას არც მაშინ კარგავს, როცა საგანს, თუ მოვლენას უკვე მეცნიერებას სრულყოფილად ხსნის. მარადიულ ცარგვალზე განლაგებული ვარსკვლავებისადმი მიმართვაა ჰაინეს უმშვენიერეს პოეტურ სტრიქონებში: „ოქროსფეხება ვარსკვლავნო, კვლავ ფეხაკრეფით იარეთ! არ გააღვიძოთ ეს მიწა, ღამის კალთაში მძინარე!“

ღასასრულს მინდა გადმოვიღე თანამედროვე ქართული ასტრონომიული მეცნიერების მიერ მოპოვებულ მსოფლიო მნიშვნ-

ელობის წარმატებებზე.

ჩვენ მივეჩვიეთ „მცირე ცოდნას“, რომ მზის გარშემო ცხრა პლანეტა ბრუნავს: მერკური, ვენერა, დედამიწა, მარსი, იუპიტერი, სატურნი, ურანი, ნეპტუნი, პლუტონი. სინამდვილეში კი მცირე პლანეტების რიცხვი ორი ათასს უახლოვდება (1976 წლის „ეფემერიდებში“ მათი რიცხვი 1940-ია). მათ გარდა, მზის გარშემო ტრიალებს კიდევ, დაახლოებით 150000 ასტეროიდი. იტალიელმა ჯუზეპე პიაციმ მათ პლანეტოიდები, ან კომეტოიდები უწოდა, მაგრამ გაიმარჯვა ჰერშელის ვერსიამ: ასტეროიდები (ბერძნულად აორატოს — „უჩინარი“; შეუიარაღებელი თვალით ხომ ასტეროიდები არ ჩანან!). სახელწოდებათა უმრავლესობა ბერძნული მითოლოგიიდანაა აღებული (გამოიყენება მეღუზის, ქერბერის, სცილას და ქარიბდას, ურჩხულთა სახელებიც). ბევრია ქალაქების, ქვეყნების, პიროვნებათა სახელები; მაგალითად: ატლანტიდა (1198), კოლხიდა (1135), აბასთუმანი (1390), ქუთაისი (1289).

1981 წელს, ასტრონომთა საერთაშორისო კავშირის გენერალური მდიანის თანამშემწემ, საქართველოს დიდმა მეგობარმა რიპარდ ვესტმა მის მიერ აღმოჩენილ ერთ მცირე პლანეტას უწოდა (მისი სიტყვებით და ისედაც) „ბუმბერაზი ტალანტის“ — ლაღო გუდიაშვილის სახელი. ასტრონომთა საერთაშორისო საზოგადოებამ ეს სახელწოდება დაამტკიცა (შეტანილია კატალოგში).

კომეტების (და საერთოდ ციური სფეროს) კვლევის საქმეში თვალსაჩინო წვლილი მიუძღვით ქართველ მეცნიერებს. 1939 წელს კომეტების მოძრაობა გამოიკვლია ე. ტარასაშვილმა. 1942 წელს აბასთუმნის ობსერვატორიაში გ. თევზაძემ აღმოაჩინა ორი ახალი კომეტა (უიპლ-ფედლტკე-თევზაძის კომეტა). გასულ საუკუნეში, საქართველოში, აბასთუმნის სახელგანთქმულ ობსერვატორიაში მუშაობდა და ამჟამადაც მუშაობს ქართველ ასტრონომთა მთელი პლეადა. მათი შრომა, მათი აღ-

მოჩენები მსოფლიოშია ცნობილი. ჩვენი სახელოვანი მეცნიერი, აკადემიკოსი ვეგენი ხარაძე მრავალი მეცნიერული შრომისა და სახელმძღვანელოს ავტორია. ახალგაზრდა რ. ინასარიძემ ჰეგასის თანავარსკვლავედში აღმოაჩინა ზეახალი ვარსკვლავი, რომელიც აფეთქების მომენტში შეიდასჯერ სუსტად ანათებდა შეუიარაღებელი თვალით ხილულ სხვა მკრთალ მოციმციმე ვარსკვლავზე (მის სხივს დედამიწამდე მოსაღწევად 163 მილიონი წელი დასჭირდა). ეს ერთი ფაქტიც სარწმუნოდ მეტყველებს ქართული ასტრონომიული სკოლის მაღალ დონეზე.

ვარსკვლავიანი ცა — სამყაროს დიადი წიგნია. ამ მარად ნათელი წიგნის წაკითხვას ლამობს კაცობრიობა თავისი შექმნის ჟამიდან, და მაინც, მხოლოდ ნაწილია წაკითხული. ცა მაინც მიუწვდომელი და იღუმალაია, უსასრულოდ მაღალი და მისტიურიული...

2005 წ.

## მსოფლმხედველობა და მხატვრული უმოქმედება

მხატვრული უმოქმედების უპირველესი და აუცილებელი პირობა — ნიჭიერება, ტალანტია; აუცილებელი, მაგრამ არა ერთადერთი! ღვთისაგან ნაბოძები ნიჭი, შრომისმოყვარეობა და პროფესიული ოსტატობა არაა საკმარისი სრულქმნილი ხელოვნების, მხატვრულ-ესთეტიკური სამყაროს შესაქმნელად. არანაკლებ მნიშვნელოვანია უმოქმედის მხატვრული პოზიცია, რომელიც განაპირობებს აზროვნების, ფანტაზიის, წარმოსახვის ძირითად მიმართულებას. მსოფლიო ხელოვნების მთელი გამოცდილება მოწმობს იმას, რომ ჭკუმაღრმად მნიშვნელოვანი ნაწარმოებები იქმნებოდა არა მხოლოდ ნიჭიერი, არამედ თავისი დროისათვის პროგრესული მსოფლმხედველობის მფლობელი ადამიანის მიერ.

მაგრამ რა არის მსოფლმხედველობა? შეგვიძლია თუ არა საკითხი დავსვათ მსოფლმხედველობისა და მხატვრული უმოქმედების მიმართებაზე? თუ არ გვესმის მსოფლმხედველობის არსი, ანუ, თუ არა გვაქვს ცნებობრივად გააზრებული მსოფლმხედველობა, თუ არა გვაქვს გაცნობიერებული მისი განსხვავება სხვა ფენომენტაგან, მსოფლმხედველობის ტიპები და ასპექტები, ლაპარაკი ზედმეტია მის მხატვრულ მიმართებაზე.

თითქოს თავისთავად ცხადია, რომ მსოფლმხედველობაში უნდა გვესმოდეს ის, რაც სამყაროს მთლიანობის ახსნა, შემეცნება და გაგებაა, რასაც ან ჩვენი ხედვის პორიზონტით, ან კიდევ ინტელიგიბელური სამყაროს მეშვეობით ვწვდებით. სიტყვის ეტიმოლოგიური მნიშვნელობაც ამაზე მიუთითებს: მსოფლმხედვა, მსოფლჭვრეტა, მსოფლშეგრძნება, მსოფლგაგება... მართლაც, არის თუ არა რაიმე ბუნებისა და საზოგადოების გარეთ საერთოდ, სამყაროს სასრულობა-უსასრულობა ბუნების ფარგ-

ლებში გადაწყდება, თუ ბუნების გარეთ — ეს და სხვა ანალოგიური კითხვები მოითხოვს პასუხს, რომელიც სამყაროს შესახებ ცოდნას ქმნის და მაინც, ეს ცოდნა არ ქმნის მსოფლმხედველობას, რადგან მსოფლმხედველობა უბრალო ცოდნა როდია. იქნება ეს მეცნიერული, თუ არამეცნიერული ცოდნა სამყაროზე, ყველა შემთხვევაში სამყაროს მთელზე მსჯელობით და მის შესახებ ცოდნით მსოფლმხედველობის გარკვეულ კომპონენტებს, აუცილებელ წინაპირობას, თუ საფუძველს ვასახელებთ, მაგრამ არა საკუთრივ მსოფლმხედველობას, რადგან მსოფლმხედველობაში ძირითადია სწორედ პოზიცია სამყაროს მიმართ, სუბიექტის დამოკიდებულება სამყაროსადმი, რაზეც მას გარკვეული წარმოდგენა აქვს, ან როგორც ძიების საგანზე, ან როგორც მის შემცველ გარემოზე. მსოფლმხედველობა, როგორც ვთქვით, უბრალოდ ცოდნა კი არ არის, თუნდაც მთელის ცოდნის სახით, არამედ ამ მთელისადმი და ამ მთელში სუბიექტის გარკვეული პოზიციაც, მისი დამოკიდებულება გარემოსთან. სუბიექტი არ არსებობს ამ პოზიციის გარეშე არა მარტო იმ შემთხვევაში, როდესაც ის შემქმნებელია და სამყაროსთან მისი მიმართება განისაზღვრება შემცნების თეორიული ამოცანებით, არამედ მაშინაც, როდესაც ის, უბრალოდ, ადამიანური, პრაქტიკული, არათეორიული სუბიექტია, გარკვეული ნებელობით წარმართული და ღირებულებებით ორიენტირებული — საგნებისა და სხვა ადამიანებისადმი.

მსოფლმხედველობა გვევლინება ორი სახით: ინდივიდუალურ-ყოველდღიური, სტიქიური და ცნობიერი, შეგნებულად შემუშავებული თეორიული სახით. მსოფლმხედველობა, როგორც ჩვენი თვალთახედვისა და მოქმედების არის შემოსაზღვრა, სამყაროს გარკვეული გაგებაა. ყოველ ადამიანს აქვს სამყაროსადმი გარკვეული პოზიცია. მსოფლმხედველობის გარეშე არ არსებობს არც უვიცი და არც მეცნიერი. ამ თვალსაზრისით, მართებულია რიკერტის გამოთქმა, რომ ტოლსტოის რომანის —

„აღდგომის“ გმირ ქალს, ზნედაცემულ მასლოვასაც აქვს თავისი მსოფლმხედველობა. ასევე მართებულია დილთაის მოსაზრება, რომ ცივილიზებულ, თუ ველურ ადამიანს ერთნაირად აქვს მსოფლმხედველობა, რადგან ყოველი ცნობიერი არსება, ყოველი ინდივიდი გარკვეულად აღიქვამს მის გარემომცველ სამყაროს, იმუშავებს მასზე გარკვეულ შეხედულებებს, რაც საფუძვლად ედება მის საქმიანობას და, ამ აზრით, ადამიანის მოქმედება დიდადაა დამოკიდებული მის მსოფლმხედველობაზე.

ყოველდღიური მსოფლმხედველობისათვის დამახასიათებელია გაუცნობიერებლობა, ან ნახევრად ცნობიერი ხასიათი, ინდივიდუალობა, რომელსაც ზოგადობის პრეტენზია არა აქვს. ყოველდღიური მსოფლმხედველობის ყველაზე მაღალი ფორმა ყალიბდება „ცხოვრებისეულ სიბრძნედ“, რომელიც შეუძლია მისმა მატარებელმა გაუზიაროს სხვას, მაგრამ საყოველთაო მნიშვნელობაზე პრეტენზია გამორიცხულია. ყოველდღიური მსოფლმხედველობით ადამიანს შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს თავის ახლობლებზე, თუკი მას აქვს ცხოვრების დიდი გამოცდილება, ასაკობრივი უპირატესობა, მაღალი სოციალური როლი და პრესტიჟი.

მსოფლმხედველობის მეორე სახეა თეორიული მსოფლმხედველობა. ეს არის აზრთა და შეხედულებათა სისტემა სამყაროსა და სამყაროში ადამიანის ადგილზე.

მსოფლმხედველობაში განსაზღვრული არ არის პოზიცია, მაგრამ იგი არ გამოქმუწავდება ყოველგვარი, თუნდაც სამყაროს მთლიანობის შესახებ ცოდნის საფუძველზე. საქმე ის არის, რომ სამყაროს მთლიანობის მრავალი თეორია არსებობს და ადამიანმა შეიძლება ყველა ეს თეორია იცოდეს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მას მრავალი მსოფლმხედველობა აქვს და, შესაბამისად, მრავალი პოზიცია. მსოფლმხედველობაც და პოზიციაც ადამიანს მხოლოდ ერთი შეიძლება ჰქონდეს. სამყაროს მთლიანობის შე-

სახებ ცოდნა პოზიციას მხოლოდ იმ შემთხვევაში უდევს საფუძვლად, როდესაც ის არის ადამიანის ღრმა რწმენა, როდესაც მის ჭეშმარიტებაში ადამიანს ეჭვი არ შეაქვს და მისი არსებობა ცნობიერებაში უბრალო სურათის სახით კი არ არის, არამედ მისდამი რწმენით განმტკიცებული ადამიანის მრწამსს წარმოადგენს. იგი აპროგრამებს ადამიანის მოქმედებას და საფუძვლად ედება მის პოზიციას სამყაროსადმი. თუ ადამიანს მხოლოდ ცოდნა აქვს სამყაროს მთელზე და არ არის დარწმუნებული მის ჭეშმარიტებაში, ეს იქნება უბრალოდ შეხედულება, ან შეხედულებათა სისტემა. ცნება „მსოფლმხედველობაში“ და მის სინონიმებში მოცემულია, ერთის მხრივ, მსოფლიო, სამყარო, როგორც ის არის, რაც მოცემულობაა და ჩვენგან არ მომდინარეობს, და მეორე — გაგება, განჭვრეტა, ხედვა ამ მოცემულისა, რომელიც ჩვენი აქტიუობის შედეგია. ამდენად, თვით სიტყვა მიუთითებს რამდენიმე მნიშვნელოვან მომენტზე, სახელდობრ: მსოფლმხედველობა არ შეიძლება მხოლოდ ჩემი იყოს იმ აზრით, რომ ჩემგან გასვლას არ მოითხოვდეს. მსოფლმხედველობა სუბიექტის გარეთ გასვლაა, მაგრამ მსოფლმხედველობა არ რჩება ობიექტურის სფეროშიც. იგი ობიექტურობით არ კმაყოფილდება, არაა მხოლოდ ობიექტურის უბრალო ფიქსაცია, რადგან მას აინტერესებს მსოფლიო, როგორც მთლიანობა, რაც შეუძლებელია სუბიექტის გარეშე. მაშასადამე, სიტყვა — „მსოფლმხედველობის“ მეორე ნაწილი ეხება ამ მთლიანობის გაგებას, მის ხედვას, მაგრამ არა გარეგანი ხედვისა და გაგების აზრით, არამედ ისე, რომ სუბიექტი თვით მასშია და გარკვეულ ადგილს იჭერს. ეს ნიშნავს, რომ მსოფლმხედველობით სუბიექტი საკუთარ პოზიციასაც, საკუთარ ადგილ-სამყოფელსაც განსაზღვრავს ამ მთელში. ამდენად, სუბიექტი არ შეიძლება გულგრილი იყოს მთელის განსაზღვრისადმი. იგი მთელის ერთ-ერთ მომენტს წარმოადგენს და ცდილობს ეს მომენტი იყოს მა-



დომინირებელი ამ მთელში. ამით მსოფლმხედველობა მას ავალღებს, იყოს აქტიური და შემოქმედი სამყაროს მიმართ.

მსოფლმხედველობა ნიშნავს შეხედულებათა სისტემას სამყაროზე, როგორც მთელზე. ის სამყაროს სურათია: მასში შედის როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური სამყარო. სამყაროს, როგორც მთელის შემეცნება ნიშნავს გავიგოთ არა მხოლოდ ის, რაც ჩვენგან დამოუკიდებელია, არამედ შემეცნებელიც. მსოფლმხედველობა, უპირველეს ყოვლისა, მთლიანობისკენაა მიმართული და მოიცავს შემეცნებელსაც და შესამეცნებელსაც.

ნათქვამიდან გამომდინარე, მსოფლმხედველობის სივიწროვე და მოუძწიფებლობა დამლუპველად მოქმედებს ტალანტის განვითარებაზე. თუ ხელოვანი სოციალურად და პოლიტიკურად უძწიფარა და მერყევა, მაშინ იგი ინდივიდუალურში ვერ შეიცნობს არსებითსა და კანონზომიერს და უფრო გარეგნული ურთიერთობებითა და ცხოვრებისეული შემთხვევებით ინტერესდება, ვიდრე ცხოვრების სიღრმისეული თავისებურებითა და პროცესებით.

ჯერ კიდევ არისტორელემ მომავლის განჭვრეტის უზარმაზარი მისია დააკისრა ხელოვანს, როცა თქვა: პოეზიამ, ანუ ხელოვნებამ მართო ის კი არ უნდა გვიჩვენოს, რაც მოხდა, არამედ ისიც, რაც შესაძლებელი იყო მომხდარიყო და რაც მომავალში უნდა მოხდესო. მომავლის ეს განჭვრეტა სწორედ საღი მსოფლმხედველობის საფუძველზე უნდა მოხდეს განვითარების შინაგანი ლოგიკიდან გამომდინარე და არა შემთხვევითის ფაქტებზე.

მხატვრული ნაწარმოები, მართალია, ილუზიური, მაგრამ მკაფიოდ ჩამოყალიბებული სამყაროა. როგორია ეს სამყარო, როგორი ადამიანები ცხოვრობენ მასში, ამას მკითხველი ავტორის დახასიათების მიხედვით კი არ იგებს, არამედ იმის შესაბამისად — რა მოვლენები ხდება მასში, როგორია პერსონაჟთა საქციელი, ფიქრი, დამოკიდებულება ერთის მიხრივ, საკუთარი თავისადმი,

მეორეს მხრივ — სხვათაღმე. ეს ისევე ზღება, როგორც რეალურ სინამღვიღეში. ყოველ ჩვენგანს რეალურ სინამღვიღეზე წარმოღგენა იმის მიხეღვით ექმნება, თუ რა ზღება ამ სამყაროში.

ხელოვანის მსოფღმხეღვეღობა ხელოვნების ფუნდამენტიღ, რომელზეც ახალი, მართალი და ღიადი სამყარო, მხატვრულ-ესთეტიკური სინამღვიღე, მხატვრულ-ესთეტიკური რეაღობა აღმოცენღება — ხშირ შემთხვევაში, ცხოვრების სუსხიან სიმართლეზე უფრო მართალი და ნამღვიღი.

2007 წ.

**როგორ ვაღიბდება Homo aesthetikus, ანუ  
განაზრებანი ესთეტიკის სწავლებისა, და  
საერთოდ, ფილოსოფიურ დისციპლინათა  
სწავლების მოდულზე ტექნიკურ  
უნივერსიტეტში**

როდესაც ლაპარაკია ტექნიკურ უმაღლეს სასწავლებელში ესთეტიკის სწავლების მნიშვნელობაზე, აქ ამოსავალ პრინციპად მიჩნეული უნდა იქნეს შემდეგი ზოგადი დებულება: ნებისმიერი პროფესიის ადამიანისათვის და, მათ შორის, ტექნიკური დარგის სპეციალისტისთვისაც, არა მხოლოდ სასურველი, არამედ ყოველად აუცილებელია მშვენიერების განცდისა და მშვენიერებით ტკბობის მოთხოვნილება, სწრაფვა სრულქმნილების, მრავლამხრივობისა და ჰარმონიულობისაკენ.

თუ ამ ზოგად პრინციპს დავაკონკრეტებთ, მივიღებთ შემდეგი სახის კონკრეტულ დებულებას: არც ერთი გვირაბმშენებელი, ენერგეტიკოსი, ქიმიის ტექნოლოგი და განსაკუთრებით არქიტექტორი არ წარმოადგენს მხოლოდ ამ ტექნიკურ სპეციალობათა კუთვნილებას წმინდა სახით. ნებისმიერი სპეციალისტი სრულყოფილებას, პროფესიონალიზმს აღწევს სწორედ იმ საუნივერსიტეტო ჰუმანიტარული, მსოფლმხედველობრივი, ფილოსოფიური, ეთიკურ-ესთეტიკური, რელიგიათმცოდნეობითი დისციპლინების კომპლექსური ათვისების, ანუ უფრო სწორად, გათავისების შედეგად, რომელთა დაუფლებაც ხელს უწყობს ადამიანის ჩამოყალიბებას ჰარმონიულ პიროვნებად, განსწავლულ, განათლებულ, დახვეწილ ინტელიგენტად, რომელიც საინტერესო პიროვნება შეიძლება იყოს არა მხოლოდ იმის წყალობით, რომ შეუძლია ტექნოლოგიური პროცესების სწორად წარმართვა, ზუსტი გამოთვლა-გაანგარიშება, კონსტრუირება და ა.შ., არამედ იმიტომაც, რომ იგი არის Homo aesthetikus, ამ

სიტყვის ყველაზე ღრმა და ზუსტი მნიშვნელობით. და კიდევ, თვით ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფა, კონსტრუირება, ახალი არქიტექტურული ფორმების ძიება, ყველაზე მშრალი, ზუსტი და ერთი შეხედვით მოსაწყენი გამოთვლა-გაანგარიშება კი შეუძლებელია განხორციელდეს შემოქმედებითი საწყისების თანაყოფიერების გარეშე; ადამიანი ხომ ანთროპოცენტრული სამყაროს შემოქმედიც და მკვიდრიცაა, ანუ კულტურას თვითონ ქმნის და თვითონვე საჭიროებს; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანის შემოქმედებითი უნარის გარეშე, რაც ღვთის წყალობით გაგვაჩნია, ვერანაირი ღირებულება ვერ შეიქმნება (მათ შორის მატერიალურიც), ხოლო ღირებულების გარეშე არც კულტურა არსებობს.

თუ ადამიანი ვერ ერკვევა შემოქმედებითი პროცესის კანონზომიერებებში, სინამდვილესთან ადამიანის ესთეტიკური მიმართების ემოციურ და მეცნიერულ-თეორიულ თანაფარდობებში, იგი ვერაფერს შექმნის ღირებულს ვერც ტექნიკურ სფეროში.

ადამიანი მოაზროვნე, მაძიებელი არსებაა. ტყუილად როდი ბრძანა ჰერდერმა იმის თაობაზე, რომ ადამიანის ბიოლოგიური დაბადება თუ ერთჯერადი პროცესია, მისი კულტუროლოგიური დაბადების პერმანენტული პროცესი სიცოცხლის ბოლომდე გრძელდება. ამიტომ თავისუფალი სულის ადამიანი (რაც ისევ ღვთის წყალობაა!) გამუდმებით ეძებს სრულყოფილებას, აუმჯობესებს და ხვეწს თავის საკეთებელს. მისი მოთხოვნილებაა, უპირველესად საკუთარი სულის რაფინირება და კულტივირება, ხოლო ამ გზის გავლის შემდეგ, საკუთარი სათქმელის, საკუთარი ფერისა და ბგერის მიგნება, რომელიც მხოლოდ მისია, ორიგინალურია, სხვისგან განსხვავებული და ერთადერთია, რომელიც ჩემადაც გახადა, მეც მომაპოვებინა, როგორც ღირებულება, როგორც აქამდე უცნობი სამყარო, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანი (კულტურის შემოქმედი) შედგა პიროვნებად,

რომლის აზრსა და სიტყვას წონა აქვს და ღირებულება; ამიტომ ჩემთვისაც მნიშვნელობს, ფუნქციობს, ჩემ ესთეტიკურ „შიმშილსაც“ აკმაყოფილებს, მჭირდება, როგორც ჰაერი და არ მსურს ვიცოცხლო მის გარეშე; არამედ უნდა ვიცხოვრო როგორც ადამიანმა, — ამ ღირებულებებით. ეს ჩემი სამყაროა — ანთროპოცენტრული!

მართალია, სულიერი აღმაფრენის გარეშე არ არსებობს არანაირი შემოქმედება, მაგრამ Homo aesthethikus შეუძლებელია ჩამოყალიბდეს მხოლოდ თვითნაბადი ესთეტიკური განცდა-შეფასების უნარის თანაყოფიერების შემთხვევაში (ასეთი უნარი პოტენციურად ყველა ადამიანს გააჩნია). Homo aesthethikus ყალიბდება სწორედ ზემოხსენებული უნარისა და ფილოსოფიურ-ესთეტიკური პრინციპების, ესთეტიკური აზროვნების განვითარების ლოგიკის თვალის გადევნებისა და უზოგადესი ესთეტიკურ-თეორიული პრინციპების პროფესიულ დონეზე ათვისების შედეგად, ესთეტიკური მეცნიერების თანამედროვე მიღწევათა გათვალისწინებით.

ნათქვამიდან გამომდინარე, იმდენად ბუნებრივი და მარტივია ტექნიკოსისათვის ესთეტიკური ცოდნის გარკვეული მარაგის ფლობის აუცილებლობა, რომ ეს ანბანური ჭეშმარიტების აზრს იძენს.

აღვნიშნავ მხოლოდ, რომ კარგა ხანია, ვიწრო, სპეციალური ესთეტიკური ცოდნის ფარგლებს გასცილდა ესთეტიკური ტერმინების მთელი რიგი, რომელთა უცოდინარობა, რომელთა ღრმა აზრში წვდომის უუნარობა ერთნაირად მიუტყვევებელია როგორც ჰუმანიტარული, ასევე ტექნიკური დარგის სპეციალისტებისთვისაც. მხედველობაში მაქვს მიმეზისის, კათარზისის, მშენიერების, ამალღებულის, ტრაგიკულის, კომიკურის, მხატვრული შემოქმედების, სინამდვილესთან ადამიანის ემოციური დამოკიდებულების, ესთეტიკური განცდა-შეფასების, დაბოლოს, ესთეტიკური გემოვნების ცნებები, რომელთა გარეშეც ძალზედ

დარიბი იქნებოდა ჩვენი შემეცნება; მათი გაცნობიერება კი განგვაცდევინებს ნებისმიერი მოაზროვნე ადამიანისათვის ესოდენ აუცილებელ და ადამიანურ, არისტოტელესეულ „შეცნობის სიხარულს“, რაც საბოლოო ჯამში ხელს უწყობს ადამიანის გარდაქმნას Homo sapiens-დან — Homo aesthetikus-ადაც.

ნათქვამიდან გამომდინარე, განათლების სისტემაში ამაჟამად მიმდინარე რეფორმა (რაც არა ერთჯერადი, არამედ პერმანენტული პროცესია) იმ იმედის დატოვების უფლებას მაინც გვაძლევს, რომ საუნივერსიტეტო დისციპლინათა სწავლების მეთოდის კულტივირება აუცილებლად მოხდება, თუ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის ფარგლებში ფილოსოფიურ დისციპლინათა სწავლების ისეთი მოღული იქნება შემუშავებული, რომელიც თანმიმდევრობის ლოგიკას დაექვემდებარება. კერძოდ, კაცობრიობის სააზროვნო სამყაროში შებიჯების შემდეგ (შესავლის კურსის სახით ყველა სპეციალობის სტუდენტთათვის) ჯერ, როგორც წესი, ფილოსოფიური აზროვნების ისტორია — ლოგიკის პარალელურად უნდა შეისწავლონ უნივერსიტეტების სტუდენტებმა, ხოლო შემდეგ, ამ კურსებიდან გამომდინარე, სტუდენტთა დიფერენცირებული მოთხოვნების მიხედვით, უკვე არჩევის წესით — სხვა ფილოსოფიური დისციპლინები: ესთეტიკა, ეთიკა, რელიგიის ფილოსოფია, სამართლის ფილოსოფია, სოციოლოგია, დაბოლოს, რაც მთავარია, — კულტურის ფილოსოფია.

უფიქრობ, უნდა დამთავრდეს ის დრო, როცა ფილოსოფია მხოლოდ მარქსიზმ-ლენინიზმად აღიქმებოდა და არა სიბრძნისმეტყველებად, რომლის ისტორიაც ჩვენს წელთაღრიცხვამდე იწყება კაცობრიობის ისტორიაში.

## მხატვრული სახის ცნების მსოფლიო- კულტუროლოგიური კონცეპტი

მხატვრულ სახეზე მსჯელობა ალბათ იმით უნდა დავიწყოთ, თუ რატომდა აუცილებელი ტერმინის — „სახე“ დასაზუსტებლად ზედსართავი სახელის - „მხატვრულის“ გამოყენება.

საქმე ის არის, რომ სიტყვას - „სახე“ ქართულ ენაში გრძელი ისტორია აქვს. უძველესი დროიდან იგი აღნიშნავს: „გარეგნულ იერს“, „გამომეტყველებას“, „ღვთის სახეს“; აქედან, დღემდე შემორჩენილია, ერთის მხრივ, „სახე ხატი (ანუ იტალიური ტერმინით — „icona“), რამდენადაც მასში შთაბეჭდილია „ღვთის სახე“, ხოლო მეორე მხრივ, ჩვეულებრივი, ყოველდღიური ფიზიონომია, რომელმაც მიიღო უარყოფითი აზრი. სიტყვამ „სახე“ წმინდა ესთეტიკური მნიშვნელობა მე-17-მე-18 საუკუნეების მიჯნაზე შეიძინა, მაშინ, როდესაც რეალურ მხატვრულ პრაქტიკაში ხატწერა ფერწერად გარდაიქმნა, საიდანაც ზეცის მკვიდრთა სახეები მონუმენტურ ფერწერაში, — ცოცხალ ადამიანთა სახეებმა გამოდევნეს დაზგურ ფერწერაში. თანამედროვე გაგებითაც ცნება „სახე“ არაა ერთმნიშვნელოვანი. რეალური სამყაროს საგანთა ხედვით აღქმას, ფსიქოლოგიური აზრით, ამ საგანთა „სახეებს“ უწოდებენ. ფილოსოფიაში გნოსეოლოგიური ცნება „სახე“ გამოიყენება საგნობრივი სამყაროს არა მხოლოდ გრძნობადი, არამედ ინტელექტუალური ასახვის აღსანიშნავად ადამიანის ფსიქიკის მიერ. მხატვრული სახე კი — ხატოვნების განსაკუთრებული ტიპია, რომელსაც აქვს როგორც გნოსეოლოგიური, ფსიქოლოგიური და სემიოტიკური მნიშვნელობები, ასევე სხვაგვარი მნიშვნელობის ასპექტთა მთელი რიგი, რაც მოითხოვს მისი ხელოვნებაში გამოყენების დამაკონკრეტებელ ეპითეტს — „მხატვრული“.

ესთეტიკური აზროვნების ისტორიაში ცნება „სახე“ მე-18 საუკუნის დასასრულიდან ხელოვნების არსის, როგორც ცხოვრების

სახეებში ასახვის აღმნიშვნელად მკვიდრდება (შილერთან, შელინგთან, ჰეგელთან). შემდგომ, „სახის“ ცნება ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებს წარმოქმნიდა, მე-20 საუკუნეში იგი მისაღები იყო ტრადიციულად მოაზროვნე ესთეტიკოსებისათვის, მაგრამ არ იყო მისაღები მათთვის, ვინც ხელოვნებაში ხედავდა არა სინამდვილის ასახვას, არამედ მხატვრის ემოციურ თვითგამოხატვას, ან ესთეტიკურად მნიშვნელოვან ობიექტთა კონსტრუირებას, ან ფორმათა თვითმიზნურ თამაშს.

გარკვეული ესთეტიკურ-კულტუროლოგიური კონცეფციიდან გამომდინარე, ხელოვნების სტრუქტურის ყველაზე ზუსტ განსაზღვრებად მიიჩნევა ცნება „მხატვრული სახე“ იმიტომ, რომ ამგვარ ესთეტიკურ-კულტუროლოგიურ კონცეპტს წარმოშობს შერწყმა რეალობის ასახვისა, შემოქმედის გრძნობათა და აზრთა გამოხატვისა, მატერიალურ-სულიერ საგანთა განსაკუთრებული გვარის კონსტრუირებისა, თამაშისა, რომელიც ამ ფორმათათვისაა გამოყენებული, ფორმის გადაქცევისა ენად, რომელზეც შემოქმედი ადამიანებს ესაუბრება... იმიტომ ხელოვნების ნიმუშები ორგვარად უნდა დავაკონკრეტოთ: 1. როგორც მხატვრულები და 2. როგორც განხორციელებულები. პირველი ეპითეტი ხელოვნებაში სახის სულიერი შინაარსის თავისებურებებზე ლაპარაკობს, ხოლო მეორე – ამ სულიერების მატერიალიზაციაზე.

მხატვრული სახე სულიერია თავისი მოდალურობით. იგი იდეალურის ფორმაა როგორც „სუბიექტური რეალობის“, ადამიანურ ცნობიერებაში რომ ლოკალიზდება. შემთხვევითი როდია ქართულ (და მრავალ სხვა ენაშიც) ის ფაქტი, რომ ერთნაირდინანია სიტყვა „სახე“ და „წარმოსახვა“, „ასახვა“ (გერმანულ ენაში – „Bild“ და „Einbildungskraft“). ენა აფიქსირებს სახის ლოკალიზაციას იმ სულიერ სივრცეში, რომელიც ადამიანის წარმოსახვით იქმნება. სახე იბადება შემოქმედის წარმოსახვაში, იქვე მომწიფდება, ღრმად მოისაზრება და ხელოვნების ნაწარ-



მოებში ხორცშესხმის წყალობით მაყურებლის, მკითხველის, მსმენელის წარმოსახვაში გადაინაცვლებს.

ეს, რასაკვირველია, არა მხოლოდ მხატვრულ სახეს შეეხება. ამიტომ აუცილებელია დადგინდეს, თუ რაში მდგომარეობს მისი, როგორც სპეციფიკური სულიერი კონსტრუქტის თავისებურებანი. ესთეტიკურ თხზულებებში გადმოცემული ჩვეულებრივი წარმოდგენა, რომ სახე „ერთეულისა და ზოგადის ერთიანობაა“, არ ავლენს მის სპეციფიკას, რადგან ეს ადამიანის ცნობიერებაში წარმოქმნილი ყველა სახის დახასიათებაა, რომლებიც განსხვავდებიან უბრალო შეგრძნებათაგან, ერთეულ ყოფიერებას რომ ასახავენ თავის ხედვით, სმენით, შეხებით კონკრეტულობაში. მხატვრული სახის სულიერი სტრუქტურის ნამდვილი თავისებურება კი იმაში მდგომარეობს, რომ შემოქმედებითი მოღვაწეობით, რომელშიც სინკრეტულად შერწყმულია შემეცნება, ღირებულებითი გაცნობიერება და გამოგონილი რეალობის პროექტირება, — შექმნილი მხატვრული სახე თავის თავში ატარებს ყოველ ამ სამ საწყისს — ერთმანეთში გადამდნარ და ურღვევ ერთიანობაში.

კონსტანტინე გამსახურდიას თარაშ ემხვარის სახეს ავიღებთ თუ ლადო გუდიაშვილის ქაშუეთის ღვთისმშობელს ჩვილით, გია ყანჩელის პიროვნულობის სახეს სიმფონიიდან „მიქელანჯელო“ თუ დავით კაკაბაძის „იმერეთის პეიზაჟს“, პოლიკარპე კაკაბაძის ყვარყვარე თუთაბერის სახეს თუ თენგიზ აბულაძის არავიძეს, — ყველა შემთხვევაში ჩვენს წინაშეა რომელიმე ობიექტური რეალობის შემეცნებითი ასახვა, შემოქმედის მიერ ასახულის შეფასების ემოციური გამოხატულება და იმ ახალი იდეალური ობიექტის შექმნა, რომელიც ამოსავალ რეალობას იმისათვის გარდაქმნის, რათა მან განახორციელოს ცოდნისა და შეფასების შერწყმული ერთიანობა. ასეთი სამგანზომილებიანი სტრუქტურა არცერთ არამხატვრულ სახეს არ გააჩნია — არც დოკუმენ-

ტურ-რეპროდუქციული ხასიათისას, არც სამეცნიერო — ილუსტრაციულს, არც პროექტირებულ-ტექნიკურს. სამყაროს ასახვის მხოლოდ მხატვრული ხერხი ქმნის სამმხრივ იდეალურ კონსტრუქტებს, რომლებიც ოთხმხრივად გარდაიქმნებიან კიდევ ერთი აუცილებელი კომპონენტის წყალობით, — ინტენციონალურის, რომელიც წარმოქმნის ხელოვნების ნაწარმოების დიალოგურ მიმართვას მაყურებლის, მსმენელის, მკითხველისადმი, რადგანაც ეს უკანასკნელი შემოქმედისთვის, ჩვეულებრივი, კომუნიკაციური აქტის „რეციპიენტებს“ კი არ წარმოადგენენ, არამედ მათ, ვისაც მოუწოდებენ თანაშემოქმედების, თანამონაწილეობის, ანუ დიალოგისკენ, რომლის მიზანსაც მხატვრული ინფორმაციის გამომუშავება წარმოადგენს.

მინდა ხაზგასმით გავიმეორო, რომ მხატვრული სახის ყველა ამ ოთხი მხარის ურთიერთდამოკიდებულება შეიძლება ნაირგვარად განხორციელდეს მრავალი მიზეზის გამო: ხელოვნების გვარის, სახის, ჟანრის ბუნებიდან გამომდინარე, მხატვრული მეთოდისა და სტილის პოზიციებიდან გამომდინარე, შემოქმედის ინდივიდუალობიდან გამომდინარე, კონკრეტული მხატვრული ამოცანიდან (რომელსაც შემოქმედი წყვეტს მოცემულ შემოქმედებით აქტში) გამომდინარე, ოღონდაც ამა თუ იმ უფლებით, ვთქვათ, როგორც საზოგადოებრივი დომინანტა, ან სტრიქონებსშორისი ფონი, რომლებიც იქვემდებარებენ სხვა მხარეებს, ან მათთან ჰარმონიულ წონასწორობას ეძებენ. თითოეული მათგანი აუცილებელია სრულფასოვანი მხატვრული სახისათვის.

აქვე საჭიროა იმის ხაზგასმა, რომ ხელოვნებაში მხატვრული სახის რა მასშტაბზეც უნდა იყოს ლაპარაკი, მისი სტრუქტურა მაინც ინვარიანტული რჩება, რადგანაც სწორედ სახის სტრუქტურა ანიჭებს სულიერ შინაარსს მხატვრულ თვისებას.

ეს თვისება მხატვრულ სახეში ობიექტურისა და სუბიექტურის გაიგივებაზე აღმოცენდება. ეს კი გამოვლინდება მის

მეტაფორულ უნარში – სუბიექტის თვისებები ობიექტზე გადაიტანოს; ვთქვათ, ისეთი მეტაფორები, რომლებიც ბუნების მოვლენებს სიცოცხლეს ანიჭებს, ადამიანის თვისებებს მიუსადაგებს შემოქმედი:

*„ლამის სახლში შემოიჭრას თუთა,  
ლამის თავზე გადამისვას ხელი“;*

ან

*„მე ვარ მისანი ხარი წიქარა,  
შენი დვრიტა ვარ მამულ-დედულ“;*

ან

*„მოგონების ვიოლინოს  
ჩუმად უკრავს წვიმის ხემი,  
ქარში სევდაგანამხელი  
დგანან ხენი“...*

შედეგად, ხელოვნებაში ობიექტი ისე იქცევა, როგორც სუბიექტი (გავიხსენოთ ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, მისი „შვლის ნუკრის ნაამბობი“ და სხვ.) ეს ჩვენ უფლებას გვაძლევს განვსაზღვროთ მხატვრული სახე, როგორც კვანისუბიექტი, რადგანაც მიხეილ ჯავახიშვილის „მზეჭაბუკის“, კვაჭი კვაჭანტირაძისა თუ ლადო გუდიაშვილის სერაფიტას სუბიექტურობა მაინც მოჩვენებითია და არა ნამდვილი.

მხატვრული სახის შინაარსის ყველა ეს თავისებურება იწვევს მხატვრული ფორმის განხორციელებულ და თვალსაჩინო აუცილებლობას. ლაპარაკია იმაზე, რომ მხატვრული სახის ფორმა უნდა იყოს კონსტრუქციულ-მატერიალური და ამავე დროს ნიშნობრივ-ენობრივი. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება იგი იყოს სულიერი შინაარსის ადეკვატური თავისი როგორც გამოხატვის ხერხით, ასევე, იმავედროულად, შემოქმედის მიერ მკითხველის, მაყურებლის, მსმენელის სადიალოგოდ მოწვევის ხერხითაც.

მხატვრული შემოქმედების არსობრივი თვისება, ეს არის სინამდვილის ხელახლა შექმნა, ანუ ახალი სინამდვილის შექმნა, რაც წარმოადგენს დამაკავშირებელ რგოლს სულიერ შინაარსსა და ხელოვნებათა გარეგნული ფორმის მატერიალურობას შორის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ესაა სულიერების მატერიალიზაცია და მატერიალურის განსულიერება. მათი შეხვედრისა და შერწყმის წერტილი — ეს არის ობიექტურისა და სუბიექტურის ერთიანობა კვანძისუბიექტის ფორმაში, ანუ მხატვრულ სახეში.

2007 წ.

## მიზბრუნდეთ გულრო სავანეს!

*ღია წერილი სტუდენტებს*

ყოველგვარი კომუნიკაციები ადამიანებს შორის მისალმებითა და ურთიერთგაცნობით იწყება.

ღმერთი გფარავდეთ! ამ სიტყვებით მინდა, ჩემო ძვირფასებო, მოგესალმოდეთ! მე დედა ვარ და სწავლის გზას შემდგარი ნებისმიერი მოზარდი ჩემთვის ძვირფასია.

ჩემი სტუდენტები (ყოფილნიც და ამჟამინდელნიც), ვფიქრობ, კარგად მიცნობენ. ხოლო მათთვის, ვინც არ მიცნობს, მინდა ვთქვა, რომ იღია ჭავჭავაძის (ამჟამად — ილიას) სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთ პროფესორს — ლალი გვასალიას დღეს, რატომღაც, ამ ფორმით მოუნდა თქვენთან გასაუბრება. თუ რატომ, ამას ღია წერილის თვალის მიდევნებით შეიტყობთ!..

„კომუნიკაციებით“ დავიწყე საუბარი. მე და თქვენ ერთმანეთთან ანგარიშვალდებულებითი დამოკიდებულება გვაკავშირებს. ძალიან მშრალად ჟღერს, ხომ ასეა? მაგრამ, მადლობა ღმერთს, უმეტეს შემთხვევაში „ანგარიშვალდებულება“, ანუ მოვალეობის მოხდა, მეგობრობაში გადაზრდილა; უფრო მეტიც, სტუდენტებთან ჩემი მუშაობის 30-ზე მეტი წლის მანძილზე, ბევრი მათგანი ჩემი კოლეგა გახდა, რაც მოკრძალებული სიამაყის უფლებას მაძლევს.

თავიდათავი და საფუძველი ანგარიშვალდებულებით დამოკიდებულებათა სასურველი შედეგით დასრულებისა (მე თქვენი „დამოდღვრა“ მავალია ფილოსოფიასა, ესთეტიკასა და კულტუროლოგიაში, ხოლო თქვენ — საუნივერსიტეტო ცოდნის შექმნა), გახლავთ კეთილგანწყობა ორივე მხრიდან. კეთილგანწყობის საფუძველი კი — სიყვარულია.

გიყვარდეთ, უპირველესად, საკუთარი თავი!

ანუ, ადამიანი თავმოყვარე უნდა იყოს (ოღონდ არა პატივმოყვარე, ამპარტავანი და კადნიერი!), თავმოყვარეობის საფუძველი ღირსების გრძნობაა, რაც ღირსეულ ადამიანს უთუოდ უნდა გააჩნდეს. ვისაც საკუთარი თავი არ უყვარს (ცხადია, არა „ნარცისულად“), იგი თვისტომს ვერ შეიყვარებს (მტერს, მითუმეტეს!).

გიყვარდეთ თვისტომი და მტერიც! —

თუ სათნონი და ღვთისმომიშნი ხართ; ხოლო თუ არა, მაშინ სიყვარულის ღმერთს ვერ შეიყვარებთ!

გიყვარდეთ თქვენი ღმერთი! (სამსახოვანი ერთი არსება — მამა ღმერთი, ძე ღმერთი და სული წმინდა!).

ვინც უღმერთოა, ის არ არის თავისუფალი. თავისუფლების მაღლით ღმერთმა შეგვმოსა თავისი კრეაციული უნარით შექმნილი მოაზროვნე და შემოქმედი არსებანი — ადამიანები. ადამიანი ღმერთმა შექმნა თავისი „სახისა და ხატის მსგავსად“.

თუ ადამიანი თავისუფალი არ არის, მაშინ ის მონაა, ან სხვა ადამიანის, ან საკუთარი ეჭვების, ან პათოლოგიური მიდრეკილებებისა და აკვიატების (ნარკომანობა, ლოთობა...). ვინც მონაა, მას ეშინია სხვა ადამიანის, რაც დაუშვებელია, ადამიანს ადამიანისა არ უნდა ეშინოდეს, არამედ უნდა ეშინოდეს მხოლოდ ღმერთის.

იყავით ღვთისმომიშნი!

ხედავთ, ჩემო კარგებო, ჩვენ მსჯელობის ლოგიკამ ანთროპოცენტრულ სამყაროს, ანუ კულტურას მიგვაახლოვა! კულტურის საფუძველი და კრიტერიუმი — თავისუფლებაა.

ფიზიკური თავისუფლება შეიძლება წაგართვას რომელიღაც მაიძულებელმა ძალამ (ბუნებისა იქნება ეს, თუ სოციალური, მაგალითად, პატიმარი შეპყრობილია და იგი არ შეიძლება ფიზიკურ თავისუფლებას ფლობდეს), მაგრამ სულისა და აზროვნების თავისუფლებას ვერავინ ხელყოფს თქვენში. ყველაზე ადამიანური სამყაროს, ანუ ანთროპოცენტრული სამყაროს შემოქმედი

ღმერთი არ არის, არამედ ღმერთის მიერ თავისუფალ არსებად შექმნილი ადამიანი, რომელიც ან კულტურის შემოქმედია, ან კულტურის მსაჭიროებელი.

მაგრამ კულტურა რაღა არის?! კულტურა არც ღმერთს სჭირდება (ღმერთი ყოველგვარ კულტურაზე ზეადმატებული აბსოლუტია!) და არც ცხოველს (რომელიც ყოველგვარ ადამიანზე უკეთაა ადაპტირებული ბუნებასთან); მხოლოდ ადამიანს ესაჭიროება რაღაც კორექტივის შეტანა ღვთის მიერ მისთვის წინასწარ გამზადებულ გრძობად-აღქმად სამყაროში, ანუ ბუნებაში.

თუ ცხოველს, ფრინველსა და მწერს სავსებით „აკმაყოფილებს“ მზა-მზარეული ბუნება, ადამიანი, რახან მოაზროვნეა, თავისუფალია და შემოქმედია, პრეტენზიულიცაა, — იგი ვერ გამოიკვებება ძირხვენებით, ფესვებით, პანტა მსხლითა და მაჟალო ვაშლით, ვერც მონადირეული ცხოველის თერმულად გადაუმუშავებელ ხორცს „შედმურძლავს“, არამედ მან თავის თავზე უნდა მოისადაგოს ბუნების საგნები, უნდა მოახერხოს მათი კულტივირება, ანუ გადამუშავება (ეტიმოლოგიურად, სწორედ ამას ნიშნავს ტერმინი „კულტურა“) ბუნებისაგან მორთმეულისა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის ბუნებას არ ქმნის, მან უნდა შექმნას კულტურა, რაც მის სიცოცხლეს ადამიანური ცხოვრების სიმაღლეზე აიყვანს. ბუნების გამოყენება ადამიანს მხოლოდ მისი კულტურულ სფეროდ ტრანსფორმაციის გზით შეუძლია. ჰეგელის, — გერმანული კლასიკური ფილოსოფიის უდიდესი წარმომადგენლის ტერმინს თუ მოვიშველიებთ, კულტურა ადამიანის მთელი ცხოვრების გარეგანდამწვდომი მოვლენაა. კულტურა ის ფენომენია, რასაც ღირებულება გააჩნია, ანუ რაც ფუნქციობს და მნიშვნელობს ჩვენთვის. კულტურის სფეროში ღირებულებას კანონის ძალა აქვს. მოდით, კიდევ სხვაგვარად ვთქვათ, კულტურაში მოქმედი ღირებულებანი კულტურის საგანთა მომწესრიგებელი ძალებია.

აი, კიდევ ერთი ახალი ტერმინი — „წესრიგი“, რომლის გარეშეც კულტურა არ არსებობს; უფრო მეტიც, კულტურის უმოკლესი, ლაკონური დეფინიცია, ანუ განსაზღვრება ამ ტერმინით გამოიხატება. მოდით შევთანხმდეთ, რომ კულტურა ეს არის ადამიანის სულში და მის გარეთ ადამიანისვე მიერ დამყარებული წესრიგი, მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს გასარკვევი და დასაზუსტებელი.

ყველაფერს ამ ღია წერილში ხომ ვერ დავატევთ, მაგრამ გამოსავალი არსებობს. წიგნს რომ სარეკომენდაციო ლიტერატურის ნუსხას დავურთავ, მოდით, იმ სახელმძღვანელოებიდან, თუ სამეცნიერო წიგნებიდან თქვენ თვითონ მოახერხეთ თქვენთვის საინტერესო კითხვებზე პასუხების მიღება.

ჩვენ კი დავიწყოთ იმით, რომ კულტურის შემოქმედმა, ანუ ადამიანმა „მე“-დან მხოლოდ „მე“-ს გარეთ (ანუ, ტრანსცენდენტურ, — მიღმურ სამყაროში) ცქერით კი არა, არამედ „მე“-დან „მე“-ში ჩაღრმავებით, ჯერ თვითონ უნდა შეიქმნას საკუთარი თავი კულტურის სუბიექტად; სხვა სიტყვებით, — უპირველეს ყოვლისა, საკუთარ სულში უნდა დაამყაროს წესრიგი. კულტურა წესრიგია, მაგრამ არა სტიქიური (ბუნებას რომ ახასიათებს), არამედ ჰუმანიზებული წესრიგი, ანუ ადამიანური ღირებულებების ნორმებით დამყარებული წესრიგი.

კულტურა ადამიანის ენაა, ხოლო ამ ენის უნივერსალური ფორმა სიმბოლოა (მხატვრულ ლიტერატურაში — სიტყვა, ფერწერაში — ფერები, მუსიკაში — სანოტო სისტემის მეშვეობით განხორციელებული ბგერები.). ადამიანი, რომელიც ცხოვრობს მთლიან სამყაროში, მას სჭირდება დიალოგი ყველაფერთან. დიალოგის ფორმა კი — კულტურაა.

კულტურა ყველაფერია, რაც ადამიანის შემოქმედებითი შრომითაა შექმნილი, მაგრამ კულტურა, პირველ რიგში, მაინც ადამიანის წიგნიერებასთან, წიგნის „კულტთან“ ასოცირდება,



თუმცადა ეს რეალური კულტურის არა ერთადერთი, არამედ მხოლოდ ერთ-ერთი სფეროა.

და აი, ჩემო კარგებო და გონიერებო! დღეს სწორედ ესაა აქტუალური და მწვავე პრობლემა. ხომ არ დაკარგა ადამიანმა საკუთარი თავი?!

პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და, რაც მთავარია, სულიერი კატაკლიზმების შემდეგ, ხომ არ შეაქცია ზურგი ადამიანმა იმ მყუდრო, მხოლოდ მისთვის არსებულ სულის ნავსაყუდელს, რასაც წიგნის სამყარო ქვია, სადაც ადამიანი თავისი თავის უფალია და სადაც ყველაზე სასურველი დიალოგი ხორციელდება მასა და შემოქმედს შორის.

გაგიმეორებთ, რომ კულტურა დიალოგისა და კომუნიკაბელურობის ჰუმანიზებული ფორმაა. მაგრამ მე აქ მახსენდება ოსვალდ შპენგლერის „ვერობის მზის ჩასვენება“, სადაც იგი ერთმანეთს უპირისპირებს კულტურასა და ცივილიზაციას: კულტურის ეტაპი ეს არის სულის სიცოცხლის, მისი განხორციელების ეტაპი. ცივილიზაციის ეტაპი სულის შესაძლებლობათა გამოფიქვისა და ბოლოს, მისი სიკვდილის ეტაპია; კულტურა სულის ბატონობაა, ცივილიზაცია — ინტელექტისა. კულტურა პატრიოტიზმია, ცივილიზაცია კი პატრიოტიზმის ადგილზე აბატონებს ანონიმურ კოსმოპოლიტიზმს. კულტურა შემოქმედებითობას ნიშნავს, ცივილიზაციის ნიშანი იმპერიალიზმია. ცივილიზაციის პირობებში, შპენგლერის ვარაუდით, ხელოვნება და ფილოსოფია ამოწურულია. კულტურის მთავარი ნიშანია სულიერი სიმდიდრე; ცივილიზაციისა — მატერიალური სიმდიდრე.

ცივილიზაციის საფეხური, ეს არის მზის ჩასვენების საფეხური, — ასკენის შპენგლერი.

მოცემული თვალსაზრისით, კულტურა ყოველთვის წინ უსწრებს ცივილიზაციას, ხოლო იმას, რაზეც შპენგლერი მიუთითებს, უნდა ეწოდოს არა ცივილიზაციის კულტურისადმი გას-

წრება, არამედ კულტურის ცალმხრივი განვითარება. მთლიანი კულტურა მისი სხვადასხვა კონკრეტული სახეების ჰარმონიული მთლიანობაა, მაგრამ დასავლეთის კულტურაში მოხდა ისე, რომ ტექნიკამ და ტექნოლოგიებმა, როგორც მატერიალური კულტურის სახეობებმა, საგრძნობლად გაუსწრეს სულიერი კულტურის (განსაკუთრებით ზნეობის) დონეს. ესაა კულტურის ცალმხრივი განვითარება, რაც შპენგლერის, და სხვათაშორის, ჩვენს კანონიერ შეშფოთებასაც იწვევს.

კომპიუტერული სისტემების გამოყენება, რაც დღეს ჰაერივით ესაჭიროება ადამიანის ცხოვრების რიტმსა და კომფორტს, ნებისმიერი ინფორმაციის მოჭარბებული რაოდენობა, რაც ასე იოლად ხელმისაწვდომია ინტერნეტში ჩართვისას, — ჩვენი ღრმა ცოდნის (რაც წიგნის საშუალებით შეიძლებოდა სრულყოფილად მიგველო) სუროგატს, მის მხოლოდ ზედაპირულ ნაწილს ხომ არ გვთავაზობს? ზედმეტად ხომ არ გვანებივრებს ყველაფრის იოლად, ტვინის გარჯის გარეშე მოპოვება და ამდენად, ადამიანური განცდების, ზნეობის, სიკეთისა და ჰუმანურობის ადგილს ცივი, უღმობელი გონება ხომ არ იკავებს?

ზემოთაც აღვნიშნე, წიგნთან დაბრუნება პრობლემაა — მეთქი. ამ პრობლემის სიმწვავე განსაკუთრებით საგრძნობია ჩვენთვის, პროფესორ-მასწავლებელთათვის, ვისაც ახალგაზრდებთან გვიხდება ურთიერთობა, რომელთა დიდი ნაწილი სწორედ რომ არაკომუნიკაბელური, გულგრილი, ინდიფერენტული, გრძნობებმობლაგვებული და თვითკმაყოფილია. არანაირი სურვილი არა აქვს პიროვნულობის, ადამიანად შედგომის, თვითდამკვიდრების. ურჩევნია იყოს ფლეგმატური და რაც ყველაზე შემაშფოთებელია, არათუ აზროვნება, ფიქრიც კი ეზარება და, აქედან გამომდინარე, ეზარება შეეწინააღმდეგოს ცხოვრების იმ წესს, რაც უცხოური მანქანებით ჯირითში, ამაზრზენ შოუებს, ფართებსა და „ტუსოვკებზე“ დასწრებასა და უაზრო გართობებში გამოიხა-

ტება და... იფლანგება ახალგაზრდობის წლები!.. როგორც დიდი ფილოსოფოსი, ბატონი მერაბ მამარდაშვილი ბრძანებდა, დროის სტრუქტურა ისეთია, რომ ყველაფერი აწმყოშია, აი, ახლათ მოცემული, ახლა ხდება... ეს სტრუქტურა შეიცავს შუქს, რომელიც შინაგანი იმანენტური შუქია ხორციელი განცდისა. ეს შუქი, ეს პირველი მომენტი მხოლოდ წამიერადაა მოცემული. მისი ჩემში თანდასწრება წამია, რაც ნიშნავს მხოლოდ ერთ რამეს: ჩვენ ამ თანდასწრებას მთლიანად კონცენტრირებულნი უნდა დავხვედეთ... ყურადღებით იყავით, მომენტი არ გაუშვათ იმიტომ, რომ იგი არ გაგრძელდება, იგი მხოლოდ ერთი წამია. თქვენ შეგიძლიათ გაათავსოთ ეს წამი, ოღონდ არა ფიზიკურ დროსა და სივრცეში, არამედ რაღაც შინაგან სივრცესა და დროში... აი, რაღაც მომეჩვენა, რაღაცამ გაიბრწყინა, შთაგონება მეწვია, მაგრამ დღეს არ მცალია, ხვალ ყველაფერს გავიგებ! ვერაფერსაც ვერ გაიგებ და მთელი არსი და ყოფიერება სამუდამოდ არარაობაში იკარგება იმიტომ, რომ სრული კონცენტრაციით არ დახვდი იმას, რაც აკაკუნებდა არსებობის კარზე. მას კარი დაკეტილი დახვდა და ვეღარ შემოვიდა ჩემს არსებობაში, უფრო სწორად, მე ვერ შემოვიყვანე. ადამიანის ძალისხმევის მთავარი ნიშანი, — არსებობაში რაღაცის შეყვანის კარი, ანუ გზაა. თუ არ არის ეს ძალისხმევა, თავისთავად არაფერი იარსებებს... არაფერი სრულდება ხდომილებაში ჩვენი ძალისხმევის ჩაურთველად.

ვერ გაუძიებელი ცდუნებას, ჩემო კარგებო, რომ ეს ძალიან ვრცელი ამონარიდი ბატონ მერაბ მამარდაშვილის ნააზრევიდან თითქმის მთლიანად არ მომეწოდებინა თქვენთვის. ეს ხომ ჭკუის სასწავლებელია, თუ ამის გაგების თავი აქვს ადრესატს!

მე ძალიან მტკივა ის, რომ ზნეობა დღითიდღე დეფიციტური ხდება ზემოთხსენებული გულგრილი ახალგაზრდობისთვის, უფრო კი ის მტკივა, რომ ეს მათ არავითარ დისკომფორტს არ უქმნის!

მადლი უფალს, გვეყავს მათგან სრულიად განსხვავებული ახალგაზრდებიც, უკვე მკაფიოდ გამოკვეთილი პიროვნებები რომ არიან, მაგრამ ვაი, რომ ჯერ-ჯერობით უმცირესობა!

ჩვენი თაობისათვის ყველაზე მყუდრო და სასურველი გარემო, წიგნის სამყარო იყო, სადაც უნიკალური გამოცემებისათვის შეგვეძლო სათუთად შეგვევლო ხელი და დროის შეგრძნების დაკარგვით გაგვემართა დიალოგი სასურველ ავტორთან, რადგან შემოქმედი კავშირს ამყარებს არა მარტო თანამედროვეობასთან, არამედ წარსულისა და მომავლის თაობებთანაც. ხოლო როცა ადამიანს სურს კომუნიკაცია-დიალოგი საკუთარ თავთან, ღმერთთან ან შემოქმედ-თვისტომთან, ამისათვის ყველაზე კარგი გარემო-წიგნების მყუდრო სავანეა.

მიუხედავად ღმერთის, საკუთარ თავის და ყველაფრის საწყისის, პირველწყაროს — წიგნის!

არ გენატრებათ რუსთაველი?

*„ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა!  
ყოველი შენი მონღოლბილი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა!  
სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა?!  
მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა შენგან განაწირსა“.*

არ გენატრებათ ბართაშვილი?

*„ცისა ფერს, ლურჯსა ფერს,  
პირველად ქმნილსა ფერს  
და არ ამქვეყნიერს,  
სიყრმითგან ვეტრფოდი!...“*

არ გენატრებათ ვაჟა-ფშაველა?

*„რამ შემქმნა ადამიანად?  
რატომ არ მოვედ წვიმადა,  
და არ მოვედ ზაფხულად,  
და არ მოვედ ზოდნად...“*

*რომ ეყოფილიყავ მუდამა  
ღრუბელთ გულმკერდის მძივადა“...*

არ გენატრებათ გალაკტიონი?

*„აჰყვე ვარდისფერ საფეხურებს და აჰყვე ისე,  
რომ შენს წინ სხივზე ლანდად იდგეს ყრმა ღიონისე;  
გრძნობდე, რომ ისე უკვლავია თქვენი მსგავსება:  
ერთნაირ სულში ერთნაირი მზის მოთავსება“...*

არ გენატრებათ ტიციაანი?

*„მე არ ვწერ ლექსებს... ლექსი თვითონ ძწერს,  
ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან ახლავს,  
ლექსს მე ეუწოდებ მოგარდნილ მეწყერს,  
რომ გაგიტანს და ცოცხლად დაგმარხავს“...*

არ გენატრებათ ლალო ასათიანი?

*„ჰეი, თქვენ, არაგველებო,  
გაუმაძღარნო ომითა,  
თქვენს საფლაგებთან მოსვლა და  
მუხლის მოდრეკა მომინდა!“...*

არ გენატრებათ გოგლა ლეონიძე?

*„მოდო ჩემთან, ვიდრე მეხი  
დაგკრავს, აგაბოლებს,  
ტყაყდამსკდარო, ნაოხარო,  
მარტოხეო ოლე!“*

არ გენატრებათ ირაკლი აბაშიძე?

„როგორც დათბება, როგორც დათბება  
და მზე ჩატკება შემკულ დაისში  
უნდა აღსრულდეს, რაც მენატრება, —  
უნდა გავფრინდე ჩემ ქუთაისში“...

არ გენატრებათ ანა კალანდაძე?

„თქვი, არჯაკელო, ზვიარა,  
ქსანზე ვინ ჩამოიარა?  
რა ვი, ღრუბლებზე ვფიქრობდი  
და არა გამიგია-რა!  
მეც სხვათაშორის ვიკითხე,  
სალაპარაკოდ კი არა“!..

არ გენატრებათ ალექსანდრ ბლოკი?

Сумерки, сумерки вешние,  
Хладные волны у ног,  
В сердце надежды нездешние,  
Волны бегут на песок.  
Отзвуки, песня далёкая,  
Но различить не могу.  
Плачет душа одинокая  
Там, на другом берегу.

არ გენატრებათ სერგეი ესენინი?

«Край любимый! Сердцу снятся  
Скирды солнца в водах лонных,  
Я хотел бы затеряться  
В зеленях твоих стозвонных.

*По меже, на перемётке  
 Резеда и риза кашки,  
 И вызванивают в чётки  
 Ивы, кроткие монашки!..»*

*არ გენატრებათ ჰაინრიხ ჰაინე?*

*«Die Rose, die Lilie, die Taube, die Sonne,  
 Die liebt ich einst alle in Liebeswonne.  
 Ich lieb sie nicht mehr, ich liebe alleine  
 Die Kleine, die Feine, die Reine, die Eine;  
 Sie selber, aller Liebe Bronne,  
 Ist Rose und Lilie und Taube und Sonne».*

ჰოდა, თუ გენატრებათ, მიუბრუნდით მყუდრო საგანეს! გენოსთა მიერ მოპოვებული ახალ-ახალი სამყაროები თქვენად გაიხადეთ!

შექმენით საკუთარი თავი!!!

2008 წ.

## „მრწამსის ფენომენი — კულტურის ქმნალობის საფუძველი“

2009 წლის 22 მაისს, ღია დიპლომატიის ასოციაციის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე „ხელისუფლება და საზოგადოება — 2009“ პროფესორ ღალი გვასალიას მიერ წარმოდგენილი მოხსენება

მრწამსი როგორც ინდივიდუალური, ისე სოციალური ფსიქიკის ფენომენია. მრწამსს მიეყვარათ პიროვნების შეგნებული ისტორიული შემოქმედების სოციალურ ერთიანობაში ინტეგრირებისაკენ.

მრწამსი როგორც რწმენის სიმბოლო, ყოველთვის იყო და იქნება კულტურის ფილოსოფიის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემა, რამდენადაც სწორედ ეს ფენომენი წარმოადგენს პიროვნების როგორც შემოქმედების, ასევე სოციალური აქტივობის მოტივსა და საფუძველს. სოციალურ აქტივობას კი პიროვნების თავისუფლება აფუძნებს. ამ საკითხის აქტიურობას, პირველ რიგში, ოპტიმალური პროპორციის ძიება განაპირობებს; ამასთან ერთად, არა მხოლოდ მრწამსის პიროვნების თეორიული ანალიზი, არამედ საზოგადოების სულიერი პროცესების მეცნიერული მართვის პრაქტიკული გარდაუვალობა.

ზემოთ ხსენებული თავისუფლება გულისხმობს პასუხისმგებლობასა და ვალდებულებას, უპირველესად, ადამიანთა სისტემური ერთობის — საზოგადოების მიმართ.

მრწამსი ყალიბდება და აიგება რწმენის, აზროვნების, ზნეობის, შემოქმედების დეონტოლოგიურ საფუძველზე. აქვე დავახუსტებ, რომ მრწამსი აბალანსებს იდეალის ნორმატიულ და მიზნობრივ მხარეებს. პირველი, ნორმატიული — ის მხარეა და ის ჭეშმარიტი ღირებულებები, რაზეც კაცობრიობა, კარგახანია შეთანხმდა; ხოლო მეორე, მიზნობრივი — მრწამსის მოძრაობის,



განვითარების, ტრანსფორმაციის ვექტორისა და საფუძვლის განმსაზღვრელია.

მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ მრწამსი — პიროვნების რწმენა და საკუთარ ინტელექტუალურ თუ შემოქმედებით ძალებში თვითდაჯერებულობა და პასუხისმგებლობა (ამდენად — სუბიექტური ხასიათის!), მაგრამ მრწამსის სოციალური განპირობებულობა მას ობიექტურ ხასიათს სძენს.

მაშინ, როდესაც იდეა უკავშირდება არსებულ მყარ შემეცნებით-შემფასებლურ კრიტერიუმებსა და როგორც პიროვნული, ასევე სოციალური ჯგუფის ფსიქიკის ეტალონებს, — ის გარდაიქმნება შემეცნებითი და პრაქტიკული აქტივობის აღმძვრელად და მხოლოდ მაშინ ტრანსფორმირდება მრწამსად.

ადამიანი კულტურის შემოქმედი. რამდენადაც კულტურა მზამზარეული სახით მოცემული, თავისთავადი რეალობა არ არის (ასეთი, ობიექტურად არსებული რეალობა — ბუნება!), ადამიანი თავისი შემოქმედებით „მეორე ბუნებას“ ქმნის, — სუბიექტურს, ადამიანურს, რასაც კულტურა ქვია. ბუნების გარდაქმნის სურვილი და პოტენციური უნარიც ადამიანის გენეტიკური კუთვნილებაა. მაგრამ მრავალი ათასწლეული დასჭირდა იმას, რომ ადამიანს თავისი შემეცნებითი და შემოქმედებითი ძალების მეშვეობით ბუნების საგნები და მოვლენები „მოეთვინიერებინა“, ანუ საკუთარი თავისათვის მოერგო, უფრო ზუსტად თუ ვიტყვით — მოესადაგებინა. ეს უწყვეტი პროცესი პერმანენტულად გაგრძელდება მანამ, სანამ მაძიებელი და შემოქმედი არსება — ადამიანი ივლის დედამიწაზე. უძველეს დროში კი, ემპელოკლეს თქმისა არ იყოს, მსგავსი მსგავსს ეძებდა, პოულობდა და ხდებოდა ადამიანთა გაერთიანება, დაჯგუფება თემებად, ტომებად, რასებად, ერებად, საზოგადოებრივ ერთობებად, სახელმწიფოებად.

სახელმწიფოებმა იდეალები უნდა განახორციელონ. იდეალი — ეს მომავლის აზრობრივი წარმართვაა, რის შესაბამისა-

დაც ადამიანი გვემავს და ორგანიზებას უკეთებს თავის მოქმედებას. მრწამსი შეიძლება შეიცავდეს იდეალს, მაგრამ ამავე დროს, არ უთანაბრდებოდეს მას. მრწამსი, როგორც რწმენის სიმბოლო, იდეალის განხორციელებაში განსაზღვრული დარწმუნებულობა, დაჯერებულობაა. იდეალი — ეს მტკიცებულების თეზისია, მრწამსი კი — თეზისი და არგუმენტი.

ულავოა, რომ მრწამსი არის მოტივი და სუბიექტის მომავალი, რეალიზებული სოციალური მოქმედების საფუძველი; ამასთანავე, — განპირობებული იდეალის მიღწევის ობიექტური მოთხოვნილებებით. როდესაც ლაპარაკია მრწამსზე, უმნიშვნელოვანესი, ჩემის აზრით, მაინც მრწამსის სოციალურ-ფსიქოლოგიური არსია, მისი ემოციური, ნებისყოფითი დამოკიდებულება რეალობის სხვადასხვა მხარეებთან. ანუ, მრწამსი არის იდეების, გრძნობებისა და ნებისყოფის (რასაც პიროვნების სულიერი სამყარო ემორჩილება) მონოლითური ერთიანობა. მრწამსი წარმოადგენს სოციალური ქცევის ფორმის სუბიექტურ საფუძველს.

ადამიანის კუთვნილება სულიერებაა, რაც მას უნიკალურ, განუმეორებელ სულიერ ღირებულებებს აქმნევინებს. კიდევ ერთხელ მოგვიწევს კულტურის ფილოსოფიაში არსებული, ურთიერთშეცვედი ორი ფრაზის გამეორება: „ადამიანი ქმნის კულტურას, კულტურა ქმნის ადამიანს“. ეს იმისათვის დამჭირდა, რომ დამეზუსტებინა ამ ფრაზების ჩემეული გაგება. მოაზროვნე, თავისუფალი, მაძიებელი, შემოქმედი ადამიანი ქმნის სულიერ ღირებულებას — ერთადერთს, ორიგინალურს, განუმეორებელს და ამგვარი ღირებულებებით გამდიდრებულ მეორე ადამიანს, მესამეს, მეასეს, მეათასეს, მემილიონეს, ვინც ადრესატები, ანუ კულტურის თანაზიარები არიან. მათთან კულტურის შემოქმედი კულტურის ენით, ანუ სიმბოლოებით საუბრობს და სულიერი

საკვებით დააპურებს, ასაზრდოვებს, დაარწყულებს, სულს უწყვს-რიგებს, აღაფრთოვანებს, გააოგნებს და დაასმევენებს კითხვას, —

*„მზერაში უცხო სიბრძნის სხივია,  
მოკვდავი ვერც კი ახსნის უბრალოდ —  
მოსე თუ ასე ღვთაებრივია,  
შენ რაღა უნდა იყო, უფალო?“*

(კითხვის დამსმელი ქართველი პოეტია — შოთა ნიშნიანიძე, კითხვის ადრესატი კი — მარმარილოდან მოსეს გამომკრისტალებელი, ღვთის ხელდასხმული მიქელანჯელო ბუნაროტი!). ასე ქმნის კულტურის შემოქმედი ადამიანი — სხვა ადამიანებს, ეს უკანასკნელნი — კიდევ სხვებს და ეს პროცესი მარადიულად გაგრძელდება. მაგრამ ვიდრე ჩვენი ინტერესის ობიექტს — მრწამსს მივუბრუნდებით, კულტურის, ანუ ანთროპოცენტრული სამყაროს აუცილებელი კომპონენტები თანმიმდევრულად გავიხსენოთ.

ამ სამყაროს სულის ჩამდგმელი რომ **“anthropos”**-ია, ანუ ადამიანი, ამაზე არავინ კამათობს, მაგრამ კითხვების მთელ რიგს თუ დამაჯერებელი პასუხები ვერ გავეცით, მაშინ კულტურის შექმნის სტიმულატორსა და საფუძველს — მრწამსის ფენომენსაც ვერ მოვუძებნით თავის ადგილს. აი, ეს კითხვები:

როგორი ადამიანი ქმნის კულტურას?

რით იქმნება კულტურა?

რა არის კულტურა?

სად არსებობს კულტურა?

რა წარმოადგენს კულტურის ენას?

კულტურის შემოქმედი ვისთან და რასთან მართავს დიალოგს კულტურის მეშვეობით?

ჩვენ, კულტუროლოგიის სახელმძღვანელოს ავტორები: ბატონი ავთანდილ ძამაშვილი, მე — ლალი გვასალია და ბატონი ვანო ჭიაურელი ხსენებულ კითხვებზე ასეთი პასუხის გაცე-

მაზე შევთანხმდით, — კულტურა არის ადამიანის თავისუფალი, მიზანდასახული, შემოქმედებითი შრომის შედეგად, პიროვნული, ეროვნული, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა ნორმებით, მის სულში და მის გარეთ დამყარებული წესრიგი, გაფორმებული სიმბოლოთა სისტემაში, რომლითაც იგი ახორციელებს დიალოგს ღმერთთან, ბუნებასთან, სხვა ადამიანებთან, საკუთარ თავთან; წარსულთან, აწმყოსთან და მომავალთან, ანუ მთელ სამყაროსთან.

ამგვარად, მივიღეთ კულტურის სისტემურ-უნივერსალური განსაზღვრება, რომლის ნაკლად შესაძლებელია ის ჩათვალოს, რომ იგი ლაკონური არ არის, უფრო სწორად, ვერ იქნებოდა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ შემოქმედი ადამიანის ქმნილების (კულტურის საგანი და მოვლენა) განსაზღვრება არ შეიძლებოდა ერთ მარტივ წინადადებაში მოთავსებადი ყოფილიყო, არამედ ეს იმდენად მრავალფეროვანი და ამოუწურავია, როგორც ადამიანი — მისი შემოქმედი. სამაგიეროდ, ეს ვრცელი განსაზღვრება კულტურის ფილოსოფიაში წვდომის მოსურნე სტუდენტებს კულტურის ფენომენის ზედმიწევნით და უკეთ გაგებაში დაეხმარება.

კულტურის განმაპირობებელი ძალა ღირებულებაა. ადამიანს მრწამსი აქმნევინებს ღირებულებებს. ღირებულების არსი ადამიანის შემეცნებითი და შეფასებითი მოღვაწეობის ზღვარზე დგინდება. ღირებულებებს თავისუფლად მოაზროვნე ადამიანები ქმნიან. დასაწყისში აღვნიშნეთ, რომ თავისუფლების ფენომენი, რომელიც კულტურის საფუძველსა და კრიტიერიუმს წარმოადგენს, პასუხისმგებლობითაა გამყარებული. უზენაესი პასუხისმგებლობა ადამიანს საკუთარი თავის წინაშე უნდა გააჩნდეს. თავის მიერ ჩადენილ საქციელზე თვითონ ადამიანია პასუხისმგებელი. პასუხისმგებლობა ქაოსს და უწესრიგობას გამოირიცხავს.

ჯერ კიდევ ტაციტუსი, რომელსაც ტერმინი „კულტურაც“ კი არ უხსენებია, კულტურის ანტიპოდს — ბარბასობას რომ გა-

ნიხილავს, ამ მოვლენის გააზრებით კულტურაზე მიგვანიშნებს და კულტურას უწევს სამსახურს.

ანტიკურ ეპოქაში კულტურის ბარბაროსობასთან დაპირისპირებას აქვს ადგილი. კულტურა ადამიანურობაა, ბარბაროსობა — ველურობა, კულტურა თავისუფლებაა, ბარბაროსობა — ნგრევა, ქაოსი; კულტურა აერთიანებს ადამიანებს, ხალხებს, ბარბაროსობა კი თიშავს მათ.

კულტურის ქმნალობა, ანუ წესრიგის დამყარებით მიღწეული ჰარმონია ადამიანის საკეთებელია. ადამიანმა, ვიდრე ბუნებისგან „მეორე ბუნება შეუქმნია“, ჯერ საკუთარი სული უნდა მოაწესრიგოს. ურწმუნო ადამიანი ღვთაებრივ შემოქმედებას ვერ განახორციელებს, საკუთარ სულიერებაში გაურკვეველი ადამიანი თავის გარეთ, ანუ ტრანსცენდენტურ წესრიგს ვერ დამყარებს. უნდა სჯეროდეს ჯერ საკუთარი ინტელექტუალური, შემოქმედებითი უნარებისა, უნდა გააჩნდეს მყარი სუბიექტური მრწამსი, რომელიც ობიექტური სოციალური ფსიქიკის ფენომენად ტრანსფორმირდება.

თანამედროვე პიროვნების ხარისხობრივი კრიტერიუმი ცხოვრებისეული პოზიციანაა, სადაც სინთეზირებულია ფსიქოლოგიური და მოტივირებული ქცევის მიმართულება, რასაც ის გამოხატავს თავისი შემოქმედების ნაირგვარ ფორმულიერებაში. ამ ინტელექტუალური დახასიათების მნიშვნელოვანი მხარე — პიროვნების სოციალურ-ფსიქოლოგიური სტატუსია, რომელიც ხორციელდება გრძნობის, განწყობის, რწმენის რთულ სისტემაში, სადაც მოცემულია როლების განსაზღვრული იერარქია.

მრწამსი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს პოზიციის ღირებულებით შინაარსს. მრწამსი ცხოვრებისეული პოზიციის შინაგანად მახასიათებელ ელემენტთა იმანენტური კომპონენტია.

ნათქვამიდან გამომდინარე, თუ შევეცდებით მრწამსის სისტემურ განსაზღვრებას, ეს ალბათ შემდეგნაირად უნდა ჩამოვაყალიბოთ.

მრწამსი არის ინდივიდუალური და სულიერი ფსიქიკის ელემენტი, — ცოდნის, შეფასების, გრძნობების, მიზნებისა და ნებისყოფის მზადყოფნის ორგანული ერთიანობა, რომლის მახასიათებელიც სოციალური და ბუნებრივი სინამდვილის განსაზღვრულ მხარეთა ობიექტური ასახვაა, რომელიც სოციალური სუბიექტის გონივრული მოთხოვნების პრიზმაშია გადამტყდარი, რამდენადაც მრწამსის ვექტორი, როგორც ამ სუბიექტის ქცევის მოტივი და აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის საფუძველი, — მიმართულია შიგნითკენ, ანუ საკუთარი სულისკენ. მრწამსი ძალაა!

ამ ძალას მართლაც სასწაულების მოხდენა შეუძლია, რაც მოახდინა კიდეც კაცობრიობის გენიალურმა ნაწილმა. მოახდინა ჩვენთან, თვისტომებთან, თანამედროვეებთან, მომავალ თაობებთან კომუნიკაციების დაუოკებელი სურვილით. რაც ღვთისნიერ სულში ჩნდება, მწიფდება, იზრდება, ყველაფერს მოიცავს, — შემოსაზღვრულობაში თავსებადობას ვერ დაექვემდებარება, უნდა გადმოიფრქვეს, მირონი გვცხოს, განგვწმინდოს და „შეცნობის სიხარულს“ გვაზიაროს.

ყველაფრის თავი და თავი მაინც ადამიანური მრწამსია.

2009 წ.

## «ადამიანი — კულტურის სუბიექტი და ანთროპოლოგიური კვლევის ობიექტი»

ყოველწლიურ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე „ხელისუფლება და საზოგადოება — 2010“ პროფესორ ლალი გვა-სალიას მიერ წარმოდგენილი მოხსენება

ამთავითვე მინდა განვაცხადო, რომ კულტურის სუბიექტი ადამიანია. სწორედ ადამიანმა, თავისი მიზანმიმართული, თავისუფალი, შემოქმედებითი გარჯითა და შრომით შექმნა ის ტელეოლოგიური სინამდვილე, რასაც მიზნობრივი ფენომენი, ანუ კულტურა, ანუ ანთროპოცენტრული სამყარო ეწოდება.

პრობლემური ეს კი არ არის, არამედ ის, თუ რა სახითაა ადამიანი წარმოდგენილი კულტურის სუბიექტად, — ცალკე ინდივიდის, ერის, თუ კაცობრიობის სახით, აწმყოში მცხოვრებად, წარსულში თუ მომავალში.

კულტურის შემოქმედნი მხოლოდდამხოლოდ ცალკეული პიროვნებებია. მათი ფიქრებით, ოცნებებით, იდეალებით, ღირებულებებითაა კონსტრუირებული კულტურის სამყარო, რომელსაც ტყუილად არ ქვია ანთროპოცენტრული სამყარო. ამ სამყაროს ცენტრში არა მხოლოდ კულტურის შემოქმედი ადამიანის ადგილია, არამედ მისი ადრესატებისაც, — ვისთვისაც იქმნება კულტურის საგნები და მოვლენები.

დასკვნა ერთადერთია, — კულტურა არ არსებობს ადამიანის გარეშე, ადამიანის არსებობაც წარმოუდგენელია კულტურის გარეშე.

უნდა დავეთანხმეთ გერმანელ განმანათლებელ ფილოსოფოსს — იოჰან გოტფრიდ ჰერდერს, რომელმაც ბრძანა, რომ ადამიანი პირველად ბიოლოგიურად იბადება, მეორედ — კულტუროლოგიურად. ბიოლოგიური დაბადება თუ ერთ კონკრეტულ

თარიღთანაა დაკავშირებული, კულტოროლოგიური დაბადება გრძელდება ადამიანის მთელი ცხოვრების მანძილზე.

კულტუროლოგიურად დაბადება აღზრდას ნიშნავს. ადამიანის მთავარი აღმზრდელი და მისი სულის გამომრანდავი სწორედ კულტურაა.

როგორც ადამიანის, ასევე კულტურის დონეც თავისუფლების ხარისხითაა განსაზღვრული. კულტურა თავისუფლად მოაზროვნე ადამიანის საკეთებელია. მონური სული ვერ შექმნის ანთროპოცენტრულ სამყაროს. კულტურა განხორციელებულ ღირებულებათა სისტემაა. ამ ღირებულებებს ქმნის კონკრეტულ-ისტორიული ადამიანი, რომელიც ვერ იმოქმედებს მხოლოდ საკუთარი სახელით, რადგან მან სულიერი საზრდო უნდა მიაწოდოს თვისტომთ.

კულტურა უპირველესად, ინდივიდის კულტურაა, რომელშიც იგულისხმება ღირებულებათა ის სისტემა, რომლის ნორმებითაც რეალურად ცხოვრობს პიროვნება.

კულტურაში ორი წყების ღირებულებებია: ერთი, რაც მემკვიდრეობით აქვს მიღებული ინდივიდს წინა თაობებისგან და მეორე, ის ღირებულებები, რომელთა შექმნაში, ასე თუ ისე, თვითონაც მიუძღვის წილი. ამიტომ პიროვნება კულტურის შემოქმედიცაა და მისი მემკვიდრე-შემნახველიც, რაც ადამიანს აკისრებს პასუხისმგებლობას კულტურის წინაშე.

ეს ყველაფერი ჩვენი მსჯელობიდან ორგანულად გამომდინარე იმ ერთადერთ დასკვნას გვაკეთებინებს, რომ კულტურის სუბიექტი არ შეიძლება იყოს ერთი, ცალკე აღებული გრძნობად-კონკრეტული ინდივიდი, არამედ კულტურის სუბიექტი — ეს არის ერის, კაცობრიობის გარდასული, დღევანდელი და მომავალი თაობების სახელით წარმოდგარი კონკრეტულ-ისტორიული ადამიანი.



ახლა კი ნახევრად სერიოზულად და ნახევრად ხუმრობით მინდა გითხრათ, რომ ბედნიერია ადამიანი, რომელიც კულტურის შექმნელ სუბიექტად, და ამდენად პიროვნებად მოიაზრება, მაგრამ, ალბათ დამეთანხმებით, — ადამიანისთვის ობიექტად მისი მოაზრება ნამდვილად ვერ არის სასიამოვნო, — ეს სამედიცინო გამოკვლევებისას ცდისპირა კურდღლად ყოფნის შეგრძნება იქნება თუ ამაზე ზეაღმატებული, თუნდაც ფილოსოფიურ-ანთროპოლოგიური კვლევის ობიექტად ყოფნა. ხუმრობა იქით იყოს, დრო დადგა, სერიოზულად შევუდგეთ ჩვენი დღევანდელი სათქმელის მეორე ნაწილს, ანუ მსჯელობას ადამიანზე, როგორც ანთროპოლოგიური კვლევის ობიექტზე. ეს ადამიანის შემეცნებით უნდა დავიწყოთ!

ადამიანის მეცნიერული შემეცნება ადამიანის ფენომენიდან ამოდის. მაგრამ პრობლემა სწორედ ისაა, თუ როგორ უნდა იქნეს გაგებელი ეს ფენომენი. შემეცნებას აინტერესებს არა ფენომენთა სიმრავლე, არამედ ამ სიმრავლეში მოქმედი ზოგადი კანონზომიერებანი და არსი. შემეცნება მოწოდებულია ადამიანის არსებობის, სივრცესა და დროში ადამიანის კონკრეტული მოცემულობის იქით, და შეიძლება მისივე საშუალებით, დაინახოს, თუ რას წარმოადგენს ადამიანი, როგორც გარკვეულობა, ნიშნები, რომელიც ახასიათებს არა მხოლოდ ცალკეულ ადამიანს მისი კონკრეტული არსებობისას, არამედ საერთოდ ადამიანს, ადამიანთა გვარს.

ამ საკითხებს უკავშირდება ადამიანის იდეალის პრობლემა. ადამიანებს მულამ აინტერესებდათ საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს უნიკალური, ნამდვილი ადამიანი.

საქმე ის გახლავთ, რომ ადამიანის არსებობაში შეუძლებელი ჩანს იდეალური სახის მიკვლევა. მართალია, ერთნი მეტად უახლოვდებიან ამ იდეალს, ვიდრე მეორენი, მაგრამ თვითონ იმის განსასაზღვრად, თუ რომელი ადამიანია უფრო იდეალური,

ან იდეალურობასთან ახლოს მდგომი, — აუცილებელია ამ იდეალის ცნების ფლობა. ეს კი მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, თუ იდეალის პრობლემას სპეციალურად მეცნიერული შემეცნების საგნად ვაქცევდით. აქ მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს მეცნიერებასა და ფილოსოფიაში გამოთქმული მოსაზრებები, რომლებიც საერთოდ, საეჭვოდ მიიჩნევენ იმას, რომ ადამიანის განვითარება ოდესმე დასრულდება. ადამიანი გაგებულია, როგორც მარადიულ ქმნადობაში მყოფი არსება, ან ისეთი არსება, რომელსაც საერთოდ არცა აქვს არსი.

მთელ ფილოსოფიურ რეფლექსიას მიმართულებას აძლევს ის, თუ როგორაა დასმული და გადაჭრილი ადამიანის არსის პრობლემა, ადამიანის არსი გულისხმობს გარკვეულ კანონს, წესრიგს, თუ სტრუქტურას.

კონცეფციებიდან, რომლებიც ცდილობენ ადამიანი მასზე მაღლა მდგომი ინსტანციებიდან გაიგონ, ცალკე გამოიყოფა რელიგიური და თეოლოგიური ინტერპრეტაციები. მეორე ჯგუფს შეადგენენ რაციონალისტური თეორიები. მათ შორის განსხვავება ისაა, რომ, თუ რაციონალიზმისთვის შემეცნების ისტორიაშიც და ონტოლოგიაშიც ამოსავალია გონება და გონებისეული, — ანთროპოლოგები რწმენას იღებენ ამოსავლად, ღმერთიდან ცდილობენ გაიგონ ადამიანი. ღმერთი თავისი დანიშნულებით უპირისპირდება გონებას.

გარკვეული თეორიები ცდილობენ შეარიგონ რელიგია და მეცნიერება, ღმერთი და გონება და ამ დროს სიტყვას — „ღმერთი“ რაღაც სხვა, შუამდებარე მნიშვნელობით იყენებენ.

რელიგიურ ანთროპოლოგიაში განვითარდა ადამიანისა და ღმერთის კავშირის საკითხის ორგვარი გადაჭრა. ერთი გამოიხატებოდა ადამიანის დეიფიკაციის, ანუ ღმერთად გახდომის იდეაში, მეორე — ღმერთის გაადამიანების იდეაში. ორივეგან

იგრძნობა, რომ ადამიანს მაინც აქვს საკუთარი არსი და ღმერთი ადამიანის გასაგებად არ არის საკმარისი.

თანამედროვე ფილოსოფიურ ანთროპოლოგიაში დამკვიდრდა ადამიანის არსის პრობლემის განხილვა ადამიანისა და ცხოველის შედარების მაგალითზე. ადამიანი, ცხოველისგან განსხვავებით, მზად არ არის ბიოლოგიური არსებობისათვის, მაგრამ მისი ეს ნაკლი, მისსავე ღირებულებად იქცევა. სიცოცხლის შენარჩუნებისათვის ის იძულებულია მიმართოს თავისებურ მოქმედებას — ქცევას. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანი თავისი აქტივობით შეცვლის გარემოს და მოირგებს მას.

ადამიანის მიერ თავისი საჭიროების მიხედვით გარდაქმნილ ჰუმანიზებულ სამყაროს — კულტურის სამყარო ეწოდება, სადაც ის ცხოვრობს და ურომლისოდაც მას არსებობა არ შეუძლია. ადამიანი არის კულტურის ცენტრი და სუბსტანცია. ყველა გზა ადამიანისკენ მიდის.

ადამიანმა თავისი შემოქმედებითი უნარი თავის სამყაროში გაშალა და ადამიანური ღირებულებები დაამკვიდრა.

ნება მომეცით, დასკვნის სახით, რამდენიმე ფრაზა შემოგთავაზოთ:

1. ღირებულებათა შემქმნელი და დამამკვიდრებელი **ადამიანი — თვითონაა უმაღლესი ღირებულება.**

2. **ადამიანის არსი — მის თავისუფლებას უკავშირდება** და ამიტომაცაა, რომ ადამიანის თავისუფლების საკითხი ცენტრალურ ადგილს იჭერს ფილოსოფიაში, ანთროპოლოგიაში, სოციოლოგიაში, და რაც მთავარია, კულტუროლოგიაში.

3. **ადამიანის თავისუფლება მის საზოგადოებრივ ცხოვრებას უკავშირდება.** საზოგადოების ძირეული გარდაქმნის ამოცანაც — ადამიანის გათავისუფლებაა.

**დაბოლოს,** ის მინდა გითხრათ, რომ **რამდენადაც ადამიანი საზოგადოებრივი არსებაა, საზოგადოებამ პატივი უნდა სცეს**

**ადამიანთა თავისუფალ, კეთილ ნებას.** ის, რაც ზღუდავს ადამიანთა კეთილ ნებას, თავისუფლებასა და მათ ადამიანურ ღირებულებებს, — ადამიანური ბუნების საწინააღმდეგოა და ამიტომ საზოგადოება ისე უნდა მოეწყოს, რომ გასაგავლს არ უტოვებდეს ანტიჰუმანურ ტენდენციებს. ადამიანს ისეთი საზოგადოება ესაჭიროება, რომელიც მის ადამიანურ ბუნებას მისცემდა თავისუფალ სარბიელს.

2010 წ.

## როგორ ძმის ლევ ტოლსტოი მკითხველს, ანუ, რას ნიშნავს „ადამიანი – კულტურის ძმნილება“

ამასწინათ, საქართველოს ტელევიზიის ერთ-ერთ არხზე, ჩემი ყურადღება მიიპყრო დაახლოებით 28-30 წლის ახალგაზრდა კაცის საუბარმა. ვერ გეტყვით, რა პრობლემებს ეძღვნებოდა გადაცემა, რომელიც ტელევიზორის ჩართვისას უკვე დაწყებული იყო, მაგრამ ახალგაზრდის წრფელი საუბარი ნამდვილად იპყრობდა მსმენელის ყურადღებას. ლაპარაკობდა 90-იან წლებზე საქართველოში, ანუ იმ გაუსაძლის გასაჭირზე, რაც ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავდა იმხანად: სიღუბნეობა, უგაზობა, უდენობა და ყველაფერი, რაც ადამიანებს მატერიალურ და სულიერ დისკომფორტს უქმნიდა.

სწორედ იმ დროს, ტელევიზიით მოსაუბრე ახალგაზრდას თაროდან ის წიგნი ჩამოუღია, რაც შემთხვევით მოხვედრია ხელში და ლამფის, თუ სანთლის შუქზე, 10 წლის ბიჭუნას „ანა კარენინას“ კითხვა დაუწყია.

ძალიან გამიჭირდება ამ ახალგაზრდის სახეზე გამოხატული აღფრთოვანებისა და ანთებული თვალების აღწერა, რაც ლევ ტოლსტოის ამ რომანზე საუბარმა გამოიწვია და იმ წრფელმა სულმა, რომლითაც იგი პატივს კი არა, თაყვანს სცემდა მის მიერ წაკითხული პირველი ნაწარმოების გენიალურ ავტორს. ემოციებით გაჟღერებული სიტყვებით სულმოუთქმელად ლაპარაკობდა იმის შესახებ, რომ მისთვის ამ ნაწარმოებში ყველაზე საყვარელი გმირია კიტი შჩერბაცკაია, რომ დღემდე, ანუ მას შემდეგ, რაც უამრავი რამ წაუკითხავს, მის სამაგიდო წიგნად ისევ „ანა კარენინა“ რჩება და უსაყვარლეს ავტორად – გენიალური ლევ ტოლსტოი.

ყველას კარგად მოგვეხსენება, რომ კულტურას ადამიანი ქმნის. მან კულტურა პირველად მაშინ შექმნა, როცა თავისი

ცხოველური სიცოცხლე ადამიანურ ცხოვრებად გარდაქმნა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ცხოვრება — სიცოცხლის კულტურული ფორმაა. ადამიანის მიერ კულტურის შექმნის პროცესი საკუთარი თავის შექმნის პროცესია. მაგრამ ზემოხსენებულმა გადაცემამ იმის სურვილი გამიჩინა, რომ კიდევ ერთხელ, თქვენთან (მკითხველებთან, თუ ჩემს მსმენელ სტუდენტებთან) ერთად, ხმა-მაღლა მეფიქრა იმაზე, თუ როგორ ქმნის კულტურა ადამიანს, როგორ შექმნა ტოლსტოიმ მკითხველი, ბეთჰოვენმა — მსმენელი, მიქელანჯელომ — მხილველი...

ოღონდ წინასწარ უნდა შევთანხმდეთ იმაზე, რომ კულტურის სამყაროს „ანთროპოცენტრული“ მხოლოდ იმიტომ კი არ ეწოდება, რომ მის ცენტრში დგას კულტურის **შემოქმედი ადამიანი**, არამედ იმიტომაც, რომ მასთან ერთად კულტურის ცენტრში — **შემოქმედის ადრესატი „ანთროპოსებიც“** დგანან აურაცხელი რაოდენობით. სწორედ ისინი არიან სულიერ ღირებულებათა მსაჭიროებელნი და თანაზიარნი. ეს ის ხალხია, ვისთანაც კულტურის შემოქმედნი მართავენ დიალოგს თავ-თავიანთ ენაზე, ანუ სიმბოლოებით (სიტყვებით, ფერებით, ბგერებით, ფორმებით, შტრიხებით, პლასტიკით), რაც ესოდენ გასაგები, ხელმისაწვდომი და სასურველი ხდება სულიერებაში დასადგურების მოსურნე ადამიანთათვის, ანუ დიალოგის მეორე მხარისათვის. შედგა დიალოგი? — შედგება ტანდემიც კულტურის შემოქმედსა და იმ ნებისმიერ (როგორც თანამედროვე, ისე მომავალ) ადამიანს შორის, ვისთვისაც იქმნება კულტურა, რომელიც აყალიბებს მას ადამიანად. თუ დავაზუსტებთ, მივიღებთ, რომ ცხოვრებას, ანუ სიცოცხლის კულტურულ ფორმას, ადამიანი თვითონ უქმნის საკუთარ თავს, განსხვავებით დედამიწაზე არსებულ სხვა დანარჩენ არსებათაგან, რომლებიც ინსტინქტებს ეყრდნობიან. კულტურა კი მოაზროვნე არსებას ემოციებითაც ტვირთავს და განმცდელ, შემფასებელ არსებადაც აყალიბებს.

„მეორე ბუნების“ ანუ კულტურის შექმნა ხანგრძლივი პროცესი იყო, მაგრამ აუცილებლად უნდა შექმნილიყო ანთროპოცენტრული სამყარო, რომლის შემოქმედიც და მსაჭიროებელიც ადამიანია. ეს უკანასკნელი — პირველის (კულტურის შემოქმედის) ადრესატია. ადრესატი დიალოგების მოლოდინშია. მას უკულტუროდ არსებობა არ შეუძლია, რადგან სულიერი საზრდო სჭირდება.

ეს საზრდო ადამიანის მიერ მოაზრებული და შექმნილი სამყაროა; მის მიერ გამოგონილი „სიმართლეა“, რასაც რეალური კი არა, — „მხატვრული სიმართლე“ ქვია; ანუ შემოქმედის წარმოსახვის უნარის შედეგია (ყველაზე ფანტასტიკურსაც კი ნამდვილნიარობის უტყუარი ელფერით რომ შემოგვთავაზებს), რაც ჩემთვის, — ადამიანისათვის გაცილებით უფრო სარწმუნო და დამაჯერებელია, ვიდრე რეალურად არსებული რომელიმე ისტორიული ფაქტი იმიტომ, რომ გენიალური შემოქმედის მიერ შექმნილი ღირებულება მთლიანად და სავესებით იმორჩილებს ჩემს ემოციურ სამყაროს, ისეთ გრძნობებს აღმიძრავს, ურომლებოდაც გამიჭირდებოდა ადამიანად არსებობა.

ყოველი გენიალური ხელოვანი მხოლოდ მისთვის მახასიათებელი სიმბოლოებით მართავს ჩემთან დიალოგს, რაც მარტო მის თანამედროვე ადრესატს კი არა, მეც შესანიშნავად მესმის მრავალი საუკუნის შემდეგ... და იცით, რატომ? იმიტომ, რომ ეს ჩემი ბგერებია, ჩემი ფერებია, ჩემი სიტყვებია — კრიალოსანივით რომ ამიწყო პოეტმა და ამოდმჯღერ ჰარმონიად გამირითმა, ეს ჩემი სულია, — ჩემმა რუსთაველმა თექვსმეტმარცვლოვანი შაირით რომ გამოძირანდა და ზნეობა რომ მასწავლა; ენის „მუსიკობის“ ნიბლს შემაჩვია და გემოვნება დამიხვეწა; სიმახინჯისა და ბოროტების სრულქმნილი ჩვენებით, სიკეთისა და მშვენიერებისაკენ დაუოკებელი სწრაფვის სურვილით გამანებივრა და თავი ადამიანად მაგრძნობინა.

აი, ამ ყველაფრის შემდეგ შეიძლება დამერქვას მე „აღამიანი – კულტურის ქმნილება!“

გვიანი რენესანსის იტალიელ გენიოსს — მიქელანჯელო ბუნაროტის არ შეიძლებოდა მოსე წინასწარმეტყველი სცნობოდა (ბიბლიური მითოლოგიით, ებრაული მოდემის წინამძღოლი, რომელიც სინას მთაზე ღმერთმა სჯულის კიდობნის ღირსი გახადა თავისი „10 მცნებით“), მაგრამ სწორედ მიქელანჯელომ შთაბერა სული და კაცობრიობას კიდევ ერთი სასწაული — მოსეს ქანდაკება აჩუქა.

ამ ქანდაკებამ შეაქმნევინა გამორჩეულ ქართველ პოეტს, შოთა ნიშნიანიძეს ლექსი — „მიქელანჯელოს „მოსე“, რომელიც მართლაც ახალი სასწაულია. თვითონ განსაჯეთ იმ ორიოდ სტროფით, რომელთა ციტირებითაც თქვენც მინდა გაგახსენოთ ეს სასწაული:

*„ეს რა ძალაა, ან რა სულია,  
სათნოების თუ რისხვის მფრქვეველი?  
ერთ არსებაში მოქცეულია  
ჯოჯონეთი და სასუფეველი“...*

კიდევ, —

*„შეგეკითხები გაუბეღადად  
და ნუ დამძრახავ მოკვდავს, გამჩენო,  
რა იქნებოდა მოსე ნეტავი,  
რომ არ შეექმნა მიქელანჯელოს“...*

და კიდევ —

*„...მოსე თუ ასე ღვთაებრივია,  
შენ რაღა უნდა იყო, უფალო?!“*

„პერედვიჟნიკების“ ერთ-ერთმა მნიშვნელოვანმა წარმომადგენელმა, ფერმწერმა ილია რეპინმა „ვიანე მრისხანეს“ სახით, შვილის მკვლელი ღესპოტი მამის გასაოცარი ფსიქოლოგიური პორტრეტი შექმნა. შეშლილ მამას და გულქვა მონარქს, საკუთარი



ხელით განგმირული ვაჟიშვილის სისხლიანი სხეული ხელზე უსვენია. თავის მიერ ჩადენილი ამაზრზენი დანაშაულის გაცნობიერების შემდეგ, თვალები ღამის ბუდეებიდან გადმოსცვენია; ტრაგიკული სცენა, რასაც უკიდურესად ამძაფრებს დიდოსტატი მხატვრის მიერ შერჩეული და მისივე ყალბით უზადოდ შესრულებული მეწამული ფონი (ამ ფერის აზრობრივი დატვირთვა ხომ სწორედ უკიდურესი ვნებათა ღელვისა და ტრაგიზმის გამოხატულებაა), — სულით ხორცამდე შეძრავს ნებისმიერ მნახველს, რადგან ეს არის მხატვრის ხორცშესხმული პროტესტი ყოველი არაადამიანური, ანტი-ჰუმანური, მოძალადე ქმედების წინააღმდეგ...

ანთებული სულის ქურაში გამოტანჯულმა სიდიადემ და გენიალობამ შეაქმნევინა უკვე მთლად დაფრუებულ ლუდვიგ ვან ბეთჰოვენს თავისი ფილოსოფიური მუსიკალური თხზულებები: რამდენიმე სიმებიანი კვარტეტი, ბოლო საფორტეპიანო სონატები (მათ შორის — 32-ე), მე-9 სიმფონია, „სადღესასწაულო მესა“ და სხვა. მას სხვაგვარად არ შეეძლო, რადგან ამ ენაზე უნდა აემეტყველებინა თავისი **მშფოთვარე სული, რომელიც აუცილებლად დაადგებოდა ჩვენკენ მომავალ გზას.**

მოგვაგნო ამ ამაღლებულმა ბგერებმა და გამოაღვიძა ჩვენი სულის რომელიღაც კუნჭულში მიძინებული გრძნობები, გამოგვაფხიზლა და „წაგვეკა“... და მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო, — შედგა გენიოსის დიალოგი მილიარდობით ადამიანთან... უამრავ მათგანს, — ეიფორიაგავლილს, სურვილი გაუჩინა უკვე აზროვნება მიემართა ბეთჰოვენის არაამქვეყნიურად ზეადმატებული გენიალობის ასახსნელად და გასაანალიზებლად. თუმცა ამ სამყაროშიც არსებობს ისეთი ღვთისხელდასხმული ფენომენი, რისი ახსნა და ამოხსნაც ადამიანის შესაძლებლობათა მიღმაა.

ამას „საოცრება“ ქვია, რაც კულტურის შემოქმედ გენიოსებს გააჩნიათ და რის წყალობითაც მათ მიერ შექმნილი კულტურა გექმნის ჩვენ ადამიანებად.

კვლავ მსურს მიუბრუნდე ლევ ტოლსტოის, — მისი შემოქმედებითი ცხოვრების ერთი ფაქტი გაგახსენოთ!

როცა ტოლსტოიმ დაასრულა თავისი რომანის — „აღდგომის“ წერა, უცებ მოსვენება დაკარგა, რადგან პირველი ვარიანტის მიხედვით, კატუშა მასლოვას (ამ რომანის მთავარ გმირს), ციხეში აკითხავს მისი ტრაგიკული ცხოვრების „შემოქმედი“ — ნეხლუდოვი და კატუშას მიმართ ჩადენილი დანაშაულის გამო-სასყიდად ხელს თხოვს მას, რაზეც კატუშა თანხმდება.

მოსვენება ტოლსტოის სწორედ ამან დააკარგვინა, რადგან მის მიერ შექმნილი და გამოქანდაკებული გმირი იმდენად ალოგიკურად „მოიქცა“ ამ თანხმობით, რომ მან უკვე „ზნეობრივი ღირებულება“ დაკარგა ავტორის — ლევ ტოლსტოის თვალში. კატუშაზე (თუ საკუთარ თავზე) გაგულისებულმა გენიოსმა გაანადგურა ხელნაწერი და პირობა მისცა საკუთარ თავს, რომ არასდროს მიუბრუნდებოდა „აღდგომას“...

მაგრამ შვილივით ძნელი გასამეტებელი აღმოჩნდა გენიალური მწერლისთვის თავისი შემოქმედების ნაყოფი და კარგახნის შემდეგ, იგი მაინც მიუბრუნდა ამ ნაწარმოებს... ავტორმა სრულიად ლოგიკური გახდა მისი გმირის საქციელიც და ამ რომანის ფინალიც, რა სახითაც ვიცნობთ ჩვენ „აღდგომას“ — 1899 წლიდან დღემდე.

ეს „მხატვრული სიმართლეა“, რასაც გენიოსები ქმნიან. მას შემდეგ, რაც თავიანთ გმირებს სულს შთაბერავენ, სიცოცხლეს აჩუქებენ, — ისინი უკვე „თავის ჭკუაზე ატარებენ“ ავტორს, რადგან უკვე გამოკვეთილი პიროვნებები არიან. ასეთებად მათ სწორედ ავტორები ძერწავენ, რომელთა წყალობითაც მათ თავიანთი ცხოვრების წესი აქვთ, ხასიათი, თავისებურებები, ახირებები, პრინციპულობა თუ უპრინციპობა... ეს მხატვრული სახეები „ცოცხალი ადამიანები“ არიან და არა „მოარული სქემები“, რომლებიც ინდიფერენტულებს დაგვტოვებდნენ თავი-

ანთ მიმართ, რამდენადაც ვერანაირ პოზიტიურ ზეგავლენას ვერ მოახდენდნენ ჩვენს ემოციურ სამყაროზე.

სხვათაშორის, „მთარული სქემა“ გენიალურად დაგვიხატა ტოლსტოიმ ანას მეუღლის — კარენინის სახით და ანა კარენინას ტრაგიკული სიკვდილიც ძალიან ამფოთებდა მის ავტორს, მაგრამ მისი სიღიადე სწორედ იმაშია, რომ მისივე ქმნილება ანა კარენინა სხვაგვარად ვერ მოიქცეოდა. თავისი ცხოვრების ლოგიკამ მიიყვანა იგი ტრაგიკულ აღსასრულამდე...

და ტოლსტოიმ მოგვიპოვა ჩვენ, მკითხველები. თანამოაზრეებად გვაქცია. შედგა დიალოგი ჩვენ შორის, რადგან „ანა კარენინაში“ ტოლსტოის მიერ მოიარებით (და არა პირდაპირ) დასმული კითხვა ჩვენც დაგვასმევინა, — „მართლაც, რა უფრო დიდი უზნეობაა, — მთელი ცხოვრება გაატარო ასაკით, შეხედულებებით, სულისკვეთებით, მსოფლმხედველობით, გემოვნებით, ემოციებით დიამეტრულად განსხვავებულ ადამიანთან, თუ მიიღო ღვთის წყალობა, — დიდი, ნამდვილი, ჭეშმარიტი სიყვარული, რაც რჩეულთა ხვედრია, თუნდაც ამისათვის სიცოცხლის მსხვერპლად გაღება მოგიხდეს?“

ისიც მინდა გავიხსენო და გაგახსენოთ, პუშკინმა რომ შესჩივლა ერთხელ მეგობარს თავის საყვარელ გმირ ტატიანაზე, — „ვეგენი ონგეინიდან“: “Представляешь, какую штуку удрала со мной Татьяна?! Она замуж вышла, чего я от нее никак не ожидал”.

აი, ესეც კიდევ ერთი „მხატვრული სიმართლეა“, უფრო სწორად ის უმძვენიერესი ტყუილი, რასაც სიამოვნებით „მოვატყუებინებ“ ჩემ თავს, რადგან მსურს გენიოსების მიერ შექმნილ ყველაზე ადამიანურ სამყაროში დამკვიდრება, რასაც კულტურა ქვია.

დასასრულს, ოპენრის „უკანაკსნელ ფოთოლზე“ მინდა ორიოდ სიტყვა გითხრა. ეს ნოველაც ხომ ერთ-ერთი უმძვე-

ნიერესი და უკეთილშობილესი ტყუილია, ანუ, როგორც შევთანხმდით — „მხატვრული სიმართლე“. „უკანასკნელი ფოთოლი“ — სხეულდამდნარი მოხუცი მხატვრის უკანასკნელი შედეგია, რის შექმნასაც შემოდგომის მთელი ცივი ღამე მოანდომა და სიცოცხლაც შესწირა, მაგრამ ამ იღბლიანმა ტყუილმა ის მშვენიერი სხეული და მასში მოქცეული სული იხსნა, რომელსაც უნდა ეცოცხლა და შეექმნა...

ავადმყოფი მშვენიერი ქალი ზომ სულიერი მემკვიდრე და შთამომავალი იყო თავისი მხსნელი მოხუცის, რომელიც უპირველესად მის სულს შეეხიდა და რომელმაც ვერ დაუშვა მშვენიერი სხეულის უკვალოდ გაქრობა...

და შექმნა! შექმნა „უკანასკნელი“ და ამავედროულად პირველი ფოთოლი, რომელსაც ქარის მიერ დარბევა და გაქრობა არ უწერია, რადგან ნახატია; ოღონდ იმდენად ნამდვილნაირი, რომ ავადმყოფის შიშით გახელილმა თვალებმა ცოცხალ ფოთლად აღიქვეს და სიცოცხლის რწმენა დაუბრუნეს ახალგაზრდა მხატვარ ქალს. სიკვდილზე ძლიერი აღმოჩნდა მოხუცი მხატვრის სულის სიმტკიცე, რამაც ხელმოცარულ მოხუცს შედეგური შეაქმნევინა.

ესეც „მხატვრული სიმართლეა“, რაც გვარწმუნებს იმაში, რომ სასწაულები ნამდვილად ხდება კულტურის სამყაროში. თუ გვინდა ვცხოვრობდეთ ადამიანურად, ადამიანის მიერ შექმნილ ანთროპოცენტრულ სამყაროში უნდა დავმკვიდრდეთ. მოძავალ თაობებს უნდა დავეუთოთ სარბიელი საიმისოდ, რომ ჩვენს ბეჭებზე დანდობილად შემდგარებმა უკეთესი და უფრო მნიშვნელოვანი ღირებულებები დაახვედრონ და გადასცენ თავიანთ შთამომავლებს. ჩვენივე ხელით, გონებით, ემოციებით შექმნილი ჰუმანიზებული სამყარო გვაგრძნობინებს თავს “ღვთის სახედ”, ანუ ადამიანებად.

## «კომიკურის რეალიზაციის უსააკლებლობები ხელოვნების სახეებში»

ყოველწლიურ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე „ხელისუფლება და საზოგადოება — 2011“ პროფესორ ლალი გვა-სალიას მიერ წარმოდგენილი მოხსენება.

ჩემი დღევანდელი მოხსენება მინდა დავიწყო ფრანგი კომედიოგრაფის — ჟან ბატისტ მოლიერის სიტყვებით, — „ადამიანები გააკიცხვას იოლად იტანენ, მაგრამ დაცინვას ვერა, ისინი თანხმდებიან იყვნენ ცუდნი, მაგრამ არ სურთ იყვნენ სასაცილონი“<sup>1</sup>.

კაცობრიობის გაჩენის დღიდან იცინის ადამიანი. იცინის მხიარულად, გულლიად, სევდიანად, მწარედ, მაცდურად, ირონიულად, ღვარძლიანად, ცინიკურად, სარკასტულად... ერთი სიტყვით, — ათასნაირი აზრითა და ელფერით, ათასნაირი განწყობილებით, თავისი ბუნებიდან და ადამიანებთან დამოკიდებულებიდან გამომდინარე. ერთი წუთითაც კი ძნელია სიცილის გარეშე ადამიანების წარმოდგენა.

სიცილი, ხუმრობა ალამაზებს ადამიანის ყოფას, ხალისს და მხნეობას მატებს მას, მაგრამ ერთი ჭკვიანი კაცის თქმისა არ იყოს, — „სიცილი სულაც არაა სახუმარო რამ!“<sup>2</sup>

სიცილს მეორე, „სახიფათო“ მხარეც გააჩნია. მისი ძალა განუზომელია და შეუზღუდავი. მოდით, გავიხსენოთ რას ამბობენ ამის შესახებ დიდი ადამიანები:

„ვინც არასოდეს იტყვის რაიმე სასაცილოს და გული მოსდის სხვებზე, როცა ისინი იცინიან, უხეში და გაუთლელია“<sup>3</sup> (არისტოტელე);<sup>3</sup>

1. Мольер Ж.Б. Собр. соч. М., 1957, с. 564-565.

2. Герцен А.И. О письме, критикующем «Жолокол». Собр. соч. в 30-и томах, т. 13, М. Изд. АН СССР, 1958, с. 190.

3. Аристотель. Этика Никомаха, кн. IV, §14. СПб., 1909, с. 207.

„დაცინვის ეშინია თვით იმასაც კი, ვისაც ქვეყნად აღარავისი ეშინია“ (გოგოლი)<sup>1</sup>;

„განა ყველა სიცილი საგანია ხელოვნებისა? სიცილიც არის და სიცილიც. უაზრო, უმიზეზო სიცილი ლაზღანდარობაა... მარილიანს, ჯანიანს და მარგებელ სიცილს აზრი უნდა, მოძაველინებლად საბუთი უნდა“ (ილია ჭავჭავაძე)<sup>2</sup>.

აი სწორედ „მარილიანი, ჯანიანი და მარგებელი სიცილი“ გახლავთ ჩვენი დღევანდელი სათქმელის და ჩემი ინტერესის ობიექტი, ანუ კომიკურის ესთეტიკური კატეგორიის ემოციური გამოხატულება — სიცილის ფენომენი და მისი აღმოცენების შესაძლებლობა ხელოვნების სახეებში.

არისტოფანე, სერვანტესი, რაბლე, სვიფტი, გოია, შექსპირი, მოლიერი, ლოპე დე ვეგა, მარკ ტვენი, ჯერომ ჯერომი, ჰაშეკი, გოგოლი, ჩეხოვი, კრილოვი, დავით კლდიაშვილი, ჩარლზ სპენსერ ჩაპლინი, ილფი და პეტროვი — მსოფლიო სატირისა და იუმორის კორიფეები! მათ ეპოქალურ ნაწარმოებებს, იმას გარდა, რომ უზარმაზარი ესთეტიკური სიამოვნება მოუნიჭებიათ, — სუფთად და გულღიად ვუცინებივართ, უდიდესი მნიშვნელობის საქმეებიც უკეთებიათ სწორედ სიცილით.

ამ მცირე შესავლის შემდეგ, თქვენის ნებართვის, გადავალ ჩემ ძირითად სათქმელზე და მოგახსენებთ, რომ კომიკური ეფექტის გამოვლენის ყველაზე შეუზღუდავი შესაძლებლობების მფლობელია ხელოვნების ისეთი სახეები, როგორებიცაა: მხატვრული ლიტერატურა, კინოხელოვნება, თეატრალური ხელოვნება და სატელევიზიო ხელოვნება. (მე შეგნებულად გვერდს ვუვლი საცირკო ხელოვნებას, რადგანაც ზოგ ესთეტიკოსთაგან განსხვავებით, მიმაჩნია, რომ ამ ხელოვნებაში საქმე გვაქვს

1. Гоголь А.В. Сочин., М., 1952, с. 399.

2. ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული 10 ტომად. ტ. 3, თბ., 1958, გვ. 120.

არა იმდენად სოციალურად ღირებულ სიცილთან, ჭეშმარიტი კომიკურის გამოვლენასთან, არამედ, უმეტესწილად მსუბუქ, თავშესაქცევ სიცილთან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, — ემოციურად ერთგვაროვან მარტივ კომიზმთან, რომელიც არ შეიცავს ინტელექტუალურ და შეფასებით ელემენტებს).

იმის მიზეზს, თუ რატომ წარმოადგენს ლიტერატურა, კინო, თეატრი, ტელევიზია რთული კომიზმისათვის ყველაზე ნოყიერ ნიადაგს, — შეადგენს ხელოვნების ამ სახეთა მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების სპეციფიკა, რასაც პირველ შემთხვევაში (ანუ მხატვრულ ლიტერატურაში) — სიტყვა, ენა, თხრობა, ხოლო სამ უკანასკნელში (რომ არაფერი ვთქვათ კინოსა და ტელევიზიაში გამოყენებულ კომპიუტერულ, ვიზუალურ ეფექტებზე) — მსახიობების თამაში წარმოადგენს.

საკმარისია დაგასახელოთ საყოველთაოდ აღიარებულ კომიკოს მსახიობთა რამდენიმე სახელი, რომ ნათელი გახდება, თუ რა სხვადასხვა ნიუანსებით, შესრულების ნაირგვარი მანერით, სრულიად განუმეორებელი სტილითა და ხიბლით გაბრწყინებულან ისინი კომიკურ სცენასა თუ ეკრანზე: მაქს ლინდერი, მაკ სენეტი, ჩარლზ სპენსერ ჩაპლინი, ბესთერ კიტონი, ბურვილი, ფერნანდელი, ალდო ფაბრიცი, ალბერტო სორდი, ნორმან უიზდომი, ლუი დე ფიუნესი, ჟან-პოლ ბელმონდო, პიერ რიშარი, ჟერარ დეპარდიე, სერგეი ფილიპოვი, ევგენი ლეონოვი, ანდრეი მირონოვი, სპარტაკ მიშულინი, იური ნიკულინი, გიორგი ვიცინი, ევგენი მორგუნოვი, ალექსანდრე ჟორჟოლიანი, სესილია წუწუნავა, ვასო გომიაშვილი, აკაკი კვანტალიანი, გიორგი შავგულიძე, სესილია თაყაიშვილი, დოდო აბაშიძე, იპოლიტე ხეიჩია, ეროსი მანჯგალაძე, რამაზ ჩხიკვაძე, არჩილ გომიაშვილი, ავთანდილ მახარაძე, ბუბა კიკაბიძე...

განსაკუთრებით მდიდარია კომიკურის გამოვლენის შესაძლებლობებით ხელოვნების ყველაზე თანამედროვე სახე —

კინემატოგრაფია. კინოს განსაკუთრებული მომხიბვლელობის საიდუმლოება ხელოვნების ამ სახის ხედვით-თვალსაჩინო შესაძლებლობებში, გამომსახველობით საშუალებათა სიმდიდრესა და გადასაღები აპარატურის უსაზღვრო სრულყოფილებაში ვლინდება. ყოველივე ამის გამო, კინოში განსაკუთრებული ძალით მჟღავნდება ისეთი თავისებური და რთული ესთეტიკური კატეგორია, როგორიც კომიკურია. ფრიად საყურადღებოა, რომ ახლადგამოჩენილმა კინემატოგრაფიამ პირველი ნაბიჯი ხელოვნების გზაზე სწორედ კომედიის ჟანრში გადადგა. პირველი კომედიური ფილმები ძმებს — ლიუმერებს ეკუთვნით. ფილმის სახელწოდებაა — „მორწყული მომრწყავი“. ეს, რა თქმა უნდა, მეტად პრიმიტიული ფილმი იყო, მაგრამ ფილმი, რომელმაც მაყურებელი გააცინა. ამის შემდეგ კინემატოგრაფიამ და, კერძოდ, კინოკომედიამ დიდი და ძნელი გზა განვლო.

კინო როგორც ხელოვნების სინთეზური სახე, დრამატურგიული ნაწარმოების სპეციფიკური გადაწყვეტაა. ამ სპეციფიკურ გადაწყვეტაში არ შეიძლება მწერალ-იუმორისტთა ნაწარმოებების ისეთი არაჩვეულებრივი რეჟისორული დანახვა და ეკრანიზაცია არ ვიგულისხმოთ, ელდარ შენგელაიას სამ ფილმში: „არაჩვეულებრივ გამოფენაში“, „შერეკილებსა“ და „ცისფერ მთებში“ რომ განხორციელდა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ელდარ შენგელაიას ეს კინოშედეგები რეჟისორის უზარმაზარი ოსტატობისა და ფაქიზი იუმორით დაჯილდოებული უნიჭიერესი მწერლების: რეზო გაბრიადისა და რეზო ჭეიშვილის თანაშემოქმედებით, მათი ჰარმონიული ურთიერთშერწყმით შეემატა კინოკომედიის უმშვენიერეს სამყაროს (რომ არაფერი ვთქვათ გია ყანჭელის გასაოცარ მუსიკაზე, რომელიც ამ ერთიანი მხატვრული ქსოვილის ორგანული შემადგენელი ნაწილია. იგივე კომპოზიტორი ამავე ჟანრის გამორჩეული კინორეჟისორის — გია დანელიას შესანიშნავი პარტნიორიცაა კინოკომედიაში „მიმინო“).



ჩვენი მსჯელობა ქართულ კინოკომედიაზე სრულყოფილი არ იქნება, თუ სატელევიზიო კინოკომედიების სახელგანთქმულ რეჟისორს, — გურამ პატარაიას არ მოვიგონებთ და არ ვახსენებთ მისი უზადო შემოქმედების ისეთ ნიმუშებს, როგორებიცაა: „რეკორდი“ და „კუჩნი ბედინერი“; თუ არ ვახსენებთ ირაკლი კვიციანიძის „ქვევრს“. ქართულია მათი სცენარები, თუ უცხოელ ავტორთა მოტივებზეა შექმნილი (ეს ჩაბეჭდილი იქნება თუ პირანდელლო), — ერთი რამ უტყუარია: ამ რეჟისორთა ქმნილებები ნამდვილქართულია თავიანთი უფაქიხესი იუმორით, მსახიობთა ბრწყინვალე ანსამბლებით და რეჟისორთა ნიჭიერების დამდობით, რაც ქართული კომედიური ტელეფილმის ესოდენ დიდი წარმატების საფუძველია.

რაც შეეხება კლასიკურ მუსიკას, კომიკურის ყველაზე მკაფიო გამოხატულებაა მისი ისეთი ჟანრები, როგორებიცაა სკერცო, იუმორესკა, კომიკური ოპერა (*opera buffa*); კომიკური სახეები: ფიგარო, ფალსტაფი, დონ ბაზილიო. იუმორითაა აღსავსე ჩაიკოვსკის მეორე სიმფონიის I ნაწილის დასასრული, რომელიც დაწერილია უკრაინული სახუმარო სიმღერის თემაზე; მუსორგსკის „სურათები გამოფენიდან“; ალექსი მაჭავარიანის რამდენიმე საფორტეპიანო პიესა, რევაზ ლალიძის „რონდო-ტოკატა“, ოთარ თაქთაქიშვილის მეგრული სიმღერებიდან „ჩაგუნა“ და „ჭიჭე ტურა“; მძაფრად სატირული რიმსკი-კორსაკოვის „ოქროს მამალი“ და მრავალი მუსიკალური სახე შოსტაკოვიჩის მე-10 სიმფონიის II ნაწილიდან. განსაკუთრებულ პლასტიკურ დამაჯერებლობას აღწევს დიმიტრი შოსტაკოვიჩის მე-7 სიმფონიის I ნაწილი, სადაც სატირულ-გროტესკული პლასტიკა იმდენად საგრძნობია, რომ მუსიკალურ „სურათს“ თითქოს თვალხილულ სახედ აქცევს.

იუმორის, სატირის, გროტესკის ელემენტებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ ფერენც ლისტის, ჰექტორ ბერლიოზის, იგორ სტრავინსკის, ბენ-ჟამენ ბრიტენის, სერგეი პროკოფიევის, დიმიტრი შოსტაკოვიჩის მუსიკაში.

კომიკურის მძლავრი ნაკადია ისეთ კომიკურ ოპერებში, როგორებიცაა: მოცარტის „ფიგაროს ქორწინება“, როსინის „სველიელი დალაქი“, პუჩინის „ჯანი სკიკი“, ვიქტორ დოლიძის „ქეთო და კოტე“ და სხვ.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მრავალი ესთეტიკოსი მიიჩნევს, თითქოს კომიკური, მთელი თავისი ნაირგვარობით, მაინც ვერ ვლინდება წმინდა მუსიკალური ხერხებით. მათი აზრით, ეს აიხსნება იმით, რომ მუსიკა თავისი ბუნებით, ადამიანის გრძნობათა, განცდათა, სულიერ მოძრაობათა უშუალო გამოხატვის ხელოვნებაა და რაც უფრო ამაღლებულ, კეთილშობილურ, განსულიერებულ ემოციებს გამოხატავს, მით უფრო დიდია მისი მხატვრული ძალა.

ამიტომაც, საკმაოდ ძნელია მუსიკალური მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებით რისიმე გაკიცხვა, დაცინვა, დაგმობა, უარყოფა, ერთი სიტყვით, უგვანოს ჩვენება.

რასაკვირველია, არ შეიძლება ამგვარ მოსაზრებას გარკვეულწილად არ დაეთანხმო, არ მიიჩნიო, რომ მუსიკა, უპირველეს ყოვლისა, მშვენიერებისა და ამაღლებულის ესთეტიკურ კატეგორიებთანაა ნაზიარები, მაგრამ ჩემის აზრით, კომიკურის ნაირსახეობებსაც თავიანთი სრულფასოვანი თანაყოფიერება გააჩნიათ მუსიკალურ ხელოვნებაში. შევეცდები ორიოდ სიტყვით დავაკონკრეტო ეს მოსაზრება.

პროფესიული მუსიკა, როგორც ხელოვნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სახე, მისი განვითარების ადრეულ ეტაპზე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მეტად აბსტრაქტული ხასიათისა იყო. იგი ამაღლებულ, გაწონასწორებულ სულიერ მდგომარეობას გამოხატავდა მკაცრად განსაზღვრულ ჩარჩოებში. მნიშვნელოვანი გარდატეხა მუსიკაში მოხდა მე-17 საუკუნის ბოლოდან, განმანათლებლობის ეპოქიდან, როდესაც ხელოვნება თანდათანობით გამოვიდა დიდებულთა, არისტოკრატიის სასახლეებიდან; ფარ-

თო საზოგადოებასთან კონტაქტის გამო მუსიკაში შეიჭრა საყოფაცხოვრებო და კომიკური ელემენტები (opera buffa, გერმანული და ავსტრიული ზინგშპილები). მას შემდეგ, თანდათან მიმდინარეობდა მუსიკაში კომიკურის ფენომენის განვითარება, რამაც განსაკუთრებულ სიმაღლეს მე-19 საუკუნის გვიანი რომანტიზმის წარმომადგენლებთან (ლისტი, ბერლიოზი) მიაღწია.

მუსიკაში ჩამოყალიბდა კომიკურის ფენომენის გამომსახველი სპეციფიური ხერხები და საშუალებები: პუნქტირული რიტმი, ფორშლაგები, აქცენტები, სტოკატოები, ტრელები, მორდენტები და ა.შ. მაგალითად, ფერენც ლისტის სი-მინორულ სონატაში ჩართულ ფუგატოში მეფისტოფელის თემის სატირულ ასპექტში გატარება ხდება, რასაც კომპოზიტორი აღწევს სტოკატოების, რიტმული სურათის, ხმათა დაპირისპირების, მოულოდნელი აქცენტების საშუალებით. პაროდის უბრწყინვალეს, ყველაზე თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენს ჰექტორ ბერლიოზის „ფანტასტიკური სიმფონიის“ (დო მაჟორი) მე-5 ნაწილი, რომელშიც ხდება შუასაუკუნეების ცნობილი სეკვენციის — *Dies irae*-ს (განკითხვის დღე) თემის პაროდირება. თუ პირველად ეს თემა ჟღერს მეტად დინჯად, დაბალ რეგისტრში, — შემდეგ მისი გატარება ხდება გაორკეცებულ ტემპში, მასში შედის აქცენტები, ხოლო ბგერები იგივეა, რაც *Dies irae*-ში.

გროტესკის შესანიშნავი ნიმუშია აგრეთვე ჰ. ბერლიოზის ამავე ნაწარმოების ამავე ნაწილში მთავარი — სატროფოს თემის ტრანსფორმაცია, სადაც ნაზი, მომხიბლავი ხასიათის მელიოდია გარდაიქმნება მახინჯ, ამაზრზენ, ალქაჯურ როკვად. აქაც ბგერები არ იცვლება, იცვლება მხოლოდ მელიოდიის გაფორმება: ტემპი, რიტმი, ტემბრი, ემატება ფორშლაგები, ტრელები, კლარნეტ პიკოლოს გამკვივანი ტემბრიც ამ თემის გროტესკულობას უსვამს ხაზს.

ყველა ამ აღნიშნული საშუალებების გარდა, როდესაც სიცილის ფენომენის მუსიკასთან კავშირზეა ლაპარაკი, საშე-

მსრულებლო ხელოვნებაში გამოვლენილ უფაქიზეს იუმორის გრძნობაზეც უნდა ითქვას ორიოდ სიტყვა. მსმენელი ალბათ უკვე მიხვდა, რომ პირველ რიგში, მე მხედველობაში მაქვს თანამედროვე სავიოლინო საშემსრულებლო სკოლის დიდოსტატ — ლიანა ისაკაძის სახელგანთქმული კამერული ორკესტრის მიერ შესრულებული კონცერტები — „მუსიკოსები ხუმრობენ“. როდესაც მსმენელი, სამგლოვიარო მარშის გამოცხადების შემდეგ, ამგვარი მუსიკის შესაბამის მოლოდინშია და ამ დროს ორკესტრი სკერცოზულ-ტოკატურ მელოდიას იწყებს, რომელიც გროტესკულ ვალსში გადაიზრდება, შემსრულებელი დაკვრას თავს ანებებს, სცენაზე გაურკვეველ მოძრაობებს იწყებს, რაც შემდეგ გვირგვინდება საზეიმო მარშის ინტონაციებით, ბგერითი ეფექტებით, მოულოდნელი აქცენტებით, გლისანდოებით, ტემბრთა კონტრასტებით, პაუზებით, შეწყვეტილი მოტივების გამყივანი ჟღერადობითა და საორკესტრო ხმოვანების ქაოსით... ეს, რა თქმა უნდა, დარბაზის იმ ემოციურ რეაქციას იწვევს, რასაც გულწრფელი სიცილი ქვია.

აქვე უნდა ითქვას ვლადიმირ სპივაკოვის კამერულ ორკესტრზე „მოსკოვის ვირტუოზები“. თავიანთი მართლაც ვირტუოზული ხელოვნების დემონსტრირების პარალელურად, შტრაუსის ნაწარმოების გასაოცარი შესრულების პროცესში — ჟღერადობის მოულოდნელი შეწყვეტა, ფეხის რიტმული ბაკუნი, ტაშის ჩართვა, მოულოდნელი ერთობლივი გამღერება დირიჟორთან ერთად, კვლავ სოლო-საკრავების იმიტირებული კომიკური ინტონაციები — მოძრაობასთან შერწყმული... ეს ყველაფერი ვირტუოზთა განუმეორებელი საშემსრულებლო ოსტატობის აპოთეოზია, რაც ორგანულად ერწყმის მსმენელთა უსაზღვრო სიხარულს და, რაც მთავარია, ერთსულოვან სიცილს, — გამოწვეულს ისევ შემსრულებელთა განსაცვიფრებელი სრულყოფილებით.

თანამედროვე ესთეტიკურ მეცნიერებაში გამეფებულია აზრი იმის შესახებ, რომ არსებობს ხელოვნების ერთადერთი სახე, რომელიც სავსებით გამორიცხავს კომიკური ეფექტის შექმნის შესაძლებლობას, რადგანაც მშვენიერების ესთეტიკური იდეალების უშუალო დამკვიდრებას ემსახურება. ეს ხუროთმოძღვრებაა! (განსაკუთრებით მისი საზოგადოებრივ-სამოქალაქო ჟანრი), სადაც რისამე უარყოფაზე, დაცინვასა და გამოაშკარავებაზე, რაიმე წინააღმდეგობაზე (რაც ყოველგვარი კომიკურის საფუძველია) — ლაპარაკიც ზედმეტია.

მაგრამ ხელოვნების სწორედ იმ ჟანრმა, რომელსაც საცხოვრებელი არქიტექტურა ეწოდება, ჩვენს დედაქალაქშიც და ყოფილი საბჭოთა კავშირის მრავალ დიდ, თუ მცირე ქალაქში უხვი მასალა მოგვცა კომიკურისა და, როგორც დიდი ილია იტყოდა, — „მარილიანი, ჯანიანი და მარგებელი“ სიცილისათვის.

სხვადასხვა ქალაქის სწორედ ასეთმა ერთმანეთის მსგავსმა კვარტალებმა, კორპუსებმა, ეზოებმა, სადარბაზოებმა, ექსტერიერებმა და ინტერიერებმა შეაქმნევენეს ელდარ რიაზანოვს, — კინოკომედიის დიდოსტატს, დიდებული კინოკომიკური ნაწარმოები „ბედის ირონია, ანუ გაამოთ!“

ამ ფილმში საცხოვრებელი არქიტექტურის ხსენებული ერთფეროვნების კომიზმს რეჟისორი იმითაც ამძაფრებს, რომ მოსკოვისა და საბჭოური „ლენინგრადის“ (ახლა ისევ პეტერბურგი!) აბსოლუტურად იდენტური ორი სახლის ნომრებიც ერთმანეთს ემთხვევა, ქუჩებიც ერთი სახელწოდებისაა, ერთი ბინის გასაღები უპრობლემოდ აღებს მეორეს, გარემოც და ლოგინიც „შშობლიურია“, უცხო კაცი მშვენიერად მოითავისსახლიანებს, და რაც მთავარია, არაფერი ეუცხოვება სხვის სახლში... გარდა მასპინძლისა!..

აი, ასეთია საცხოვრებელი არქიტექტურის საფუძველზე აღმოცენებული კომიზმი, რომელიც გულწრფელ სიცილს იწვევს

იუმორიდან სატირაში და სატირულიდან — ჰომეროსულში გადაზრდილს.

მაშ, მოლით შევთანხმდეთ, რომ სიცილის რომელიმე ნაირ-სახეობა ადამიანურ ურთიერთდამოკიდებულებასა, ე.ი. სოციალურ გარემოსა და ადამიანის მიერ შექმნილ ანთროპოცენტრულ, ანუ კულტურის, ხელოვნების სამყაროში, — ყველგან და ყოველთვის არსებობს! გავიმეორებ მოლიერის სიტყვებს: „იუმორის გრძნობა ის არის, რაც ადამიანს ცხოველისგან განასხვავებს“. ღმერთმა დაგვიფაროს ამ გრძნობის გარეშე ადამიანის ადამიანად მოაზრება, როგორც მშვენიერების განცდის გარეშე!

ჩვენი დასკვნა ერთი წინადადებით ასე გამოიხატება — კომიკური, რაც ჩვენი ინტერესის საგნის — სიცილის არსი და საფუძველია, მხოლოდ ესთეტიკისა და ადამიანის ესთეტიკური შექმენების სფეროს კუთვნილება კი არ არის, არამედ ზოგადფილოსოფიური მნიშვნელობის მატარებელი ფენომენია და ამდენად, — სამყაროს ფილოსოფიურ სურათში გარკვეული ადგილის მფლობელი.

2011 წ.



„ცხოვრება ჩემი უანკარეს ღვინის ფერია,  
 იგი ელვარებს, საბოლოოდ დაშრება ვიდრე,  
 მასში დიდება პოეტისა მე დავიმკვიდრე,  
 რომლის გარეშე — უკვდავებაც არაფერია.  
 თეთრი ღღებების ისევ ისე მიჰყვება დასი,  
 არ მომწყინდება სადღეგრძელოდ ავწიო თასი  
 თქვენი, რომელთა გატაცება... მხოლოდ ჟინია...  
 მე, არც წარსულის, არც მომავლის არ მეშინია“.

## გალაკტიონის ამოუცნობი სულის სიფრთხილი

გასული საუკუნის განუმეორებელმა გენიამ — გალაკტიონ ტაბიძემ თავის უკვდავ პოეზიასთან ერთად შეგვქმნა და მისი სულის სამკვიდროში დაგვაძველდა ჩვენც, — ამ პოეზიის გარეშე წარმოუდგენელი ადამიანები.

ის შემოქმედია.

ჩვენ — მისი გენიის თავგანისმცემელი.

მან ფასდაუდებელი ღირებულებები შეგვიქმნა.

ჩვენ — ამ ღირებულებათა შემფასებლად უნდა გამოვდგეთ.

ის ერთადერთია.

ჩვენ — უამრავი... მაგრამ როგორც სახით განსხვავებულნი ერთმანეთისაგან, ისე სულით... და მითუმეტეს — გემოვნებით.

ამიტომ ყველას ჩვენ-ჩვენი გალაკტიონი გვყავს. ფერმწერმა იქნებ ჩემზე უკეთ დაინახოს და შეიგრძნოს გალაკტიონის „დაფენილი თითქო ომში, ფშანია თუ ჟალტამი, ველად ყრია **ლურჯი კომში** და **ცისფერი ატამი** (შეგახსენებთ, ხაზგასმები აქაც და ყველგან ჩემია! ლ.გ.“); კუბოს ადევნებული მგლოვიარისათვის უფროა სულის სიღრმემდე შემძვრელი, თუ როგორ „შლიდა ბაირაღებს თმაგაწეწილი ქარი“...ხოლო „გზა იყო უდაბური, უსახო, უპირქუბო“, როცა მიჰქონდათ კუბო და იმედი დასამარხად. ფილოსოფოსთ კი, სულ ოთხ სტროფში მოუთავსა გალაკტიონმა გენიალური ჰეგელის მთელი ფილოსოფიის არსი:

*„ზნობის სიტყვა ერძას თუ შეპყვრის:  
გამოცდილი და შეუღრეკელი,  
სხვაგვარად ისმის ოზურა ბებერის,  
როგორც ნამდვილად ამბობს ჰეგელი.  
მეორე სიტყვა არით არეობს  
და შეგნებაძღე მიჰყავს მთელივე,  
რომ ყოველივე მიმდინარეობს  
და იმავე დროს დგას ყოველივე.  
წმინდა ნათელში, ამბობს ჰეგელი,  
წმინდა სინათლის დიად ბადეში  
ისე ცოტაა გასაგებელი,  
როგორც რომ წმინდა სიწველიადეში.  
შედგება ფიქრი თეთრ აკლდამაზე  
გაუნელებელ ცეცხლის, ნაცარის,  
სიტყვა? სხვა არის ფიქრი ამაზე...  
ლოგოსი ... აზრი მისი, რაც არის“*  
(უსათაურო)

გალაკტიონის უკვდავი აზრი — ბგერებად აჟღერებული მისი სიტყვების მუსიკითაა გაჯერებული. ეს ამოდსასმენი მუსი-



კა სხვისი არმსგავსია, სხვასთან გაუთანაბრებელია, ათასჯერ გამეორებისა და მოსმენის შემდეგაც კი, — ყოველჯერ ახალი აღმოჩენაა საოცრებისა.

*„სად ზღვის ჭაგლებია, ყვაკილთა მთოველი,  
კვლავ ვზვლებით ერთმანეთს მე და ბეთჰოვენი.  
ოცნება მკონია, სიზმარი მკონია...  
ქართული მოტივი — მეცხრე სიმფონია“.*

ბუნებრივია, სწორედ ბეთჰოვენს და ვაგნერს უნდა შეხვედროდა გალაკტიონი. სწორედ მისი აბობოქრებული სულის ხმოვანებად უნდა ეჟღერა ბეთჰოვენის მე-9 სინფონიას, — გალაკტიონის მიერ მშობლიურ მოტივად აღქმულს. ეს გახლავთ დიად სულთა ნათესაობა! ემპედოკლესი არ იყოს, — „მსგავსი — მსგავსით შეიმეცნება“.

მინდა, ჩემთვის ღრმად პატივისცემი ადამიანისა და კრიტიკოსის, ბატონ გურამ ასათიანის სიტყვები გაგახსენოთ გალაკტიონის ერთ-ერთ რჩეულს რომ წაუძმღვარა 1982 წელს: „გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში ქართულმა ლექსმა საოცარი სინატიფე და პაეროვნება შეიძინა. ის იყო **უტყუარი აბსოლუტური სმენის პოეტი. მის მუსიკალურ გენიას ყოველივე — გარეშე თუ შინაგანი, ნამდვილად ხილული, თუ ოცნების თვალთა წარმოდგენილი — პოეტური მელოდიების ენაზე გადაჰქონდა.**

როგორც ღია სარკმელში მოულოდნელად შემოჭრილი გაზაფხულის დღე ათასნაირი სურნელით ავსებს ჩვენს ოთახს, ისე აავსო გალაკტიონის ლექსმა ჩვენი სული ჯერარსმენილი მოტივებით, რიტმებით, ინტონაციებით, კეთილხმოვანების სასწაულებით“.<sup>1</sup>

ღიახ, ჩვენთვის სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გალაკტიონის იმ ლექსებს, რომლებიც თავიანთი კომპოზიციითა და ლაიტმოტივის განვითარებით — დასრულებულ მუსი-

1. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი. 1982, გვ. 8

კალურ ნაწარმოებებს მოგვაგონებენ. აქვე მინდა აღვნიშნო ისიც, რომ სიმბოლისტებს ხელოვნების იდეალურ სახეობად მუსიკა მიაჩნდათ. მათ მიერ სწორედ მუსიკა იყო მიჩნეული წმინდა ემოციური თვითგამოხატვის იდეალურ ფორმად. პოეზიაშიც უნდა ყოფილიყო გამოძებნილი ადეკვატური საშუალებები, ახალი ხერხები, მეტყველების სპეციფიკური მანერა, — ადამიანის სულის მუსიკას რომ გამოსცემდნენ.

რამდენადაც გალაკტიონის ლირიკაში ლექსის მელოდიურ გააზრებას და ინსტრუმენტირებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, სპეციალისტების მიერ მისი შემოქმედება ერთ-ერთ ყველაზე სრულყოფილ ნიმუშადაა მიჩნეული ევროპული სიმბოლიზმის ისტორიაში.

მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ გალაკტიონ ტაბიძეს, — პოლ ვერლენის, შარლ ბოდლერის, თეოფილ გოტიეს, ალფრედ დე მიუსეს, პოლ ვალერის, სტეფან მალარმეს, მორის მეტერლინკის, არტურ რემბოს, ალექსანდრ ბლოკის თანამოკალმეს — კლასიკური მუსიკა პროფესიული ყურით ესმოდა:

„მე მხიბლავს ეს ქანდაკება, ზღვა — აღმაფრენით ტყვემქნელი  
**ვაგნერი წმინდა, ვით ზეცა და ბნელი, როგორც ქვესკნელი.**

**ვაგნერი, დისონანსების მშვენიერებად შემქმნელი,**  
ნელი-ნელ მატყვევებელი, ამღელვებელი, მკნებელი.

მე მესმის წყნარი შრიალით ქაოსი ქვეყნის შექმნის დროს.

**და აღმაფრენა შემქმნელის, რომ ზე-შთამგონელ წამს უსწროს**  
და სახე მელოდიების განცდით წამებულ-ვნებული  
**და მესიზმრება გრიგალი ბოროტად მიძინებული.**

წარვლიან საუკუნენი და ყოველივე, რაც ხდება,  
ისევე წყნარი ღუმილით დავიწყებაში გაჩნდება.

**მარად დამწყველი ჰანგები ლოენგრინესი — ცად მყვანის,**  
მწუხარე ამონაკენესი იზოლდასი და ტრისტანის,

ამონაკენესი, რომელსაც მომხიბვლელად ქმნის ზღვა-უნება

**ჰანგი ახალის ძიების**

სიმღერა ვალკირიების —

**სამარადისო, დაუჭკნობ და წმინდა ძეგლად დარჩება“<sup>1</sup>.**

ეს „წმინდა ძეგლი“ თვითონ აუგო ერთმა შემოქმედმა მეორეს, პოეტმა კომპოზიტორს, ქართველმა გერმანელს, — გალაკტიონ ტაბიძემ — რიჰარდ ვაგნერს.

ეს აბსოლუტურად ზუსტი, პოეზიის ულამაზესი მუსიკით აჟღერებული, გალაკტიონის სმენით აღქმული ვაგნერის, — საოპერო ხელოვნების რეფორმატორის „ქანდაკებაა“, — ოღონდ გალაკტიონის ყურსა და მხედველობითს წარმოსახვაში გამჯდარი — „**ჰანგი ახალის ძიების!**“ — რის მიმართაც სიტყვათა „დისონანსების მშვენიერებად შემქმნელი“ — თვითონ გალაკტიონი გულგრილი ვერ დარჩებოდა.

გალაკტიონისევე სიტყვები რომ მოვიშველიოთ, ეს ხომ „ერთნაირ სულში ერთნაირი მზის მოთავსებაა!“ (გ. ტაბიძე, ლექსი „მარმარილო“). ამავე ლექსში აჟღერებული ერთი ფრაზაც ხომ უსრულყოფილესი, ერთი ამოსუნთქვით გამოკრისტალებული „კლასიკური მუსიკის“ იშვიათი ნიმუშია:

**„... და ვან-დეიკის ლანდებივით მწვანდება ღამე,**

**ოჰ, რამდენია, რამდენია ასეთი „რამე!“**

აი, ასე „უბრალო და მარტივია“ გალაკტიონისათვის ერთი ამოსუნთქვა და „ვან-დეიკის ლანდებივით“ გამწვანებული ღამე — ჩვენ რომ გვისახსოვრა და სული ჩაგვიდგა, ცამდე აგვამაღლა და იქიდან გადმოგვახედა მიწიერი ცოდვილი სამყაროსაკენ.

გამოვტყდეთ! იქნებ ყველას გვსურს ფრენა, მაგრამ ეს ხომ გამონაკლისთა ხვედრია! ისევე გალაკტიონი მოვიშველიოთ!

1. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, გამომც. „სახტოთა საქართველო“, თბილისი, 1982, გვ. 8.

*„რარიგ კარგია, სამშობლოვ,  
შენი ძტკეარი და რიონი,  
შოთა, ილია, აკაკი,  
ვაჟა...“*

**და გალაკტიონი,** — პოეზიის მეფის სახელით ჩვენვე ამოვავსოთ მისი მოკრძალებულად დასმული მრავალწერტილი; ჩვენ დაგვაკისრა გალაკტიონმა დაუძთაფრებელი მუსიკის ბოლო აკორდის გაჟღერება.

ჩვენთან, მის მკითხველებთან მართავს დიალოგს შემოქმედი. უნდა მივხვდეთ, უნდა გავიგოთ... განუმეორებელი ძელოდიის წამყვანს ხმები უნდა შევუწყოთ. გავიზიაროთ მისი ნაგრძნობი! ჩვენად გავხადოთ ჭეშმარიტება —

*„... წელიწადები წავლიან ძველნი,  
შეიცვლებიან ქარით სიონი,  
როგორც ერთია ქვეყანა ძთელი,  
ისე ერთია გალაკტიონი“.*

ეს შესანიშნავად მოახერხა დიდმა ქართველმა პოეტმა — ირაკლი აბაშიძემ გალაკტიონისადმი მიძღვნილ ლექსების კრებულში — „ოცი ლექსი გალაკტიონ ტაბიძეს“:

*„თუ ხარ მაღალი,  
თუ ხარ ნაღდი,  
თუ ხარ ნამდვილი,  
თუ ხარ პოეტი,  
ხარ და ცისკრის კარი გეღება,  
ბოლოს და ბოლოს,  
შენ თვით იცი შენი ადგილი —  
არც დრო, არც სივრცე, არც ასაკი  
შენ არ გეხება!“*

ესთეტიკაში, ანუ მშვენიერებისა და ხელოვნების ფილოსოფიაში ერთი განსაკუთრებული სახელის მქონე, განსაკუთრებული კატეგორია არსებობს, რომელსაც „ამაღლებულის ესთეტიკური კატეგორია“ ქვია. ტრაქტატი „ამაღლებულისათვის“ („პერი ჰიპსუს“) რომში დაიწერა ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნეში, მაგრამ იგი პირველად X საუკუნის ბიზანტიაში გამოჩნდა. მისი ავტორის ვინაობა ვინაიდან დღემდე საკამათოა, მას „ფსევდო — ლონგინუს“ უწოდებენ.

ამ მოკრძალებულ სტატიაში, ამაღლებულის კატეგორიის ხსენების აუცილებლობა გენიოსთა იმ სამეულმა განაპირობა, რომელთა შემოქმედებაზე საუბარიც ყოველგვარ აზრს მოკლებული იქნებოდა უამკატეგორიოდ.

მეამაყება იმის თქმა, რომ ორ გერმანულ კომპოზიტორთან ერთად, რომელთა სახელებია: ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი და რიჰარდ ვაგნერი, გალაკტიონ ტაბიძე უნდა მოვიხსენიოთ.

საქმე ის გახლავთ, რომ ხელოვნებაში ამაღლებულის გამოხატვა შემოქმედისაგან მოითხოვს განსაკუთრებულ სიმკვეთრეს, ინტენსივობას, მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებათა აქამდე მიუწვდომელ ხერხებსა და ხასიათს.

გავიხსენოთ ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის მე-3 „გმირული სიმფონია“, მე-5, მე-9 სიმფონიები, ოპერა „ფიდელიო“, ან მისი უკვერტიურები: „გემონტი“, „კორიოლანი“, სონატებიდან: „პათეტიკური სონატა“, „აპასიონატა“, „მთვარის სონატა“; 10 „საზვიამო მესა“ — ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის.

გავიხსენოთ მეორე გერმანელი კომპოზიტორის, საოპერო ხელოვნების რეფორმატორის — რიჰარდ ვაგნერის „ტანჰოიზერი“, „ლოენგრინი“, „ტრისტან და იზოლდა“, „პარსიფალი“, ტეტრალოგია: „ნიბელუნგების ბეჭედი“, „რაინის ოქრო“, „ვალკირია“, „ზიგფრიდი“, „ღმერთების სიკვდილი“.

რაც შეეხება პოეზიის „მეფეს“, ქართველ მგოსანს — გალ-

აკტიონ ტაბიძეს, აქ უძლური ვარ ჩამოვთვალო მისი საუკეთესო ლექსები... ეს უიმედო საქმეა, რადგან კომუნისტური იდეოლოგიისათვის ხარკად გაღებული გამონაკლისი ლექსების გარდა, მთელი მისი პოეზია უმაღლესი და აუწონელი ეროვნული ღირებულებაა.

**გენიოსთა ამ სამეულის** შექმნილი ნაწარმოებები სწორედ იმიტომ მიმანჩნია ამაღლებულის ესთეტიკური კატეგორიის ნიშნულზე, რომ არცერთი მათგანი არ არის ჩვეულებრიობის ფარგლებში თავსებადი; არც სრულყოფილი ჰარმონიაა (რაც მშვენიერ საგანთა და მოვლენათა მახასიათებელია), — არამედ ეს არის სრულყოფილი დისჰარმონია (ანუ რასაც გალაკტიონი ამბობს ვაგნერის შესახებ, — „ვაგნერი, **დისონანსების** მშვენიერებად შექმნილი...“; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, — ავსებული და გადმოღვრილი, ყველაფრის წამლექავი... და შესაბამისი ემოციური რეაქციის გამომწვევი, რასაც „აღმაფრენა“, „ხეაღტაცება“ შეიძლება დაერქვას, რადგან **არც ამ გენიოსებამდე, და არც მათ შემდეგ, მსგავსი არაფერი შექმნილა.** მათ ნაწარმოებებში მიგნებულია მუსიკისა და მუსიკად მჟღერი ლექსების განსაკუთრებული პათეტიკა, უჩვეულობა, ამაღლებულობა.

ახლა კი მინდა ერთი ადგილი მოგაწოდოთ ფსევდოლონგინეს ტრაქტატიდან — „ამაღლებულისათვის“.

„ამაღლებულის უპირველესი და უმთავრესი ნიშანი შექმნილი კი არა, ბუნებით თანდაყოლილი თვისება გახლავთ; მიუხედავად ამისა, ჩვენი სულები ხარბად უნდა ეწაფებოდნენ ამაღლებულს და, ამრიგად გამუდმებით ნაყოფიერდებოდნენ სხვისი თანდაყოლილი შთაგონებით...“

უპირველეს ყოვლისა, ჩვენ გვმართებს გავარკვიოთ, რატომ არ აღიძვრის ჭკმდარიტი შემოქმედის სულში უკეთური და უღირსი აზრი, ან რატომ ვერ ქმნის რაიმე ღიადს და მარადიულს ის, ვინც მთელი სიცოცხლის მანძილზე მდბაალი აზრებით სულდგმულობს, ბილწ და უღირს ზრახვებს დამონებული?

იმიტომ, რომ ამადლებული — მაღალი აზრის ნაყოფია, ხოლო მისი შემოქმედი თავადაც მაღალია და მაღლად მხედი“.<sup>1</sup>

სწორედ „მაღლად მხედი“ გალაკტიონი თუ იტყოდა:

*„... აჰყვე ოცნებით მარმარილოს თლილ საფეხურებს,  
სადაც ყოველმხრით პრაქსიტელის თვალი გიყურებს, —  
ცა სიყვარულის და სიცოცხლის ძვირფასი თასი,  
და ყოფნა ასე, მოლანდება ახი ათასი,*

***რომ შენს გვირგვინზე წაშლილია შავი ნაპრალი...***

*ოჰ! რამდენია, რამდენია ამგვარად მთვრალი“.*

საქართველოში გალაკტიონის შესახებ უამრავი რამ დაწერილა, — კომუნისტური წარსულიდან მოყოლებული — ოცდამეერთე საუკუნის პირველი ათწლეულის ჩათვლით, — საბჭოთა იდეოლოგიის მესვეურთა დავალებითაც... მაგრამ რისკით და საკუთარი სურვილითაც; კრიტიკის ქარ-ცეცხლში განქიქებთაც, მაგრამ წრფელი სულების აღტკინებითაც; ფორმით — პროზადაც და პოეზიადაც (ირაკლი აბაშიძე, „ოცი ლექსი გალაკტიონ ტაბიძეს“, გამომც. „მერანი“, 1986). მე რა უნდა გითხრათ ახალი და ჯერ არსმენილი, მაგრამ ცდუნებას ვერ ვუძლებ, — გალაკტიონის პოეზიიდან ის ლექსები, ან სტროფები არ შეგახსენოთ, რომლებიც ჩემ მოკრძალებულ აზრს ადასტურებენ იმის თაობაზე, რომ ქართველ გენიოსს პროფესიულ დონეზე ესმის კლასიკური მუსიკა და სწორედ ამგვარი მუსიკითაა გაჟღენთილი ის ერთადერთი სამყარო, სადაც გალაკტიონის სული ბობოქრობს და რასაც გალაკტიონის სახელი ქვია.

მანამდე კი შეგახსენებთ გალაკტიონის ძმისწულის, პროფესორ ნოდარ ტაბიძის სიტყვებს, რაც ბიძამისის ლექსების თავის მიერ შედგენილი კრებულის წინასიტყვაობაში ბრძანა ბატონმა

1. ფსევდო-ლონგინე, „ამადლებულისათვის“, გამომცემლობა „ხელოვნება“, თბ., 1975, გვ. 114-115 (ძველი ბერძნულიდან თარგმანი და კომენტარები ბაჩანა ბრეგვაძისა)

ნოდარმა: „გალაკტიონის პოეზიის ხერხემალი ენერგიაა, ფრთები — მუსიკა. გალაკტიონს ძალუმს ხმელეთის პოლუსები ლერწამივით გადალუნოს“...<sup>1</sup>

მაშ, ასე! ჯერ გავიხსენოთ სტროფები, სადაც გალაკტიონი იმ მუსიკოსებსა და თანამოკალმე სიმბოლისტებს ახსენებს, ვისი ხსენებაც უღირს; შემდეგ კი თვითონ გალაკტიონის მიერ ლექსების ფორმით აქლერებულ მუსიკას მოგუხსმინოთ, მისი სულის ინტონაციებს ერთხელ კიდევ მიუგდოთ ყური, — გადავინაცვლოთ გალაკტიონის ერთადერთ და უჩვეულო, უტოლფასო მუსიკის სამყაროში... უკომენტაროდ!

*„რა საოცარი დასრულდა წლები!  
მეფეთა წყება გაქრა, ვით ლანდი,  
მოშორდნენ ტახტებს: ვილჰელმი, კარლოს,  
ნიკოლოზი და ფერდინანდი.  
მაგრამ მწუხარედ მათზე კი არა,  
სხვაზე იფიქრებს მარტიროლოგი:  
იმ მრისხანე წელს პოეტი-მეფე —  
გარდაიცვალა ალექსანდრ ბლოკი,  
ჰანგების მეფე — დიდი სენ-სანსი  
და დირიჟორი ნიკიში მძლავრი...  
ეკლიან გზაზე დაეცა ბევრი,  
მხოლოდ მე ერთი გადავრჩი მგზავრი“...*

.....

(„პროლოგი 100 ლექსის“)

\*

*„მაშინ ტოვებდა ყველას და ყოველს  
და ფეერიულ ალში მცურავი,*

1. გალაკტიონ ტაბიძე, ლექსები, © საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაცია. თბილისი. 2008.



**ედარებოდა შეშლილ ბეთპოვენს**

დაუნდობელი და მომღურავი,  
და მიდიოდა უბედურ ქარში,  
**რა იყო ქარი ერთადერთისთვის,**  
**სამგლოვიარო მან შექმნა მარში,**  
რომ წყევლა-კრულვა ეთქვა ღმერთისთვის!“

(„ედარებოდა შეშლილს“)

\*

„სტიროდა სული ცისფერ ღვინოებს,  
ღვინო ეძებდა სულ სხვას პირიქით  
**და შემდეგ უცნობ პიანინოებს**  
**ატრიალებდა ტანჯვის ლირიკით.**  
როგორც მრავალი ვარდების ძეგნი,  
მას სული ჰქონდა უხვად ციური,  
**მასში მრავალი იყო შოპენი,**  
**და პაგანინი ფანტასტიური...“**

.....

(„სტიროდა სული ცისფერ ღვინოებს“)

\*

.....

...„რამდენი ქალი, მღერალი ქალი  
შეიმოსება ბინდით, დათვალე!  
აშრიალდება მრავალი ხალი  
და გატაცებით ცა მოშავთვალე.  
რამდენს უეცარს ველოდი ამბორს,  
რამდენს ველოდი ფრთეებს აღსავალს,  
**მხოლოდ ახალ წლის ბინდებში ამბობს**  
**მუსიკა თავის თავგადასავალს.**

წელს გადაიწვენს ხელი მინაში,  
 თვალს მოუღულავს კოცნის ძვევთრება,  
 და, როგორც ლანდი ლოენგრინეში,  
 ლანდს სიჩუმეზე შეევედრება“.

(„აჰა, ბინდღება“)

\*

.....  
 „...იქ ტყეა მთვარით ქსოვილი,  
 ვით ლოენგრინეს სიზმარი,  
 ლაფეარდით გადათოვილი  
 და ვერცხლით ნათილისმარი“...

(„ეს შობლიური ქარია“)

\*

.....  
 „...და პაგანინიც... ორჯის ბადეს...  
 მავსტრო თასით გადაკრავს ღვინოს,  
 ესტრადა ნათელ იმედად ბადებს  
 აშლილ ვოლტორნებს და პიანინოს...“

.....  
 არა! არაა იმედი სიმაღ,  
 ქალნი ლანდობენ თლილი თითებით,  
 სიმებთან ერთად ატირებს იმათ  
 თვალების ნაზი ქრიზოლიტებით“.

(„ისევ ეფემერა“)

\*

.....  
...„როგორც ზვირთთა ქათვანი მოდება,  
ფავოტების მიტაცებდა გოდება,  
მოცებდა უმძლავრესი მუსიკა,  
თმას მიწეწლა ქარის გაბოროტება“...

.....  
(„სად ოღესმე მეოცნებე აფრებით“)

\*

.....  
...„სადღაა მხარე იმა გრძნობათა?  
იქ ერთადერთი, გრძნობა შიშველი  
აღარ გაჰკივის სარაჯიშვილი!“

.....  
(„ოპერის თეატრთან“)

\*

.....  
...„ფიქრში გახვეულა ბნელი დერეფანი,  
ღამის მეეტლე რომ ველარ დაატია,  
ისევ ნერვიულად რეკავს ტელეფონი,  
რომელი საათია, რომელი საათია?“

.....  
იყო შარლ ბოდლერი: „მწარე და ძვირფასი  
თრობის საათია, ღვინის საათია“ —  
ასე იძლეოდა პასუხს შეკითხვაზე  
რომელი საათია?“

.....  
(„რომელი საათია?“)

\*

...„მიდის ოპერა „ლაკმე“,  
**ბუტაფორიის შეხლა!**  
 განა ეს არის საქმე?  
 მე სულ სხვას ვფიქრობ ეხლა:  
 მწარე ფიქრებში გართულს  
 მესმის სიცილი მთვრალი;  
 სადმე მეხუთე სართულს  
 მთვარე უღიმის მკრთალი.

.....

...ხშირად ვიგონებ **ვერლენს,**  
 როგორც დაღუპულ მამას,  
 დაღვრის შეშლილი ცრემლებს  
**მოგონებათა გამმას.**  
 ხშირად ვიგონებ პარიზს...  
 ნახე იგი და ლაკმე!  
**ნისლის, სულის და ქარის,**  
**ლაკმე, სადაც ხარ ლაკმე!“**

(„ჭიანურები“)

\*

„სულო უძზეო, მაგრამ მზიანო  
 ყოველთვის, როცა ბერავდა ქარი,  
**მესმოდა ნისლის ფორტეპიანო,**  
 ხარი, გუგუნი და ისევ ხარი.“  
**ვერ ივიწყებდა მაშინ ვერცერთი,**  
**საქართველოში ჰანგთა ხანდაზმას,**  
**და თვითუფლი მისი კონცერტი**  
**ეფემერისას ჰგავდა ფანტაზმას.**

*სადაც ქვეთინი იყო ქალური  
და სონეტების ნაზი ფერები,  
ტიროდა მისი მუსიკალური  
და გადარევის ეფემერები“.*

(„მუსიკალური ფანტაზმა“)

\*

.....  
*...„და პოეზიის ნათელი დროშით  
იხვევრდება ოცნება ჭრელი,  
რომ სხვა მოცარტით და დელაროშით  
ვიხიბლებოდე მე, მენესტრელი...“*

.....  
*შიშით ატირდა კლავიში ერთი,  
კლავიატურის გულში მკივარი,  
ოდეს ცეცხლივით დიდი კონცერტი  
მოედო თეატრს, ვით სატკივარი.“...“*

.....  
*სული გაქანდა ზღვაში მოტივედ,  
თითქო ქაოსის ნისლში შეველი  
და ატივტივდა იქ ნაფოტივით  
კლავიში ერთი, შეულეველი,*

*რომ დავიწყება შემეძლოს რითმე!  
რომ გადაკარგვა შემეძლოს სადმე!  
რომ მაპოვნინა მე შენზე რითმა!  
რომ ასონანსი ღიროდეს რადმე!“*

(„საახალწლო ეფემერა“)

\*

„შენ ეძარტლები მიძქრალ სახეებს,  
შემოდგომისა მზეო მზიანო,  
რისთვის მაგონებ გადამწკარ დღეებს,  
**მწუხარე forte, ნელო Piano?...**

.....  
დღე დღეებს მისღევს და დროს დროება,  
**დღევ ლილიანო, ცაჲ ლილიანო,**  
რად მომიკალი სარწმუნოება  
**მწუხარე forte, ნელო Piano?...**

(„უსათაურო“)

\*

„...ლაჲუარდ ცაზე დღეა თეთრი კრავეების,  
დასავლეთის კარი ჩატყდა ზმორებით,  
**უნაზესი ისმის ზმა საკრავეების,**  
ბაღებს იქით, სადღაც, გადაშორებით...

.....  
იყო ომი, იყო ცეცხლის დროება,  
ლოდინია ეხლა და მეუღროება,  
**ციდან მთებზე ეშვებიან კრავეები,**  
**დაღალული წყდება ზმა საკრავეების“.**

(„ლაჲუარდ ცაზე დღეა თეთრი კრავეების“)

\*

„კარდების ფენით ტრიალებს ჟინი,  
მთვრალი ვარ შენით, მთვრალია ლხინი.  
ოცნებას შეენი, ვარ თვალნი შენი,  
**შოჰენი, ვერდი და პაგანინი.**

პოეტის ახლოს გედება ალი,  
იგი, უსახლო, გიცქერის მერთალი,  
მთვრალია ყოფნით, მთვრალია ცეცხლით  
და მაინც ღვინით ჰგონიათ მთვრალი“.

(„მთვრალია ყოფნით, მთვრალია ცეცხლით“)

\*

.....  
„ვევლა სახელებში მხოლოდ **რუსთაველი**  
იხსნის განსაცდელით მრავალ საუკუნეს,  
იგი უძღვევია და შზის ის თაველი,  
რომელს მონობისთვის გზა ვერ გაუღუნეს.  
**დანტე** უკვდავებში არა მეთაუა,  
მაგრამ დიდებაა მერთალი ბეატრიჩე, —  
ბავშვის მეოცნებე სახეც დიადია,  
რომელს შეუყვარდა ერთჯერ, მეთექვრ.  
შენი, შოტლანდია, სული სრულხმოვანი,  
ბარდნი რომ გეხვივნენ უუნაირონი,  
მეფურ უგონობით, ახლაც ის ლანდია  
უფრო უმაღლესნი — **შელლი, ბაირონი**.  
ბევრი ვვავილია, ბევრი ფოთლებია,  
ხან მხურვალე, ხანაც უუნოტიესი.  
იგი **ვერლენია**, იგი **ბოდლერი**,  
**რემბოს** ლექსებია, ანდა **გოტიესი**.  
იყო **ჰაფიზიცა** და იქ, შირაზიდან,  
რათა აღმოსავლეთს არე დაუფაროს,  
მაგრამ შავი ყორნის სუნთქვა ვინ აზიდა?  
ეს ხომ იგი არის... **ედგარს** გაუძარჯოს!“

.....  
(„კოსმიური ორკესტრი“)

\*

„თქვენს მშობლიურ საეანეს დაარქვით პიძოდანი,  
იგი მარად ფერობდა **დეღაროშის** ფერებით.  
ჩვენ ნათელი გველოდა არა მცირეოდენი,  
არამცირეოდენი დაფნით და დაფერებით.

.....

ბელნიერი იგი დრო, ახლა უფრო ანკარა.  
თვითეულში ელავდა **ბრეუმელი და ლოზენი**.  
ნეტავი სად არიან ყველა ეს უანგარო  
პოეტები, მხატვრები, **ქალნი მომიმოზენი?**

ახლა კი გზა ეკლებზე უფრო უეკლესია,  
არავისთვის არ არის სული უფრო ნათელი.  
ახლა მარტოდ მარტო ვარ, როგორც მთის ეკლესია  
და საკედავად მიღიმის ჩამავალი ნათელი“

(„გოტიეს“)

\*

„ტირიფი ტირის მდინარის პირის  
და თავის გმირის თავგადასავალს.  
აქ მრავლობითი იდგა კოპიტე  
მარადყოფითი შრიალით სავსე,  
ფერმკრთალი მუზა, შემკრთალი მუზა,  
ნამღვილი მუზა **დე მიუსსესი**,  
ტირის, რომ დღემდე, მიუსსეს შემდეგ...  
ოცნებავ შესდექ! აი, მიზეზი“

.....

(„ტირიფი“ დარგული  
ალფრედ დე მიუსსეს სამარესთან)



\*

*„კენესის ვოლტორნი, სადღაცა ტირის ვიოლონჩელი,  
ვიყავით ორნი იქ, საღაც ირისს იგრძნობდა ძველი  
რაშელი, შელი.*

*მოცურავს ბინდი მდინარის პირის ნაზი და ნელი“.  
მე აღარ მინდა დღეები წმინდა, ვიცო, რას ტირის  
ვიოლონჩელი.*

*ქროლვანი შორნი, ღამის გულ-ძვირის ფიქრები ძველი...  
ტირის ვოლტორნი, დაკარგულ გმირის, იმედებს ტირის  
ვიოლონჩელი“.*

(„კენესის ვოლტორნი“)

\*

*„ტოტებს ქარისას გადაჰყვა მარტი,  
თეთრ ტანსაცმელში მე მოვირთვები  
და წავალ ქარში, როგორც მოცარტი,  
გულში სიმღერის მსუბუქ ზვირთებით...“*

.....  
*ჩვენ გვირგვინები გვაქვს ოღნავ მსგავსი,  
ღამაზი შუქთა მარადი ნთებით:  
მე — მსუბუქ დაფნის ფოთლებით სავსე,  
მეინვარს — უმძიმეს იავუნდებით“.*

(„შერიგება“)

ჩემი სტატიის შემდეგი, დასკვნითი ნაწილი ისევ ირაკლი აბაშიძის გალაკტიონისადმი მიძღვნილი ოციდან ერთი ლექსით მინდა დავიწყო:

*„ახლა შენს სახლთან მღერის მიწა,  
მზე და დარია.*

მიწა ქართული უმუსიკოდ  
ცოცხალ-მკვდარია.  
ახლა შენს სახლთან ძღერის სიტყვა,  
ვით ნაკადული.  
ცას ვერ იხილავს უმუსიკოდ  
სიტყვა ქართული.  
არის უკვდავი ეს სიმართლე,  
ეს სიქადული —  
ცოცხალ-მკვდარია უმუსიკოდ  
ლექსი ქართული“

(„უმუსიკოდ“)



მუსიკაცაა და მუსიკაც... გალაკტიონის მთელი პოეზია ხომ დასრულებული სიმფონიაა, განსაცვიფრებელი და ამოუცნობი სულის მიერ შექმნილი, სადაც თვითონ გალაკტიონია ის, რასაც (კიდევ ერთხელ გავიმეორებ!) ვაგნერის მიმართ ამბობს, ანუ — „დისონანსების მშვენიერებად შემქმნელი“.

ოღონდ „პოსტ სკრიპტუმამდე“, ისე ვერ წავალ თქვენგან, რომ გალაკტიონის ერთადერთი, ამოუწურავი, ამოუშრობი, ჩვეულებრიობის მიღმა არსებული, ჩემი სმენის დამატკბობელი მუსიკა ღღეს თქვენადაც არ ვაქციო! თქვენს გარდაქმნას ვლამობ ჩემ თანამოაზრეებად, ჩემი გემოვნების მეწილეებად, თორემ ისე... დასაწყისშივე მოგახსენეთ, რომ **ვევლას ჩვენ-ჩვენი გალაკტიონი გვყავს.**

ჩემი (და ჩვენიც, იმედია!) გალაკტიონი კი, აი, ეს არის:

*„ხომალდს მიჰყვება თოვლის მადონა  
და ყვაეილები გიიადონა  
შენთვის გაეკრა ჯვარზე იესო,  
სულო, ჭაობზე უნოტიესო!  
იდუმალია ჩვენი სერობა  
და ღამეების აღმაცერობა,  
რომ ოცნებები ცეცხლით გაღესო,  
სულო, იმ ცეცხლზე უმხურვალესო!  
ღღეთა სინაზეს ედება კორძი...  
ესე არს სისხლი, ესე არს ხორცი!  
და იდუმალი ლოცვა ბაგისა,  
სულო, ლაჟვარდზე უსპეტაკესო!  
ვასკვლავი იგი — ფიქრთა საგანი  
ერთი უმრავლეს ვარსკვლავთაგანი,  
აელვარდება ცაზე ოდესმე,  
სულო, დემონზე უბოროტესო!“*

(„უსათაურო“)

\*

სარკოფაგიდან დგება მუძია, რა სიჩუმეა.  
 პერი ლურჯი აბრეშუძია.  
 ორქიდეები ეცემა ნილოსს, როს მხურვალეა  
 ქვიშაზე კენესის,  
 უნდა რომ სული არ მიისილოს, უნდა სამარე  
 კპოვოს რამზესის.  
 ის იყო მეფე, ეზლაა მტვერი, რომ საუკუნეთ  
 რიგი გარიოს,  
 არ შეუძლია ივოს პირფერი, არ შეუძლია  
 მტვერი არ ივოს...  
 და საუკუნეთ რიგს თვლის მუძია: მზიანი დღეა,  
 თუ სამუძია.

(„სასაფლანი“)

\*

„დგება თეთრი დღეები, რიდეების სეზონი,  
**გაჩნენ ორქიდეები ყოვლად უმიზეზონი.**  
 ლაქვარდების კიდეო, დაბურულო ზმანებით,  
 ლურჯო მონტევიდეო, ვიწრო ხელთათმანებით;  
 სულში ნისლის ტბებია და ქაოსის მხატვარი,  
 საღაც კელარ თბებიან ფრთები ნამკათათვარი“.

(„უსათაურო“)

\*

„ორთქლმავალი სტვენს, შენ კითხულობ ტვენს.  
 გადააგლე ის, გაიხელე წინ!  
 ბუჩქს შარფივით ბოლს ორთქლმავალი ჰვენს  
 და გაისძის თან: რა-რა-რა-რა ძინ!“

ასწლოვანი ხე გაუბია მეხს,  
 ქორი მიაქვს ქარს, რაღაც მიაქვს ქორს,  
 შეგვიძლია ჩვენ, გზაზე გავევით ვლევს —  
 მის ზრუნვას და ფიქრს — უბოლოოდ შორს“

(„მატარებელში“)

\*

„თოვლი იყო ირიბი, აღმაცერი,  
 დიკენსის გმირივით ცეცხლთან ჩაფიქრება.  
 ელვარებს ღუმელი. ვფიქრობ,  
 საცაა ცეცხლიც ჩამიქრება.  
 გაიღო ფანჯარა: თოვლი იყო ირიბი, აღმაცერი.  
 იფანტება თეთრი ფიქრები, იფერფლება ხელნაწერი...  
 ნუ ჩამიქრები! და იქაც, შიგნით, სულში...  
 თოვლი იყო ირიბი, აღმაცერი...“

(„თოვლი იყო ირიბი, აღმაცერი“)

\*

„ამაოა მთლად ცხოვრება, დრტვიინვის წუთისოფელია,  
 წადი... წადი მონასტერში, მონასტერში, ოფელია!  
 ტკბილი ნანა სულს უთხარი, უბედობა ხატს აჩვენე,  
 დამაშვრალი სული, გული მონასტერში მოასვენე!  
 მაშ, შორს მტვერი, შორს, შორს მიწა!  
 ის ცის უარმყოფელია...  
 წადი, წადი მონასტერში, მონასტერში ოფელია!“

(„ჰამლეტის ქნართ“)

\*

.....  
*„ცა ისეა მოწმენდილი, ცა ისეა შეუძკრთალი  
 რომ ანგელოზს დაინახავს მოდარაჯე კაცის თვალი...“*

.....  
*ვღვევარ მთაზე და სიჩუმის იღუმალი მესმის ენა,  
 და მიტაცებს სწრაფი ფრთებით პოეტური აღმაფრენა“...“*

(„გურიის მთები“)

\*

*„ქალაქში, მტვერში წაიქცა ბავშვი  
 ნუკრის თვალებით, თმით — მიმოზებით,  
 და მწუხარების ძაღვ ნიაგში  
 მოფრინდნენ ლურჯი ანგელოზები.  
 შეშლილი სახით კიოდა ქუჩა,  
 შორს კი მზე ღარჩა და მშობლის კერა!  
 მზეზე ევაოდა სოფლად ალუჩა,  
 და გაისძოდა დების სიმღერა“.*

(„ი.ა.“)

\*

*„ვიგონებ რა იმ მიქელ-ანჯელოს  
 არაა ძნელი მთების დადნობა,  
 რომ ციკარისკენ მაღალ ანგელოზს  
 ესაფეხუროს ლალის ტატნობი.  
 ვერ შეამჩნიეს მზეთა ტიტანი —  
 ახალი დროის დიდი მესია,  
 მეღვარი მხრებით რომ აიტანა  
 მთაზე დიდება და პოეზია“.*

(„ვიგონებ რა იმ მიქელ-ანჯელოს“)

\*

„რა ამოდრავებს კიპარისის ტანს,  
 ჩუმი შრიალი საიდან არი?  
**ქარი არა ჩანს, ქარი არა ჩანს,**  
**მაინც მწვერვალებს ედება ქარი.**  
 დუმილი გახდა ვიწრო გალია,  
 დაუძინარი და უჩინარი,  
 მხოლოდ იმიტომ, რომ მაღალია,  
 მარად და მარად ტყდება ჩინარი.  
**როგორც ჩინარი — ისე პოეტი,**  
**მისთვის სიმაღლე არის წამება,**  
 არა ღიმილით და ალოეთი  
 დაფარავს მტერთა ცილისწამება.  
 ის მაღალია, დიდია მაინც!  
**მისთვის მოისმის ზარების ზარი:**  
 ქარი არა ჩანს, ქარი არა ჩანს,  
 მაინც მწვერვალებს ედება ქარი...“

.....

(„ისევ ეფეპერა“)

\*

„ცკრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა  
 არ გავიარე — რაა მამული?!  
 წინაპართაგან წავიდა ყველა,  
 სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიაძული.  
 გაშლა ველი ნელმა ნიავემა,  
 და მელანდება მე მის წიაღში  
 მოხუცი მამა, მოხუცი მამა  
 სასხლავით ხელში დაღის ვენახში.“

აქ თითო ლერწი და თითო ყლორტი  
 მასზე ოცნებას დაემგვანება!  
 ისევ ამწვანდა მღელღო და კორდი!  
 დაკდივარ... ეწუხვარ და მენანება!“

(„მამული“)

\*

**„როგორც ნისლის ნამქერი, ჩამავალ მზით ნაფერი,**  
 ელვარებდა ნაპირი სამუდამო მხარეში!  
 არ ჩანდა შენაპირი, ვერ ვნახე ვერაფერი,  
 ცივ და მიუსაფარი მღუმარების გარეშე.  
 მღუმარების გარეშე და სიცივის თარეშში  
 სამუდამო მხარეში მხოლოდ სიმწუხარეა!  
 ცეცხლი არ კრთის თვალებში, წევხარ ცივ სამარეში,  
 წევხარ ცივ სამარეში და არც სულს უხარია.  
 შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებით  
 უსულღგმულო დღეები რბიან, მიიჩქარიან!  
 სიზმარიან ჩვენებით — ჩემი ლურჯა ცხენებით  
 ჩემთან მოესვენებით! ყველანი აქ არიან!  
 იჩქარიან წამები, მე კი არ მენანება:  
 ცრემლით არ ინამება სამუდამო ბალიში;  
 გაქრა ვნება-წამება, როგორც ღამის ზმანება,  
 ვით სულის ხმოვანება ლოცვის სიმზურვალეში.  
 ვით ცეცხლის ხეტიალი, როგორც ბედის ტრიალი,  
 ჩქარი გრგვინვა-გრიალით ჰქრიან ლურჯა ცხენები!  
 ყვავილნი არ არიან, არც შვება-სიზმარია!  
 ეხლა კი სამარეა შენი განსასვენები!  
 რომელი სცნობს შენს სახეს, ან ვინ იტყვის შენს სახელს?  
 ვინ გაიგებს შენს ძახილს, ძახილს ვინ დაიჯერებს?



ვერავენ განუგეშებს საოცრების უბეში,  
 სძინავთ ბნელ ზეულებში გამოუცნობ ქიძვრებს!  
 მხოლოდ შუქთა კამარა ვერაფერმა დაფარა:  
 მშრალ რიც ხეების ამარა უღაბნოში დღელდება!  
 შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებით  
 უსულდგმულო დღეები ჩნდება და ქვესკნელდება.  
 მხოლოდ ნისლის თარეშში, სამუდამო მხარეში,  
 ზევით, თუ სამარეში, წყევლით შენაჩვენები,  
 როგორც ზღვის ხეტიალი, როგორც ბედის ტრიალი,  
 ჩქარი გრვკინვა-გრიალით ქრიან ლურჯა ცხენები!“

(„ლურჯა ცხენები“)

\*

„ზოგს ჩაის ვარდი, ზოგს კინოვარი,  
 ზოგს ოქროძკედით მონაქსოვარი,  
 სურათი რაბე კარგზე მგლოვარი,  
 ყველას რაიმე აქვს სახსოვარი.  
 ბარათი, სისხლის ცრემლ-ნატბოვარი,  
 ბეჭედი, ძვირფას ალთა მთოვარი,  
 საყურე, ტკბილი ჩრდილის მთხოვარი —  
 ყველას რაიმე აქვს სახსოვარი.  
 თმა, როგორც განძი ძნელ საშოვარი,  
 წიგნი რამ — ომით მონაპოვარი,  
 საფერფლე მამის დანატოვარი —  
 ყველას რაიმე აქვს სახსოვარი.  
 სამშობლოვ, მარად მსასოვარი,  
 პა, ჩემი ჩანგი სწორუპოვარი,  
 პა, ჩემი გულიც, რადგან მეზოვარი —  
 ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“.

(„ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“)

\*

„მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის  
 ქალწულებივით ხიდიდან ფენა,  
**მწუხარე გრძნობა ცივი სისოვლის  
 და სიყვარულის ასე მოთმენა.**  
 ძვირფასო, სული მევსება თოვლით:  
 დღეები რბიან და მე ვბერდები!  
 ჩემს სამშობლოში მე მოვევლე მხოლოდ  
 უდაბნო ლურჯად ნახვერდები.  
 ოჰ! ასეთია ჩემი ცხოვრება:  
 იანვარს მოძმედ არ ვეძნელები,  
 მაგრამ მე მუდამ მემახსოვრება  
 შენი თოვლივით მკრთალი ხელები.  
 ძვირფასო! ვხედავ... ვხედავ შენს ხელებს,  
 უღონოდ დახრილს თოვლთა დაფნაში.  
 იელვებს, ქრება და კვლავ იელვებს  
 შენი მანდილი ამ უდაბნოში...  
 ამიტომ მიყვარს იისფერ თოვლის  
 ჩვენი მდინარის ხიდიდან ფენა,  
**მწუხარე გრძნობა ქროლის, მიმოვლის  
 და ზამბახების წყებად დაწვენა.**  
 თოვს! ასეთი დღის ხარებამ ლურჯი  
 და დაღალული სიზმრით დამთოვა.  
 როგორმე ზამთარს თუ გადავურჩი,  
 როგორმე ქარმა თუ მიმატოვა!  
 არის გზა, არის ნელი თამაში.....  
 და შენ მიდიხარ მარტო, სულ მარტო!  
 მე თოვლი მიყვარს, როგორც შენს ხმაში  
 ერთ ღროს ფარული დარდი მიყვარდა!

მიყვარდა მაშინ, მათრობდა მაშინ  
 მშვიდი დღეების თეთრი ბროლები,  
 მინდვრის ფოთლები შენს დაშლილ თმაში  
 და თმების ქარით გამოქროლება.  
 მომწყურდი ახლა, ისე მომწყურდი,  
 ვით უბინაოს ყოფნა ბინაში...  
 თეთრი ტყეების მიმყვება გუნდი  
 და კვლავ მარტო ვარ მე ჩემს წინაშე.  
 თოვს! ამნაირ დღის ხარებამ ლურჯი  
 და დაღალული ფიფქით დამთოვა.  
 როგორმე ზამთარს თუ გადავურჩი!  
 როგორმე ქარმა თუ მიმატოვა!“

(„თოვლი“)

\*

„საქართველოში შენ ერთი მაინც  
 არ იტყვი, როგორც იტყვიან სხვები,  
 შეგებრალება თვითონ კაენიც —  
 თუ კი პოეტის ჰქვია სახელი.  
 ოჰ, ჩემი სული ბევრს დაიმონებს,  
 მეგობრები კი არ მეყვარება —  
 სხვაგვარ თიბათვის დღეებს იგონებს  
 ჩამავალ მხეთა მგლოვიარება.  
 ვიგზავნი ამ წიგნს... როგორც ოდესმე  
 მომქონდა შენთან წიგნი პირველი,  
 შენმა ღიმილმა უბოროტესმა  
 დაინდოს წიგნი და შემწირველი“.

(„შენ ერთი მაინც“)

\*

„დედაო ღვთისაჲ, მზერო მარიაჲ!  
 როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი,  
 ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია  
 და შორეული ცის სილაჲფარდე.  
 შემოიღამებს მთის ნაპრალები  
 და თუ როგორმე ისევ გათენდა —  
 ღამე-ნათევი და ნამთვრალევი,  
 დაღლილ ქალივით მივალ ხატებთან!  
 ღამე-ნათევი და ნამთვრალევი  
 მე მივეყრდნობი სალოცავ კარებს,  
 შემოიჭრება სიონში სხივი  
 და თეთრ ოლარებს ააელვარებს.  
 და მაშინ ვიტყვი: აჰა! მოვედი  
 გედი დაჭრილი ოცნების ბაღით!  
 შეხედე! დასტები ყმაწვილურ ბედის  
 დაღლილ ხელებით, წამებულ სახით!  
 შეხედე, დასტები! ჩემი თვალები  
 წინათ რომ ფეთქდნენ ცვრებით, იებით, —  
 ღამენათევი და ნამთვრალევი  
 სავსეა ცრემლთა შურისძიებით!  
 დასტები! ასეა ყველა მგოსნები?  
 შენს მოლოდინში ასეა ყველა?  
 სული, ვედრებით განაოცები,  
 შენს ფერხთ ქვეშ კვდება, როგორც პეპელა.  
 სად არის ჩემთვის სამაგიერო?  
 საბედნიერო სად არის სული?  
 ვით სამოთხიდან აღვივიერი,  
 მე ჯოჯოხეთით ვარ დაფარული!  
 და როცა ბედით დაწვეკელილ გზაზე

სიკვდილის ლანდი მომეჩვენება,  
 განსასვენებელ ზიარებაზე  
 ჩემთან არ მოვა შენი ხსენება!  
**დავიკრეფ ხელებს და გრიგალივით**  
**გამაქანებენ სწრაფი ცხენები!**  
**ღამენათუვი და ნამთვრალევი**  
**ჩემს სამარეში ჩავესვენები.**  
 დედაო ღვთისავ, შვეო მარიამ!  
 როგორც ნაწვიმარ სილაში ვარდი,  
 ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია  
 და შორეული ცის სილაჟუვარდე!“

(„სილაჟუვარდე, ანუ ვარდი სილაში“)

\*

.....  
 „რამდენი ქარავენი, მთებზე გადამართული,  
 გაიშლება მცნობელი მღვრიე უდაბნოეთის,  
**წვეთი სისხლის არ არის ჩემში არაქართული,**  
**ძაფი ნერვის არ არის ჩემში არაპოეტის...**  
**ო, უბრალო ხმებისთვის არასდროს არ მეცალა,**  
 დაისერა მსოფლიო გამოუცნობ წელულებით.  
 კოშკებს სიზმარეთისას ნისლი გადაეცალა  
 და იქ მიექანება სული განწირულებით...“

(„ეფემერა“)

\*

„შენ ჯვარს იწერდი, იმ ღამეს მერი!  
 მერი, იმ ღამეს მაგ თვალთა კვდომა,  
 სანდომიან ცის ელეა და ფერი  
 მწუხარე იყო, ვით შექმოდგომა!“

აფეთქებული და მოცახცახე  
 იწვოდა ნათელ ალთა კრებული,  
 მაგრამ სანთლებზე უფრო ეგ სახე  
 იყო იღუმალ გაფითრებული.  
 იწვოდა ტაძრის გუმბათი, კალთა,  
 ვარდთა დიოდა ნელი სურნელი,  
 მაგრამ ლოღინით დაღალულ ქალთა  
 სხვა არის ლოცვა განუკურნელი.  
 მესმოდა შენი უკონო ფიცი...  
 მერი, ძვირფასო! დღესაც არ მჯერა...  
 ვიცი წამება, მაგრამ არ ვიცი,  
 ეს გლოვა იყო თუ ჯვარისწერა?  
 ლოდებთან ვიღაც მწარედ გოდებდა  
 და ბეჭდების თვლებს ქარში კარგავდა...  
 იყო ობლობა და შეცოდება,  
 დღესასწაულს კი ის დღე არ ჰგავდა.  
 ტაძრიდან გასულს ნაბიჯი ჩქარი  
 სად მატარებდა? ხედვა მიმძიმდა!  
 ქუჩაში მძაფრი დაჰქროდა ქარი  
 და განუწყვეტლად წვიმდა და წვიმდა.  
 ნაბადი ტანზე შემოვიხვიე,  
 თავი მივანდე ფიქრს შეუწყვეტელს;  
 ოჰ! შენი სახლი! მე სახლთან იქვე  
 ღონე-მიხდილი მივაწექ კედელს.  
**ასე მწუხარე ვიდექი დიდხანს**  
**და ჩემს წინ შავი, სწორი ვერხვები**  
**აშრილებდნენ ფოთლებს ბნელხმიანს,**  
**როგორც გაფრენილ არწივის ფრთები.**  
**და შრილებდა ტოტი ვერხვისა,**  
**რაზე — ვინ იცის! ვინ იცის, მერი!**

*ბედი, რომელიც მე არ მელირსა, —  
 ქარს მიჰყვებოდა, როგორც ნამქერი.  
 ვთქვი: უეცარი გასხვიოსნება  
 რად ჩაქრა ასე? ვის ევეკდრები?  
 რად აშრიალდა ჩემი ოცნება,  
 როგორც გაფრენილ არწივის ფრთები?  
 ან ცას ღიმილით რად გავცქეროდი,  
 ან რად ვიჭერდი შუქს მოკამკამეს?  
 ან „მესაფლავეს“ რისთვის ვძღეროდი,  
 ან ვინ ისმენდა ჩემს „მე და ღამეს“?  
 ქარი და წვიმის წვეთები ხშირი  
 წყდებოდნენ, როგორც მწყდებოდა გული,  
 და მე ავტირდი, ვით მეფე ღირი,  
 ღირი, ყველასგან მიტოვებული“.*

(„მერი“)

აი, ერთად მივედით „პოსტ სკრიპტუმთან“, — გალაკტიონის გამოტანჯული სულის ამონათქვამთან. ეს სევდაა და კაეშანი:

**„P.S.**

*გულო ჩემო მღელვარევე,  
 სულო ჩემო მყივარო —  
 ერთი ღლეც არ გქონიათ  
 მშვიდი, უსატყივარო!“*

მსხვერპლის გარეშე მართლაც არ არსებობს ამაღლება! საგულედან ჩვენი ამოფართქალებული გულების საგულეში ჩასამყუდროებლადაც ისევ ერთადერთმა და გამონაკლისმა, გენიოსმა და ამოუხსნელმა, ქართული პოეტური სულის ჯერარსმენილი სიმფონიის ამჟღერებელმა, ჩემმა და თქვენმა გალაკტიონმა იზრუნა:

„მიდიხარ... ისე მიგაქვს წვალება,  
 თითქოს ზღვის კარად თივას თიბავდე,  
**ვინა თქვა შენი გარდაცვალება?**  
**არა, სწორედ დღეს შენ დაიბადე!**  
 მიდიხარ... აღარ დაგემდურება  
 არც მიწიერი, არც ზეციერი,  
 ვინა თქვა შენი უბელურება?  
 არა, სწორედ დღეს ხარ ბედნიერი!  
 მიდიხარ... ტკბილი გქონდეს მგზავრობა,  
 სხვა ბინა მარად იყო ზღაპარი.  
**ვინა თქვა შენი მიუსაფრობა?**  
**არა, შენ ჰპოვე თავშესაფარი!**  
 მიდიხარ... შენს ბელს ბევრი ინატრებს  
 მშვენიერს, ბელი სხვა არსად არი,  
 შენ სივრცეებმა დაგაბინადრეს —  
 შენ — უკვლავების ხარ ბინადარი!“

2012 წ.



**სარეკომენდაციო ლიტერატურის ნუსხა:**

1. დავით აღმაშენებელი. გალობანი სინანულისანი, თბ., 1989.
2. აკაკი ბაქრაძე. მწერლობის მოთვინიერება. თბ., 1990.
3. ზურაბ კაკაბაძე. ადამიანი როგორც ფილოსოფიური პრობლემა. თბ., 1987.
4. ერნსტ კასირერი. რა არის ადამიანი, თბ., 1983.
5. ედუარდ კოლუა. ეგზისტენციალიზმი ფილოსოფიის არსების შესახებ. თბ., 1984.
6. გურამ ლებანიძე. სიღრმეთა დიალოგი და “ტრაგიკული ტრიადა”. თბ., 2006.
7. მერაბ მამარდაშვილი. საუბრები ფილოსოფიაზე. თბ., 1992.
8. პლატონი. იონი, დიდი ჰიპია, მენონი. თბ., 1974.
9. ოთარ ტაბიძე. შემოქმედების არსი. თბ., 1980.
10. აკაკი შანიძე. ეტლთა და შვიდთა მნათობთათვის. თბ., 1975.
11. შედევრები, 1. თბ. 1994.
12. ავთანდილ ძამაშვილი, ლალი გვასალია, ვანო ჭიაურელი. კულტუროლოგია. თბ., 1999, 2004.
13. ილია ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული 10 ტომად. ტ. 3. თბ., 1958.
14. გიორგი ჯიბლაძე. ხელოვნება და სინამდვილე, ტ. I. თბ., 1955.
15. Аристотель. Этика Никомаха, кн. IV, §14. СПб, 1909.
16. Бахтин М.М. Философия поступка. В: «Философия и социология». Ежегодник. – М., 1984-1985.
17. Борев Ю.Б. Комическое. М., 1970.
18. Гегель Г.В.Ф. Лекции по эстетике, кн. II, Сочинения, т. 13. М., 1940.
19. Герцен А.И. Собр. соч. в 30-и томах, т. 13. М., 1958.
20. Гоголь Н.В. Сочинения. М., 1952.
21. Гольдентрихт С.С. О природе эстетического творчества. М., 1977.

22. Гуральник У.А. Смех – оружие сильных. М., 1961.
23. Гуревич П.С. Философия культуры. М., 1994.
24. Данилевский Н.Я. Россия и Европа. М., 1991.
25. Есенин С. Собрание сочинения. В 5-ти томах. Т. 1. М., 1994.
26. Каган М.С. Морфология искусства. Л.-М., 1972.
27. Каган М.С., Холостова Т.В. Культура-Философия-Искусство. Диалог. М., 1988.
28. Кант И. Сочинения в 6-и томах. М., 1963-1966.
29. Мамардашвили М. Наука и культура. В кн.: Методологические проблемы историко-научных исследований. М., 1982.
30. Мольер Ж.Б. Собр. соч. М., 1957.
31. Петров М.К. Язык, знак, культура. М., 1991.
32. Соколов Э.В. Культурология. М., 1994.
33. Сорокин П.А. Человек, цивилизация, общество. М., 1992.
34. Софронов Б. В. Эстетическое сознание и духовный мир личности. М., 1984.
35. Тавризян Г.М., Шпенглер О., Й Хейзинга. Две концепции кризиса культуры. М., 1989.
36. Тойнби А. Дж. Цивилизация перед судом истории. М., СПб., 1985.
37. Фрейд З. Тотем и табу. М., 1992.
38. Фромм Э. Бегство от свободы. М., 1995.
39. Шпенглер О. Закат Европы. Очерки мифологии мировой культуры. Т. 1. М., 1993.
40. Чавчавадзе Н.З. Культура и ценности. Тбилиси, 1984.
41. Heinrich Heine. Das Glück auf Erden. М., 1980.

## ცოტა რამ ფიზნის ავტორზე

ლალი გვასალა დაიბადა ქუთაისში. სწავლობდა ქუთაისის რკინიგზის მე-12 საშუალო სკოლაში; პარალელურად — მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ქუთაისის პირველ მუსიკალურ სასწავლებელში, საფორტეპიანო განყოფილებაზე. ორივე სასწავლებელი დაამთავრა წარჩინებით და პირველივე წელს გახდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის სპეციალობის სტუდენტი. მას წილად ხვდა ბედნიერება, მისაღებ გამოცდებზე აკადემიკოს აკაკი შანიძისათვის ჩაებარებინა გამოცდა ქართული ენის გრამატიკაში, მიეღო შეფასება „ფრიადი“ და ბატონი აკაკის შექებაც დაემსახურებინა.

ლალიმ წარჩინებით დაამთავრა უნივერსიტეტი და მიიღო რეკომენდაცია ასპირანტურაში სწავლის გასაგრძელებლად. მისაღებ გამოცდებზე აღმოჩნდა ოთხ კონკურენტთან ერთად. ლალიმ სძლია ოთხივეს და გახდა ფილოსოფიის ფაკულტეტის ესთეტიკის კათედრის ასპირანტი (ხელმძღვანელი — აკადემიკოსი გიორგი ჯიბლაძე). მას ისევ წილად ხვდა ბედნიერება, ასპირანტურის წლებში მოესმინა ქართული ფილოსოფიური აზროვნების საყოველთაოდ სახელგანთქმული წარმომადგენლების: კოტე ბაქრაძის, ზურაბ კაკაბაძის, ნიკო ჭავჭავაძის, მერი ჭვლიძის, თამაზ ბუაჩიძის, არჩილ ბეგიაშვილის, შოთა გაბილაიას, ედუარდ კოდუას, გურამ თევზაძის, მერაბ მამარდაშვილის, ვახტანგ ჭვლიძის ლექციები (ბატონი მერაბ მამარდაშვილი იმ საღისურთააციო საბჭოს წევრიც გახლდათ, რომელზეც დაიცვა ქალბატონმა ლალიმ საკანდიდატო დისერტაცია).

უკანასკნელი წლის ასპირანტმა, ქალბატონმა ლალიმ მუშაობა დაიწყო თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოსოფიის კათედრის უფროს მასწავლებლად.



**აკადემიკოსი აკაკი შანიძე და პირველკურსელი ლალი გვასალია**

ამავე დროს დაინიშნა სამეცნიერო საბჭოს სწავლულ მდივნად. პარალელურად სწავლობდა და წარმატებით დაამთავრა უცხო ენათა ინსტიტუტის გერმანული ენის ფაკულტეტი და მიენიჭა გერმანული ენის მასწავლებლის კვალიფიკაცია.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მიმნიჭებელ სპეციალიზებულ საბჭოზე დისერტაციის წარმატებით დაცვის შემდეგ ქალბატონმა ლალი გვასალიამ მიიღო ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი და ცოტა ხანში — დოცენტის სამეცნიერო წოდება.

ბელორუსიის დედაქალაქ მინსკში, ბელორუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ საზოგადოებრივ მეცნიერებათა პროფესორ-მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტში ორჯერ, — 1979 და 1985 წლებში დიდი წარმატებით

შეასრულა მისთვის დადგენილი სამუშაო როგორც სასწავლო, ასევე სამეცნიერო ნაწილში და ორივეჯერ დაიმსახურა ამ ინსტიტუტის ხელმძღვანელობის მადლობა, რაც ოფიციალურად ეცნობა თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორს თხოვნით, რომ ამის შესახებ ინფორმაცია მიწოდებოდა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს.

ქალბატონ ლალი გვასალიას ორჯერვე გამოეცხადა მადლობა პირად საქმეში შეტანით.

1998 წლის 1 სექტემბერს, უცხო ენათა ინსტიტუტის დაარსების 50-ე წლისთავთან დაკავშირებით, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით (№559), — სტუდენტი-ახალგაზრდობის აღზრდა-განათლებაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, ნაყოფიერი პედაგოგიური, სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ქალბატონ ლალი გვასალიას გამოეცხადა პრეზიდენტის მადლობა (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1998 წ. 6-7 სექტემბერი).

ქალბატონი ლალი გვასალია 1973 წლის ივლისიდან საბჭოთა კავშირის დაშლამდე იყო სსრკ-ს ჟურნალისტთა კავშირის წევრი. ამჟამად არის საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი. 1975 წლიდან 1980 წლამდე იგი იყო საქართველოს რაგბის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი ერთად-ერთი ქალბატონი.

2001 წლის 22 სექტემბრიდან ქალბატონი ლალი გვასალია ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენათმეცნიერებისა და კულტუროლოგიის კათედრის პროფესორია, ხოლო 2006 წლის 27 ივნისიდან, კონკურსის გავლის შემდეგ, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტუროლოგიის მიმართულების პროფესორი.

2004 წლიდან 2006 წლის ივლისამდე ქალბატონი ლალი საღისერტაციო საბჭოს — P10.01№1 სწავლული მდივნის მოვალეობასაც ითავსებდა.



**აკადემიკოსი გიორგი ჯობლაძე და ასპირანტი ლალი გვასალია**

ქალბატონი ლალი გვასალია არის კულტუროლოგიის პირველი ქართული სახელმძღვანელოს ავტორი პროფესორ ა. ძამაშვილთან და პროფესორ ვ. ჭიაურელთან ერთად (1999 წ. I გამოცემა, 2004 წ. II გამოცემა). იგი არის მონოგრაფიების, სამეცნიერო სტატიების, დეპონირებული ნაშრომების ავტორი.

პროფესორი ლალი გვასალია მრავალი დისერტანტის ოპონენტი და აგრეთვე ფილოსოფიის, კულტუროლოგიის, ესთეტიკის, ხელოვნებისა და სპორტის (რაგბის) დარგში — წიგნების, სახელმძღვანელოებისა და მონოგრაფიების რედაქტორი და რეცენზენტი. იგი არაერთი საერთაშორისო სიმპოზიუმისა და კონფერენციის მონაწილე და მომხსენებელია. იმას გარდა, რომ ქალბატონი ლალი ჟურნალისტია, (სხვადასხვა დროს პრესაში გამოქვეყნებული საგაზეთო და საჟურნალო სტატიების, ნარკვევების, ფელეტონების ავტორი), — მწერალიცაა და, სტუდენტობისას ნოდარ დუმბაძის, ზაურ ბოლქვაძის, ოთარ სადრაძის, გიზო ნიშნიანიძის, გარი მეტრეველის, გივი სამსონაძის, გიგლა ფირცხალავას, ჯემალ ლოლუას, ნოდარ მალაზონიას და სხვათა უფაქიზესი ქართული იუმორის მასტერ-კლასებში გამოწრთობილს (პრაქტიკა გაიარა სატირულ-იუმორისტულ ჟურნალ „ნიანგში“), — გამოცემული აქვს იუმორისტული მოთხრობების კრებული — „რაფსოდია ტრომბონისათვის“ და წიგნში — „სიცილის სამყარო“, ქართული იუმორის „გრანდების“ გვერდით, მისი მოთხრობებიცაა დაბეჭდილი. სხვათა შორის, იმ დროს ძალიან პოპულარულ იუ-

მორისტულ რადიოგადაცემებში — „მხიარულ ტალღაზე“, ქალბატონი ლალის იუმორისტული მოთხრობები: „ჯადო“, „როგორც წავა ისე მოვა“, „ბენიამინო ჯილის დაღუპვა“ წაიკითხეს საქართველოს სახალხო არტისტებმა: მედეა ჩახავამ, ბადრი კობახიძემ და საქართველოს რადიოსა და ტელევიზიის დამსახურებულმა დიქტორმა — დავით სოკოლოვმა.

ქალბატონ ლალი გვასალიას ყავს მეუღლე — დავით თაქთაქიშვილი, — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის პროფესორი, წარსულში მორაგბე (ცენტრალური თავდამსხმელი №3), სპორტის ოსტატი, ღირსების ორდენის კავალერი. დავითმა 1973 წელს აქტიური სპორტი დატოვა, მაგრამ რაგბისთან კავშირი დღემდე არ გაუწყვეტია. 1975 წელს საქართველოს სპორტულ დელეგაციას ხელმძღვანელობდა ჩეხოსლოვაკიაში „პრადის გაზაფხულის“ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად. მაშინ ქართველმა მორაგბეებმა მთავარი პრიზი — ბროლის თასი მოიპოვეს. ასეთივე ტურნირს დავით თაქთაქიშვილი 1985 წელსაც ხელმძღვანელობდა. მაშინაც „შევარდენმა“ მთავარი პრიზი ჩამოიტანა თბილისში. 1980 წელს დავითმა იტალიაში, — რომში გამართულ „ფირას“ კონგრესის მუშაობაში მიიღო მონაწილეობა. იმავე წელს, იგი მაროკოში მიაველინეს, ქალაქ კასაბლანკაში იტალია-მაროკოს მატჩის მეთვალყურედ. 1991 წელს შეიქმნა საქართველოს ვეტერან მორაგბეთა კავშირი და დავით თაქთაქიშვილი დღემდე ამ ორგანიზაციის გენერალური მდივანია. სხვათაშორის, სწორედ ამ ცოლ-ქმარმა იზრუნა იმაზე, რომ საქართველოში რაგბის, როგორც სპორტის სახეობის წარმოშობა და მისი განვითარება დღევანდელ დღემდე, ქართული რაგბის ისტორიისათვის შემოენახათ. მათ გამოსცეს 3 წიგნი: „ქართული რაგბის სათავეებთან“ (ტომი I — 2000 წ., ტომი II — 2003 წ.) და „რაგბი — ცხოვრების წესი და ღირსება“ — 2006 წ. სამივე

წიგნის ავტორი დავით თაქთაქიშვილია, ხოლო რედაქტორი — ქალბატონი ლალი გვასალია.

ქალბატონი ლალი ორი შვილის დედაა და, რაც მთავარია, ერთადერთი (ჯერ-ჯერობით!) უსაყვარლესი შვილიშვილის — ლუკა (ლუკინო) თაქთაქიშვილის ბებია.

ქალბატონი ლალის უფროსი შვილი — ჩიორა თაქთაქიშვილი სწავლობდა თბილისის 57-ე საშუალო სკოლაში და პარალელურად — ევგენი მიქელაძის სახელობის მუსიკალურ სასწავლებელში საფორტეპიანო განყოფილებაზე. წარჩინებით დაამთავრა ამ სასწავლებლის კოლეჯი.

ჩიორამ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად იურიდიული განათლება ვეროპის ორი ქვეყნის, — საფრანგეთისა და იტალიის დედაქალაქებში — პარიზსა და რომში მიიღო. თსუ-ში ჩატარებული კონკურსის შედეგად, მან უფლება მოიპოვა ესწავლა პარიზში 1 წლის განმავლობაში, რის შემდეგაც, მაგისტრატურაში სწავლა ჩიორას საფრანგეთის მთავრობამ დაუფინანსა. საკონსტიტუციო სამართალს (პარიზის პარალელურად) ჩიორა რომში, ლა-საპიენცას უნივერსიტეტში დაეუფლა, რის შემდეგაც დაბრუნდა საქართველოში, დაამთავრა ი. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და შეუდგა შრომით საქმიანობას: იყო საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის თანაშემწე, სტუდენტთა თვითმმართველობის განვითარების ასოციაციაში — ფონდ „ევრაზიის“ პროექტის იურისტი, სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის სტაჟიორი-მკვლევარი, საფრანგეთის საელჩოს ატაშეს თანაშემწე (2003-04), საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის მრჩეველი (2002-04), აღ. დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრის პედაგოგი (2004); სტუ-ს მიწვეული ლექტორი; საქართველოს განათლების მინისტრის მრჩეველი, განა-



თლებისა და მეცნიერების სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი (2004-08), ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კონსულტანტი (2006-2008), თსუ-ს მიწვეული ლექტორი (2008).

2008 წლიდან ჩიორა თავთაქიშვილი საქართველოს პარლამენტისა და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრია, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე; განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის წევრი. არის საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრი, საქართველოს სტუდენტთა თვითმმართველობის განვითარების ასოციაციის დამფუძნებელი.

ჩიორას საზღვარგარეთ გამგზავრებამდე ფრანგმა რეჟისორმა ჟული ბერტუჩელიმ თბილისში გადაიღო ფილმი „რაც ოთარი წავიდა“. ამ ფილმის რეჟისორის თანაშემწე და თარჯიმანი იყო ჩიორა თავთაქიშვილი. ფილმი 2003 წელს გახდა კანის კინოფესტივალის „გრან პრის“ მფლობელი. ხოლო 2004 წელს — პირველი ფილმისათვის (რეჟისორის დებიუტისათვის) საფრანგეთის „ცეზარი“ მიიღო.

ჩიორა თავთაქიშვილი არის საერთაშორისო საპარლამენტო ასამბლეის — „**ეპრონესტის**“, პოლიტიკური კომიტეტის თანათავმჯდომარე.

ქალბატონი ლალის ვაჟიშვილი დაჩი თავთაქიშვილი, ლუკას მამა სახელგანთქმული პიანისტია, კონსერვატორიის მაგისტრი; 2000 წლის ოთარ თავთაქიშვილის სახელობის რესპუბლიკური კონკურსის ლაურეატი და პრიზიორი, ამჟამად, კონსერვატორიის მუსიკალური სემინარიის პედაგოგი, ავტორი იონასის საერთაშორისო პროექტისა, — „მუსიკის შვილები“, რაც გულისხმობს მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვების ზიარებას კლასიკურ მუსიკასთან და მათ სრულყოფლებიან ინტეგრირებას საზოგადოებაში.

დაჩის და მის მოწაფეებს ყოველ ზაფხულს იწვევენ შვეიცარიამი, მუსიკის საზაფხულო ფესტივალებზე. მათ არაერთი წარმატებული კონცერტი აქვთ გამართული ჟენევაში, ბერნში, ინტერლაკენში, შპიცში, ვევეში, ივერდონში, ღუბუნგენში, სიმპლონის ალპებში და სხვაგან. მათ აგრეთვე ჩაწერილი აქვთ **კომპაქტ-დისკო**.

კონსერვატორიის ბაკალავრიატში დაჩის პედაგოგი იყო პროფესორი რევაზ თავაძე, ხოლო მაგისტრატურაში პროფესორი თენგიზ ამირეჯიბი.

დაჩის მასტერკლასები აქვს გავლილი ეთერ ანჯაფარიძესთან, ალბერტ ზასმანთან, ჯარჯი ბალანჩივაძესთან, ჟანკლოდ პენტიესთან და სხვა გამოჩენილ პიანისტებთან.

დაჩიმ წარმატებით დაუკრა საფრანგეთის ქალაქ არკაშონში გამართულ ახალგაზრდა პიანისტთა საგაზაფხულო ფესტივალზე. კონსერვატორიის დიდ და მცირე დარბაზებში დაჩის სოლო-კონცერტებმა და სიმფონიურ ორკესტრთან ერთად მის მიერ შესრულებულმა გრიგის საფორტეპიანო კონცერტმა განსაკუთრებული წარმატებები და აღიარება მოუტანა ახალგაზრდა პიანისტს. ქუთაისში, თავის დედუღეთში, 18 წლის დაჩის სოლო-კონცერტმა ოპერის თეატრში სრული ანშლაგით ჩაიარა და ქუთაისის მუსიკალური საზოგადოების განსაკუთრებული აღტაცება გამოიწვია.

დაჩის ჰობია: ნიშანში სროლა, სადაც ბადალი არ ყავს და ავტობოლა და კარტინგი, რაშიც გასულ წელს (სხვადასხვა ზომის და წონის მედლები) 2 ოქრო, 2 ვერცხლი და 1 ბრინჯაო დაიმსახურა. სულ ახლახან, 2012 წლის მაისში, კიდევ ერთხელ მოიპოვა I ადგილი და საქართველოს პრეზიდენტის თასი; ხოლო 3 ივნისს, წყალტუბოში გამართულ იმერეთის რეგიონის ავტომობოლთა შეჯიბრში კვლავ პირველი ადგილი, კიდევ ერთი თასისა და ოქროს მედლის მფლობელი გახდა.

დაბოლოს, ქალბატონი ლალი თვლის, რომ ის არა ორი, არამედ ოთხი შვილის დედაა. არ უყვარს სიტყვები: „სიძე“, „რძალი“... სამაგიეროდ ძალიან უყვარს ილო ნიკოლაიშვილი, პროფესიონალი ესპანისტი, ვალიადოლიდის უძველესი უნივერსიტეტის მაგისტრი და სპორტული ჟურნალისტიკის ღირსეული წარმომადგენელი და ნათია ბერაია, — გამორჩეული პიანისტი, უამრავი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი, პრიზიორი და... ლუკას დედა!

ქალბატონი ლალის უზარმაზარი სიყვარულის ობიექტი მისი ერთადერთი უფროსი ძმაა — ლერი გვასალია — თავისი თეათი და ნათიათი და ხუთი უმშვენიერესი შვილიშვილით: რატი და დავით ტყეშელაშვილებით, ელენე, ალექსანდრე და მელანო ბეჟანიძეებით... ოღონდ ბატონი ლერის „ობიექტად“ მოხსენიება, ცოტა არ იყოს, უხერხულია, რადგან ის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დეაწლმოსილი პროფესორია, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, არაორგანულ ნივთიერებათა ტექნოლოგი, ამავე სახელწოდების კათედრის გამგე მრავალი წლის განმავლობაში, მრავალი ასპირანტისა და ახალგაზრდა მეცნიერის დამმოდღრავი და გზის გამკაფავი თავის პროფესიაში, ამჟამად, სტუ-ს აკადემიური საბჭოს წევრი და ღრმად პატივსაცემი პიროვნება.

მკითხველს ბოდიშს ვუხდი ჩემი უჩვეულოდ ვრცელი ბოლოსიტყვაობისთვის, მაგრამ რა გაეწეობა, ღირსეულ ადამიანებს ბიოგრაფიებიც ვრცელი და მრავლისმომცველი აქვთ.

**ბუღუ დეკანოიძე** — ფილოსოფიის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა დეპარტამენტის პროფესორი.

გამომცემლობა  
„საქართველოს ვეტერან მორაგბეთა  
კავშირი“

თბილისი, ქ. ჩოლოყაშვილის გამზირი 7

კომპიუტერული მომსახურება — პაატა ქორქია



დაისტამბა და აიკინძა  
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბაში  
2012

თბილისი, რუსთაველი გამზირი 52